# ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი

4-8 ოქტომბერი 2010 თბილისი საქართველო

# The Fifth International Symposium on Traditional Polyphony

4-8 OCTOBER 2010 TBILISI GEORGIA

simpoziumi tardeba saqarTvelos prezidentis
mixeil saakaSvilis patronatiT

simpoziums finansurad uzrunvelyofs saqarTvelos kulturisa
da ZeglTa dacvis saministro

simpoziumis organizatorebi:
Tbilisis vano sarajiSvilis saxelobis saxelmwifo konservatoria
qarTuli xalxuri simReris saerTaSoriso centri

simpoziumi eZRvneba sveticxovlis 1000 wlisTavs

THE SYMPOSIUM IS DEDICATED TO THE 1000 ANNIVERSARY OF SVETITSKHOVELI

THE SYMPOSIUM IS HELD UNDER THE PATRONAGE OF MIKHEIL SAAKASHVILI,
PRESIDENT OF GEORGIA

BY THE FINANCIAL SUPPORT OF THE MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION
OF GEORGIA

ORGANIZERS OF THE SYMPOSIUM:
VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE
THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG



**svet i cxove l i** – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი, მდებარეობს მცხეთაში, თბილისიდან 20 კმ-ზე. ყველაზე დიდი ისტორიული საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. მშენებლობა დაიწყო 1010 წელს, IV საუკუნის ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ეკლესიის ადგილზე და დასრულდა 1029 წელს. იგი საუკუნეების მანძილზე იყო საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს ეკლესიის მეთაურთა – კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია და ქვეყნის სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრი, ქართული მრავალხმიანი გალობის ერთ-ერთი უძველესი კერა.

**SVETITSKHOVELI** – one of the most significant monuments of the 11th century Georgian architecture is located in Mtskheta, 20 kilometers from Tbilisi. Is the largest church in Georgia. It was constructed in 1010-1029 on the spot of one of the first Christian churches of the 4th century. During centuries Svetitskoveli was the residence of Georgian patriarchs and the center of the country’s spiritual and cultural life, one of the most ancient centers of Georgian polyphonic chant.

## i l i a II

s r u l iad saqar Tve l os
kaTa l ikos-pat r iarqi



გულითადად მივესალმები ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთ.
მოხარულნი ვართ, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება წელს ეძღვნება საქართველოს ეკლესიის უძველესი და უპირველესი ტაძრის – სვეტიცხოვლის აგებიდან 1600 და აღდგენიდან 1000 წლისთავს. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან მას შემდეგ, რაც ჩვენმა ხალხმა მაცხოვრის მცნება შეისისხლხორცა (ქრისტიანობა IV საუკუნიდან გახდა სახელმწიფო რელიგია), ქრისტიანულმა რწმენამ განმსჭვალა ჩვენი გული და გონება, ჩვენი ცხოვრების წესი და, რა თქმა უნდა, ჩვენი კულტურა; მრავალხმიანი ქართული გალობაც და ხალხური სიმღერაც, ნაწილია ამ წიაღისა და ჩვენ ვმადლობთ ღმერთს, რომ მოგვანიჭა ასეთი საგანძური.
ამიტომაც, ბუნებრივია, რომ საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც ამდენი ქართველი და უცხოელი გამოჩენილი მეცნიერი და შემსრულებელი მონაწილეობს, სვეტიცხოვლის სიუბილეო თარიღს ეძღვნება, რაც ჩვენი კულტურის შემდგომ პოპულარიზაციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.
ყველას გლოცავთ და გისურვებთ დიდ წარმატებებს ღვთისსათნო თქვენს საქმიანობაში.

## ILIA II

CATHOLICOS–PATRIARCH
OF ALL GEORGIA

I cordially welcome the participants of the 5th International Symposium on Traditional Polyphony.
We are delighted that this year this outstanding event is dedicated to the1600th anniversary of the construction and 1000th anniversary of the revival of Svetitskhoveli Cathedral – the oldest and the most significant religious centers of the country. And this is not accidental as since our people became intimately linked with the commandments of Christ (Christianity was adopted the official religion of Georgia in the 4th century), our hearts and minds have been imbued with Christian belief, which has become the way of our life and of course Georgian culture – Georgian polyphonic chant and folk song are part of this and we are grateful to God for having gifted us with such treasure.
This is why, it is natural, that the International Symposium with the participation of a number of renowned Georgian and Foreign scholars and performers, is dedicated to the jubilee celebration, this will contribute to the further promotion of Georgian culture.
I give my blessing to you all and wish you success in your work.





## mixeil saakaSvili

saqarTvelos prezidenti

გამოვხატავ სიხარულს იმის გამო, რომ საქართველო უკვე მეხუთედ მასპინძლობს ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს და მივესალმები მის მონაწილეებს. ასევე მიხარია, რომ წლევანდელი სიმპოზიუმი დაემთხვა ქართული კულტურის უნიკალური ძეგლის – სვეტიცხოვლის 1000 წლისთავს, რომელიც ჩვენი ტრადიციული მრავალხმიანი გალობის ერთ-ერთი უძველესი კერაა.

ჩვენი სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობას და ამიტომაც იგი ჩვენი დიდი ზრუნვის საგანია, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვისაც, რომ ჩვენს ქვეყანაში თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება განავითაროს თავისი მშობლიური მუსიკალური კულტურა.

მე ძალიან მეამაყება, რომ ქართული მრავალხმიანობა სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს და ამდენ გამოჩენილ მეცნიერს იზიდავს მთელი მსოფლიოდან.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული კულტურა სულ უფრო აქტიურად ერთვება კულტურათა დიალოგში, რის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი გახდე.

ამ დიალოგის ნაწილია ტრადიციული მრავალხმიანობის V სიმპოზიუმიც, რომლის გახსნასაც მე გულითადად მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ მის თითოეულ მონაწილეს მეტად საინტერესო და სასარგებლო მუშაობაში.

## MIKHEIL SAAKASHVILI

PRESIDENT OF GEORGIA

I would like to express my delight for the fact, that Georgia is hosting the 5th International Symposium on Traditional Polyphony and to welcome the participants of the forum. I am especially delighted that this year the Symposium concurs with the celebration of the 1000th anniversary of Svetitskhoveli Cathedral – one of the most ancient centers of Georgian traditional polyphonic church chant.

Georgian traditional polyphony holds distinguished place in the cultural heritage of our country; this is why it is the object of our special care and concern. In addition, we do our best to give all citizens of our country the opportunity to develop their native musical culture.

I feel proud, that Georgian polyphony arouses more and more interest and attracts many renowned scholars from all over the world. This means that Georgian culture becomes more actively involved into the dialogue between cultures, without which it is impossible to be a merited part of today's civilized world.

This Symposium on Traditional Polyphony is a part of this dialogue. I cordially welcome the opening of the Symposium and wish success to all the participants in their interesting and valuable work.





**nikoloz rurua**
saqarTvelos kulturisa
da ZeglTa dacvis
ministri

ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენაა – ჩვენ ვზრუნავთ უნიკალური ეროვნული საგანძურის არა მარტო სიცოცხლის შენარჩუნებაზე, არამედ მის მეცნიერულ კვლევაზეც, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ამ ფენომენის დაცვა. წელს სიმპოზიუმმა ჩვენთვის კიდევ ერთი, ასევე მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა – იგი სვეტიცხოვლის 1000 წლისთავს ეძღვნება.
გვახარებს, რომ თვითმყოფადობით გამორჩეული ჩვენი მრავალხმიანობა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მღერიან, სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს სამეცნიერო წრეებშიც. ამის დასტურია სიმპოზიუმის ფართო გეოგრაფიული არეალი და მისი სტუმრების – ფოლკლორული ანსამბლებისა და მკვლევრების მრავალრიცხოვნება.
მსოფლიო მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი ეს სამეცნიერო ფორუმი, რომელსაც მეტად საინტერესო საკონცერტო პროგრამა ახლავს, აფართოებს ჩვენს ურთიერთობებს და ღირსეულად წარმოაჩენს ქართულ კულტურას სხვა კულტურათა საერთაშორისო თანამეგობრობაში.
მივესალმები სიმპოზიუმის მონაწილეებს, ვუსურვებ მდიდარ შთაბეჭდილებებსა და წარმატებას მუშაობაში.

## NIKOLOZ RURUA
MINISTER OF CULTURE AND
MONUMENTS PROTECTION

The International Symposium on Traditional Polyphony is an outstanding event for Georgian culture – we are concerned about the vitality and scholarly study of the unique national treasure, for this is neceessasry for the safeguarding of this phenomenon. This symposium is even more significant for us – it is dedicated to the 1000th anniversary of the Svetitskhoveli Cathedral.
We are delighted that the original and distinguished Georgian polyphony performed in various countries of the world arouses more and more interest among the scholars. Wide geography of the symposium and multiplicity of the guests: both folk ensembles and scholars testify to this.
This forum dedicated to the World polyphony, accompanied by very interesting concert program expands our relations and suitably represents Georgian culture alongside world cultures.
I welcome the Symposium participants and wish them abundance of impressions and success in their work.



**manana doijaSvili**
Tbilisis
vano sarajiSvilis
saxelobis saxelmwifo
konservatoriis reqtori

თითქოს სულ ახლახან იყო, როცა თბილისის კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების ჩატარების იდეა გაჩნდა და, აგერ, უკვე V სიმპოზიუმის სტუმრებს ვმასპინძლობთ. დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ შევძელით ტრადიციის შექმნა – ორ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერების მონაწილეობით სერიოზული სამეცნიერო ფორუმის მოწყობა დიდ ძალისხმევასა და მხარდაჭერას საჭიროებს, უპირველესად, ფინანსურს, რისთვისაც ჩვენ დიდ მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი.
არანაკლებ დიდია მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობისა და, უბრალოდ, ტრადიციული სიმღერის მოყვარულთა მხარდაჭერაც – არასოდეს დაგვავიწყდება მათი თანადგომა საქართველოსათვის ურთულეს 2008 წელს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, ღირსეულად ჩაგვეტარებინა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი.
სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, წლევანდელი სიმპოზიუმი სვეტიცხოვლის საიუბილეო თარიღს ეძღვნება, რაც მეტად სიმბოლურია, რადგან სწორედ საქართველოს ამ უპირველეს ტაძარში ჰპოვა თავისი განვითარება ტრადიციულმა ქართულმა გალობამ.
დიდი მადლობა სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს, მეცნიერსა თუ მომღერალს, მივესალმები მათ და ვუსურვებ წარმატებებს საყვარელ საქმიანობაში.

**MANANA DOIJASHVILI**
RECTOR OF VANO SARAJISHVILI
TBILISI STATE CONSERVATOIRE

It seems to have been very recently that the idea of holding International Symposium on Traditional Polyphony at Tbilsi State Conservatoire was born and we are already hosting the 5th Symposium.
Today it can be said, that we have established the tradition: to hold a serious scientific forum every two years with the participation of world renowned scholars. The organisation of serious events like ours demands great efforts and support, primarily financial, for which we would like to express our deep gratitude to the Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia.
No less importanmt is the assistance of the world scientific circles and that of amateur singers; we will never forget their support in 2008 - the most difficult time for Georgia, thanks to which we were able to suitably hold the Fourth International Symposium.
With the blessing of Ilia II – Catholicos-Patriarch of all Georgia, the Symposium is dedicated to the anniversary of Svetitskhoveli Cathedral, which is symbolic, for this is where Georgian traditional chant developed.
I would like to thank all the participants of the symposium, both scholars and singers, welcome and wish them success.



## anzor erqomaiSvili

qarTuli xalxuri simReris saerTaSoriso centris sameTvalyureo sabWos Tavmjdomare

მივესალმები V საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს და მინდა გამოვხატო დიდი სიხარული, რომ თბილისში კვლავ იკრიბებიან ტრადიციული მრავალხმიანობის დიდი თაყვანისმცემლები – მეცნიერები, შემსრულებლები, უბრალოდ, მსმენელები.
წელს სრულიად საქართველო სვეტიცხოვლის 1000 წელს აღნიშნავს, ამიტომ, ვფიქრობ, ბუნებრივია, რომ სიმპოზიუმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა ქართული ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერა-გალობაა, ამ თარიღს ეძღვნება.
სიმპოზიუმი ყოველ წელიწადს ახალ-ახალ სახელებს გვაცნობს, თუმცა მონაწილეთა შორის კვლავ არიან ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მეგობრები. მე ვგულისხმობ არა მარტო გამოჩენილ მეცნიერებს, არამედ ფოლკლორულ ანსამბლებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც საკუთარი სახსრებით ჩამოდიან ჩვენს სიმპოზიუმებზე და ნამდვილ დღესასწაულად აქცევენ მათ.
მინდა აღვნიშნო, სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამაში ამჯერად არც ისე უხვად იქნება წარმოდგენილი ქართული ანსამბლები, სამაგიეროდ, გვინდა ფართოდ ვაჩვენოთ ბავშვების ხელოვნება, როგორც ჩვენი უნიკალური მრავალხმიანობის მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.
მინდა, რომ სიმპოზიუმი იყოს საქმიანი და, იმავდროულად, ამაღელვებელი მოვლენა, რომელიც წარუშლელ კვალს დააჩენს მისი ყველა მონაწილის სულს.

## ANZOR ERKOMAISHVILI

HEAD OF THE BOARD OF THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG

I would like to greet the participants of the 5th Internatioanl Symposium on Traditional Polyphony, and express my delight with the fact that the admirers of traditional music – scholars, performers, and simply listeners are gathering in Tbilisi again.
This year Georgia is celebrating the 1000th anniversary of Svetitskhoveli Cathedral, in my opinion it is natural, that the Symposium is dedicated to this date, as one of the themes of the forum is Georgian traditional polyphonic chant.
The symposium presents many new names, among the participants there are big friends of Georgian music. I mean both the renowned scholars and folk ensembles from various parts of the world, who come to the symposium and turn the event into a true festive occasion.
I would like to mention that the concert program of the Symposium will not include as many Georgian adult folk ensembles as before, but this time we would like to widely present children's art, as the symbol of the continuity of unique Georgian polyphony.
I hope that the symposium will be a successful and exciting event, of which all of the participants will have indelible memories.

**rusudan wurwumia**
Tbi l isis saxe lmwi f o
konser vato r iis
t radi ciu l i
m rava l xmianobis
kv l evis saer TaSo r iso
cent r is d i req t o r i



როგორც მსოფლიო მრავალხმიანობის უკვე საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარი, ავსტრალიაში მოღვაწე და ჩვენი ცენტრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იოსებ ჟორდანია ამბობს (იმას კი ნამდვილად დაეჯერება!): ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სფერო გახდა და ამაში თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მარტო ბოლო 5 წლის განმავლობაში, გარდა თბილისის მესამე და მეოთხე სიმპოზიუმებისა, ორი სპეციალური კონფერენცია ჩატარდა ავსტრიაში, ერთი – პორტუგალიაში, ხოლო სულ ახლახან დასრულდა ICT -ის კონფერენცია სარდინიაში (იტალია).

ცნობილია,რომ ტრადიციული მრავალხმიანობის ქართველი შემსრულებლები ხშირად მოგზაურობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კონცერტებით, ატარებენ მასტერკლასებს, მაგრამ მე მაინც ისეთ დროზე ვოცნებობ, როცა ქართველი მეცნიერები იქნებიან მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიური ფორუმების ხშირი სტუმრები. ამისათვის კი, მატერიალური სახსრები, ბევრი მუშაობა და ახალგაზრდების სტიმულირებაა საჭირო.

V სიმპოზიუმი სვეტიცხოვლის 1000 წლისთავს ეძღვნება და მის მონაწილეთა შორის ბევრი ახალგაზრდაა, მათ შორის არა მხოლოდ ქართველები. ისინი დიდი სიყვარულით სწავლობენ ქართულ მრავალხმიან სიმღერა-გალობას. მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგების წინაშე წარდგომა დიდი პასუხისმგებლობაა და მე მინდა, მათ და სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს სულითა და გულით ვუსურვო წარმატება.

**RUSUDAN TSURTSUMIA**
DIRECTOR OF THE INTERNATIONAL
RESEARCH CENTER FOR
TRADITIONAL POLYPHONY
OF TBILISI STATE CONSERVATOIRE

As Joseph Jordania – the world renowned scholar of world polyphony, one of the inspirers of our Center, living in Australia says (and he is trustworthy) the study of traditional polyphony has become one of the active fields in modern ethnomusicology, and the Tbilisi International Symposia have greatly contributed to this fact. During the last 5 years alongside the 3rd and 4th Symposia, two thematic conferences have been held: one in Austria and the other in Portugal. Just recently an ICTM conference was completed in Sardinia (Italy).

It is known, that the performers of Georgian traditional polyphony often travel to various countries of the world and perform in concerts, hold workshops, but I dream of the time, when Georgian scholars will be frequent guests at the World ethnomusicological forums. For this financial support, hard work and encouragement of the young is necessary.

The 5th Symposium is dedicated to the 1000th anniversary of Svetitskhoveli Cathedral. There are many young scholars among the participants of the symposium and not only from Georgia. They learn Georgian polyphonic song and chant with great love. It is a great responsibility to present your work to the world renowned scholars and I would like to cordially wish success to all symposium participants.

saorganizacio komitetis TanaTavmjdomareebi:

**b-ni nikoloz rurua,** saqarTvelos kulturisa da Zegl Ta dacvis ministri

**prof. manana doijaSvili,** Tbilisis saxelmwifo konservatoriis reqtori

**prof. anzor erqomaiSvili,** qarTuli xalxuri simReris saerTaSoriso centris sameTvalyureo sabWos Tavmjdomare

**saorganizacio komitetis Tavmjdomaris moadgile, samecniero programebis xelmZRvaneli:**

**d-ri, prof. rusudan wurwumia,** Tbilisis saxelmwifo konservatoriis tradiciuli mravalxmianobis kvlevis saerTaSoriso centris direqtori

**simpoziumis sazRvargareTuli biurosa da samecniero programebis xelmZRvaneli:**

**d-ri, prof. ioseb Jordania,** (melburni, avstralia)

saorganizacio biuro:
**maia kaWkaWiSvili**
**Tamaz gabisonia**
**maka xarZiani**
**nino razmaZe**

pres-samsaxuri:
**nana SariqaZe**

sakoncerto programis koordinatori:
**Tamaz andRulaZe**

samuSao jgufi:
**nino nakaSiZe, nana goderiZe, Tea qunTelia, giorgi doroyaSvili**

# SYMPOSIUM ORGANIZING COMMITTEE

**CO-CHAIR PERSONS OF THE ORGANIZING COMMITTEE:**

**Mr. NIKOLOZ RURUA,** MINISTER OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION OF GEORGIA

**Prof. MANANA DOIJASHVILI,** RECTOR OF TBILISI STATE CONSERVATOIRE

**Prof. ANZOR ERKOMAISVILI,** CHAIR OF THE BOARD OF TRUSTEES, THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG

**DEPUTY CHAIR OF THE ORGANIZING COMMITTEE, HEAD OF THE SCIENTIFIC PROGRAM:**

**Dr. Prof. RUSUDAN TSURTSUMIA ,** DIRECTOR OF THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY OF THE TBILISI STATE CONSERVATOIRE

**HEAD OF THE FOREIGN CENTRE OF THE SYMPOSIUM AND OF THE SCINETIFIC PROGRAM:**
**Dr. Prof. JOSEPH JORDANIA** (MELBOURNE, AUSTRALIA)

ORGANIZING BUREAU:

**MAIA KACHKACHISHVILI**
**TAMAZ GABISONIA**
**MAKA KHARDZIANI**
**NINO RAZMADZE**

PRESS SERVICE:
**NANA SHARIKADZE**

CONCERT COORDINATOR:
**TAMAZ ANDGHULADZE**

WORK GROUP:
**NINO NAKASHIDZE, NANA GODERIDZE, TEA KUNTELIA, GIORGI DOROQASHVILI**

## პროგრამა

| | | |
|---|---|---|
| 4 ოქტომბერი, ორშაბათი | პრესკონფერენცია | $17^{00}$<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიე |
| | სიმპოზიუმის გახსნა | $18^{00}$<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |
| 5 ოქტომბერი, სამშაბათი | სამეცნიერო სესია | $9^{30}$ - $17^{00}$<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | ფოლკლორული კონცერტები | $13^{00}$ - $15^{00}$<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | | $19^{00}$<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |
| 6 ოქტომბერი, ოთხშაბათი | სამეცნიერო სესია | $9^{30}$ - $17^{00}$<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | ფოლკლორული კონცერტი | $13^{00}$ - $15^{00}$<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | ფილმების ჩვენება | $18^{30}$<br>კინოთეატრი „რუსთაველი“ |
| 7 ოქტომბერი, ხუთშაბათი | კულტურული პროგრამა უცხოელი მეცნიერებისათვის | $8^{00}$ - $20^{00}$ |
| | ფოლკლორული კონცერტი | $13^{00}$ - $15^{00}$<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| 8 ოქტომბერი, პარასკევი | სამეცნიერო სესია | $9^{30}$ - $17^{00}$<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | ფოლკლორული კონცერტი | $13^{00}$ - $15^{00}$<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | სიმპოზიუმის დახურვა გალა კონცერტი | $19^{00}$<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |

# PROGRAM

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | OCTOBER, MONDAY | PRESS CONFERENCE | $17^{00}$<br>FOYER OF THE GRAND HALL<br>OF THE CONSERVATOIRE |
| | | OPENING OF THE SYMPOSIUM | $18^{00}$<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 5 | OCTOBER, TUESDAY | SCIENTIFIC SESSION | $9^{30}$ - $17^{00}$<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | FOLK CONCERTS | $13^{00}$ - $15^{00}$<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | | $19^{00}$<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 6 | OCTOBER, WEDNESDAY | SCIENTIFIC SESSION | $9^{30}$ - $17^{00}$<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | FOLK CONCERT | $13^{00}$ - $15^{00}$<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | DEMONSTRATION OF THE FILMS | $18^{30}$<br>CINEMA “RUSTAVELI” |
| 7 | OCTOBER, THURSDAY | CULTURAL PROGRAM FOR<br>THE VISITING SCHOLARS<br>OF THE SYMPOSIUM | $08^{00}$ - $20^{00}$ |
| | | FOLK CONCERT | $13^{00}$ - $15^{00}$<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 8 | OCTOBER, FRIDAY | SCIENTIFIC SESSION<br>FINAL SESSION | $10^{00}$ - $17^{00}$<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | FOLK CONCERT | $13^{00}$ - $15^{00}$<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | CLOSING OF THE SYMPOSIUM<br>GALA CONCERT | $19^{00}$<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |

## მონაწილეები

| | |
|---|---|
| **ავსტრალია** | ჯერალდ ფლორიან მესნერი |
| **ავსტრალია/საქართველო** | იოსებ ჟორდანია |
| | ნინო ციციშვილი |
| **ავსტრია** | ფრანც ფოედერმაირი |
| | გერდა ლეხლაიტნერი |
| **ავსტრია/საქართველო** | ნონა ლომიძე |
| **აშშ** | მუნირ ბეკენი |
| | ჯონ გრემი |
| | ჯერემი ფაუცი |
| **ესპანეთი** | პოლო ვალეჰო |
| **ესტონეთი** | ჟანა პარტლასი |
| **იაპონია** | ნორიე კავაი |
| | რიე კოჩი |
| | მასაკო მორიმოტო |
| **კანადა** | მაიკლ ტენზერი |
| | ანდრეა კუზმიჩი |
| **ლიტვა** | დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე |
| **პოლონეთი** | ანა პიოტროვსკა |
| **რუსეთი** | მიხეილ ლობანოვი |
| **რუსეთი, ადიღე** | ალა სოკოლოვა |
| **საფრანგეთი** | სიმჰა არომი |
| **საქართველო** | ეკა ბუჩუკური |
| | თამაზ გაბისონია |
| | მაია გელაშვილი |
| | ეკა დიასამიძე |
| | მალხაზ ერქვანიძე |
| | ნატალია ზუმბაძე |
| | ქეთევან მათიაშვილი |
| | ლეილა მარუაშვილი |
| | ნინო ნანეიშვილი |
| | ეკა ონიანი |
| | ბაია ჟუჟუნაძე |
| | ნინო რაზმაძე |
| | მარინა ქავთარაძე |
| | მანანა შილაკაძე |
| | დავით შუღლიაშვილი |
| | მაკა ხარძიანი |
| | სვიმონ ჯანგულაშვილი |
| **სერბია** | ელენა იოვანოვიჩი |
| **ტაივანი** | ლუ იუ-სიუ |

## PARTICIPANTS

| | |
|---|---|
| **AUSTRALIA** | GERALD FLORIAN MESSNER |
| **AUSTRALIA/GEORGIA** | JOSEPH JORDANIA |
| | NINO TSITSISHVILI |
| **AUSTRIA** | FRANZ FOEDERMAYR |
| | GERDA LECHLEITNER |
| **AUSTRIA/GEORGIA** | NONA LOMIDZE |
| **CANADA** | MICHAEL TENZER |
| | ANDREA KUZMICH |
| **ESTONIA** | ŽANNA PARTLAS |
| **FRANCE** | SIMHA AROM |
| **GEORGIA** | EKA BUCHUKURI |
| | EKA DIASAMIDZE |
| | MALKHAZ ERKVANIDZE |
| | TAMAZ GABISONIA |
| | MAIA GELASHVILI |
| | SVIMON JANGULASHVILI |
| | MARINA KAVTARADZE |
| | MAKA KHARDZIANI |
| | LEILA MARUASHVILI |
| | KETEVAN MATIASHVILI |
| | NINO NANEISHVILI |
| | EKA ONIANI |
| | NINO RAZMADZE |
| | MANANA SHILAKADZE |
| | DAVIT SHUGLIASHVILI |
| | BAIA ZHUZHUNADZE |
| | NATALIA ZUMBADZE |
| **JAPAN** | KAWAI NORIE |
| | RIE KÔCHI |
| | MORIMOTO MASAKO |
| **LITHUANIA** | DAIVA RAČIŪNAITĖ-VYČINIENĖ |
| **POLAND** | ANNA PIOTROWSKA |
| **RUSSIA** | MIKHAIL LOBANOV |
| **RUSSIA/ADIGHEA** | ALLA SOKOLOVA |
| **SERBIA** | JELENA JOVANOVICH |
| **SPAIN** | POLO VALLEJO |
| **TAIWAN** | LU YUHSIU |
| **USA** | MŰNIR NURETTIN BEKEN |
| | JOHN A. GRAHAM |
| | JEREMY FOUTZ |



## simha aromi
safrangeTi

სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) საპატიო სამეცნიერო დირექტორი, ამავე ცენტრის ლაბორატორიის „ზეპირი ტრადიცია – ენები და ცივილიზაციები“ (LACITO) ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების გამგე. ცენტრალურ აფრიკაში ხანგრძლივი მუშაობისას შეიმუშავა ინტერაქტიული ჩაწერის მეთოდები, რომლებიც ზეპირი ტრადიციის ნებისმიერი მრავალხმიანი მუსიკის ტრანსკრიფციისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ამ ნაშრომისათვის იგი დაჯილდოვდა სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ვერცხლის მედლით. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი,მრავალი სამეცნიერო სტატია, ოცდაათამდე ჩანაწერი და ფილმი. ამათგან სამმა ფირფიტამ მიიღო ჩარლზ კროსის აკადემიის „დისკების საერთაშორისო გრან პრი“. მისი წიგნი “აფრიკული მრავალხმიანობა და პოლირიტმია”, რომელიც გამოსცა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ, 1992 წელს აღინიშნა პრესტიჟული ჯილდოთი “ASCAP Deems Taylor Award”.

### akordis sintaqsis monaxazi zogierT megrul simReraSi

(**პოლო ვალეჰოსთან** თანაავტორობით)

2008 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოხსენების „ქართული მრავალხმიანი სიმღერების აკორდის სინტაქსი” შემდეგ გავაგრძელეთ 2003 წელს გამოცემული კრებულის – „ქართული ხალხური სიმღერა – სამეგრელო” – ნიმუშების კვლევა.
ამ დროისთვის ჩვენ შევამოწმეთ E და A კილოების ნიმუშების აკორდები, და მათი მუდმივი და ცვალებადი ელემენტები.
ნაშრომში საუბარია შემდეგ საკითხებზე:

- კადანსები;
- კილოში ზოგიერთი საფეხურის მობილურობა;
- ბანის პარტიაში საფეხურებისა და მოცემულ კილოში არარსებული საფეხურების სტატუსი;
- თითოეული ფუნდამენტური საფეხურის აკორდის კონფიგურაცია;
- და ბოლოს, ბანის პარტიის სხვადასხვა საფეხურებს შორის ურთიერთობა და მათი შესაბამისი აკორდების კონფიგურაციები.

## SIMHA AROM
FRANCE

Docteur d’Etat from the Sorbonne University (Paris) is currently Emeritus Director of Research at the French National Center for Scientific Research (C.N.R.S.) and Head of the Department of Ethnomusicology of the laboratory “Oral Tradition – Languages and Civilisations” (LACITO) of the C.N.R.S. During his long work in Central Africa, developed interactive recording methods allowing the transcription and analysis of any oral polyphonic music. For this achievement, was awarded the Silver Medal of the C.N.R.S. Has published several books, numerous scientific papers, and some thirty records and films. Three of his records have won the “Grand Prix International du Disque” of the Academie Charles Cros, and his book “African Polyphony and Polyrhythm”, published by the Cambridge University Press, was awarded the prestigious “ASCAP Deems Taylor Award” in 1992.

### OUTLINE OF A SYNTAX OF CHORDS IN SOME SONGS FROM SAMEGRELO

(Co-author **POLO VALLEJO)**

Following our presentation on the syntax of chords in Georgian polyphonic songs at the Fourth International Symposium on Traditional Polyphony in 2008, we focused our work of a body of songs from Samegrelo published in the book “Georgian Folk Music – Samegrelo”, which came out in 2003.
Thus far we have examined chords of songs that we considered to be in the modes of E and A, looking at their constants and their variables. Our presentation takes into account:

- the cadences
- the mobility of certain degrees within the mode
- the status of the degrees present in the bass part and those that are absent in a given mode
- the configuration of the chords that each fundamental degree allows
- lastly, the relationship between various degrees of bass part and the configurations of their respective chords.



## munir nuretin bekeni
aSS

ვირტუოზი შემსრულებელი უდზე, მკვლევარი და კომპოზიტორი. სწავლობდა სტამბულის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მერილენდის უნივერსიტეტში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ეთნომუსიკოლოგიაში.
მისი კომპოზიციები ბევრ ქვეყანაში სრულდება, მათ შორის მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ დარბაზებში, სახელგანთქმული შემსრულებლების მიერ. მისი მუსიკის ჩანაწერები გამოცემულია ფრანგული კომპანია „ამპლიტუდ მიუზიკის“ მიერ. არის ამერიკის კომპოზიტორთა, ავტორთა და გამომცემელთა კავშირის წევრი. ამჟამად არის კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა მუსიკის ფენომენოლოგია, შემეცნებითი მუსიკოლოგია და შუა და ცენტრალური აზიის მუსიკის მოდალური სისტემები. ავტორია რამდენიმე სტატიისა მუსიკისა და მუსიკოსების „ნიუ გროუ“ ლექსიკონისთვის, სტატიებისა მუსიკოსებზე და სხვა სამეცნიერო ნაშრომებისა.

### virtualuri heterofonia: mimoxilva

ნაშრომში განხილულია ჰეტეროფონიის – მრავალი მუსიკალური ტრადიციისთვის საერთო ქსოვილის – ბუნება. ავტორის აზრით, შემსრულებლები ან კომპოზიტორები ვერ აკონტროლებენ ჰეტეროფონიული ქსოვილის სპეციფიკას, ისინი გვთავაზობენ მხოლოდ რამდენიმე, ტრადიციით შეზღუდულ, პოლიფონიურ შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ჰეტეროფონია მიჩნეულია გარკვეული კომპოზიციური ტექნიკების მეორად პროდუქტად. ნაშრომში მოცემულია ოტომანების იმპერიის სომეხი კომპოზიტორის, ქემანი ტატიოს ეფენდისეული ანალიზი სახელოვანი ჰუსეინი საზ სემაისის მე-20 საუკუნეში 78rpm-ის ჩანაწერები: უდი ჰირანტი – სოლო *უდი,* სემილ ბეი – *თანბური, უდი*; ნევრეს ბეი – *ქამანჩა და უდი.* ავტორის ანალიზის მიხედვით, არსებობს ჰეტროფონიის განსხვავებული სახე, რომელიც შესრულების დროს არ შეიმჩნევა. ეს შედარებით ფაქიზი და,ამავე დროს, კონტროლირებული ქსოვილი თავს იჩენს მოცემული რეალური კომპოზიციის შესრულებისას მისგან გადახრების სპეციფიკურ დეტალებს შორის.

## MÜNIR NURETTIN BEKEN
USA

Münir Nurettin Beken, ud virtuoso, scholar and composer. Studied at the ITÜ State Conservatoire of Istanbul. Earned a Ph.D. in ethnomusicology from the University of Maryland.
His compositions have been performed internationally with considerable recognition in some of the most significant concert halls in the world by eminent performers. His music is published by Amplitude Music in France and he is a member of ASCAP.
Münir Beken is currently Assistant Professor of theory and composition in Ethnomusicology Department at University of California Los Angeles. His scholarly interests include the phenomenology of music, cognitive musicology, and melodic modal systems of the Middle East and Central Asia. He has written several articles for the New Grove Dictionary of Music and Musicians and other scholarly publications.

### VIRTUAL HETEROPHONY: AN OVERVIEW

This study examines the nature of heterophony, a texture common to many musical traditions. It appears that performers or composers do not have direct control over the specifics of the resulting heterophonic texture but rather they provide a number of polyphonic possibilities which are limited by the tradition. Hence, heterophony may be considered as a bi-product of certain compositional techniques. This paper will analyze the famous Hüseyni Saz Semaisi by an Ottoman-Armenian composer Kemani Tatyos Efendi from two available performances of the early 20th century 78rpm records: Udi Hirant on solo *ud* and *Tanburi* Cemil Bey and Udi Nevres Bey on *kemence* and *ud*, respectively. My analysis will suggest the existence of a different kind of heterophony which is not readily apparent in the performances. This more careful and controlled texture may be found between the specifics of the identity of a given composition and deviations from it during the performance.

## ekaterine buCukuri
saqarTvelo



# EKATERINE BUCHUKURI
GEORGIA

მუსიკოლოგიის დოქტორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით (მუსიკის ისტორიის მიმართულებით). სადოქტორო დისერტაციის თემაა „ქართულ-აღმოსავლური მუსიკალური ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი” (2009). მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში; გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში; არის სატელევიზიო მუსიკალურ გადაცემათა ავტორი და წამყვანი. 2004 წლიდან დღემდე არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. 2006-07 წლებში იყო იტალიის მთავრობის სტიპენდიის “Premia Roma”-ს მფლობელი, სტაჟირება გაიარა, როგორც არტ-მენეჯერმა რომის ოპერის თეატრში. 2009 წელს იყო რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიატი.

Doctor of Musicology, graduated from the Musicology Department (Music History) of Tbilisi State Conservatoire. Defended Doctoral Thesis “Some Aspects of Georgian-Oriental Music Relations” (2009). Participated in national and international scientific Conferences, has published articles in Scientific Journals. Is the author and presenter of TV and Radio music programs. From 2004 until present Head of the Administration of Tbilisi State Opera and Ballet Theatre. In 2006-2007 was an owner of the “Premia-Roma” scholarship of the Italian Government, underwent the training course as Art-Manager at the Rome Opera. In 2009 was the holder of Ilia Chavchavadze scholarship from Rustaveli Scientific Fund.

## polifoniisa da monofoniis urTierTmimarTebis problema qarTuli qalaquri folkloris magaliTze
(**მარინა ქავთარაძესთან** თანაავტორობით)

მოხსენებაში განხილულია ქართული ქალაქური მუსიკალური კულტურა დასავლეთისა და აღმოსავლეთის უნივერსალური არქეტიპების და ისტორიული გარემოს ურთიერთობის პროცესში.
გამოკვეთილია შემდეგი საკითხები: 1. რა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის და დასავლეთის მუსიკალურმა კულტურამ ზეპირი ტრადიციის ქალაქურ მუსიკაზე, კერძოდ, თბილისურ მუსიკალურ ფოლკლორზე, ანუ როგორი იყო „თავისი“ და „სხვისი“ კულტურების ურთიერთობის ასპექტები ეროვნულ მუსიკაში პოლიფონიური და მონოფონიური აზროვნების ჭრილში; 2. რა სპექტრით იყო წარმოდგენილი საქართველოში „უცხო კულტურის არქეტიპები“; 3. როგორი იყო ამ ურთიერთობის დინამიკა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და ამ ურთიერთობის შედეგი.

## THE PROBLEM OF INTERRELATION BETWEEN POLYPHONY AND MONOPHONY ON THE EXAMPLE OF GEORGIAN URBAN FOLKLORE
(Co-author **MARINA KAVTARADZE)**

The paper discusses Georgian urban music in the process of interrelation between Western and Eastern universal archetypes and historical conditions. The following is marked out: 1. The impact of Eastern and Western cultures on the oral tradition of urban music, namely on Tbilisi folk music, or what was the aspect of interrelation between “native” and “foreign” cultures from the standpoint of polyphonic and monophonic thinking; 2. How “the archetypes of foreign culture” were presented in Georgia; 3. The dynamics of these relations in various historic epochs and their result.



## Tamaz gabisonia
saqarTvelo

მუსიკოლოგიის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი და პედაგოგი. თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით (1986). ფოლკლორულ ანსამბლ *კერიას* ხელმძღვანელი.
მისი კვლევის ძირითადი სფეროა ქართული ხალხური მრავალხმიანობის ფორმები. აქვს ნაშრომები ქართული საეკლესიო საგალობლის შესახებაც. მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფოლკლორისტულ ექსპედიციებში.

### damwyebi xma qarTul mravalxmianobaSi

მოხსნებაში განხილულია ქართულ ხალხურ მუსიკაში დამწყები ხმის პარტიის ფუნქცია და მისი როლი მრავალხმიანობის ცალკეული ტიპის კომპოზიციურ აგებულებაში.
დაზუსტებულია დამწყები ხმის ძირითადი ფუნქციები ქართულ სიმღერაში; დახასიათებულია დამწყები ხმის ხალხური ტერმინოლოგიის თავისებურებები; შესწავლილია დამწყების მოტივური აღნაგობა და მისი კავშირი სიმღერის მელოდიურ შინაარსთან. გამოვლენილია სიმღერის დაწყების პრიორიტეტები ქართული ხალხური მუსიკის სხვადასხვა დიალექტში, ასევე – დამწყები ხმის მიმართება მრავალხმიანობის ფორმასთან.

## TAMAZ GABISONIA
GEORGIA

Doctor of Musicology, Specialist at the International Research Center of Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire. A pedagogue at Tbilisi State Conservatoire. Graduated from the Department of Musicology of Tbilisi State Conservatoire. Is a teacher at the High School of Georgian Church Chant and Song at the Theological Seminary. Directs folk ensemble “Keria”.
The focus of his scholarly interest is the forms of Georgian traditional polyphony. He is also the author of works on Georgian church chants. Has participated in a number of national and international scientific conferences and field expeditions.

### THE BEGINNER VOICE PART IN GEORGIAN POLYPHONY

The paper discusses the function of the beginner voice part in Georgian folk music and its role in the compositional structure of different types of polyphony.
The basic functions of the beginner voice part of Georgian song is specified; the peculiarities of folk terminology on beginner voice part are characterized; the motive structure of the beginner voice part and its connection with the melodic content of the song are studied. The priorities of the beginning of a song revealed in various Georgian musical dialects is determined as well as the interrelation between of the beginner voice part and the form of polyphony.



## maia gelaSvili
saqarTvelo

ეთნომუსიკოლოგი. დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიციო ფაკულტეტი ფოლკლორის სპეციალობით. 1997-2004 წლებში მუშაობდა რაინდთა საავტორო სკოლის ფოლკლორის მასწავლებლად. არის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *ნანინას* წევრი. ავტორია საბავშვო ეთნოგრაფიული ზღაპრისა *ბატონები*.

### pankisis xeobis qistebis tradiciuli musikis SeswavlisaTvis

ნაშრომში საექსპედიციო მასალებზე (ქ. ბაიაშვილის 1989 წ, ტ. მახაურის 1987 წ. და ბ. მარგველაშვილის 1996 წ. ექსპედიციები) დაყრდნობით განხილულია პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ტრადიციული მუსიკალური შემოქმედების ის სფერო, რომელიც უკავშირდება მუსლიმურ რელიგიას; კერძოდ – რელიგიური სიმღერა *ნაზმი* და დაკრძალვის რიტუალური სიმღერა-ფერხული *ძიქარი*. ეს სიმღერები თავისი მელოდიკითა და კილო-ჰარმონიული სტრუქტურით უფრო ადრინდელი წარმოშობისაა, ვიდრე ისლამის გავრცელება ქისტებში. მით უფრო, რომ არ ესადაგება მუსლიმური გალობის ძირითად პრინციპს – ერთხმიანობას. ვეინახთა მრავალხმიანი მღერის ტრადიცია არ ირღვევა თვით მუსლიმურ გალობაშიც კი.
მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პანკისელი ქისტების სასულიერო მუსიკა, ისევე, როგორც საერო, ემყარება მრავალხმიანობის ბურდონულ ფორმას, რომელიც ქართული მუსიკალური კულტურის აღმოსავლურ-ქართული ტრადიციისათვისაა დამახასიათებელი.

## MAIA GELASHVILI
GEORGIA

Ethnomusicologist, graduated from the faculty of Musicology at V. Sarajishvili Tbilsii State Conservatoire. In 1997-2004 worked as a teacher of folklore at the Knights school. Is a member of women's folk ensemble Nanina. Is the author of children's ethnographic fairy tale Batonebi.

### ON THE STUDY OF THE TRADITIONAL MUSIC OF THE KISTIS FROM THE PANKISI GORGE

Basing on the field expedition materials (K. Baiashvili, 1989, T. Makhauri, 1987 and B. Margvelashvili, 1996) the paper discusses the traditional music of the Kistis (the Veinakhs living in Georgia) from the Pankisi Gorge, which is connected with Muslim religion, namely religious song Nazmi and funeral ritual song Dzikari. With their melodic and mode-harmonic structure these songs are of older origin than the adoption of Islam by the Kistis. Moreover they do not correspond to the basic principle of Muslim chanting – monophony. Multi-part singing tradition of the Veinakhs is not violated even in Muslim chant.
It is mentioned, that both sacred and secular music of the Kistis from the Pankisi Gorge are based on the bourdon form of polyphony, characteristic to East Georgian music tradition.



## jon a. gremi
aSS

მუშაობს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად მუსიკოლოგიაში, პრინსტონის უნივერსიტეტში (აშშ). არის უესლის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის ბაკალავრი. თავისი საავტორო პროექტი მიუძღვნა ქართულ ლიტურგიკულ მუსიკას. 2003 წ. საქართველოში პირველად იმოგზაურა. 2004-2006 წ.წ. საქართველოში იმყოფებოდა ფულბრაითის სამეცნიერო გრანტით, რის ფარგლებშიც იკვლევდა ქართულ ხალხურ და სასულიერო მუსიკას. ჩართულია ქართულ-ამერიკულ გაცვლით პროგრამებში, რასაც ანჩისხატის ტაძრის გუნდისა (2005) და ზედაშეს (2007) მის მიერ ორგანიზებული ამერიკული ტურნეები მოწმობს. არის კულტურული ტურიზმის სამონასტრო მარშრუტების ორგანიზატორი აღმოსავლეთ საქართველოში. ავტორია ქართულ ლიტურგიული მუსიკისადმი მიძღვნილი ვებ გვერდისა www. georgianchant.org

### fanqari werda, saSleli ki Slida: qarTuli sagaloblis sam xmaze gawyoba XX saukunis dasawyisSi

1913-1914 წლებში ექვთიმე კერესელიძემ, ფილიმონ ქორიძის მიერ დატოვებულ ათასობით ხელნაწერთა მოწესრიგების გამო, რაჟდენ ხუნდაძეს მიმართა და საგალობლების სამ ხმაზე გაწყობაში დახმარება სთხოვა. ათასზე მეტ საგალობელს, ხუნდაძემ მოძახილი და ბანი შეუწყო. ორი ხელნაწერის (Q688, Q689) მიხედვით ირკვევა, რომ ხმათა შეწყობის ხუნდაძისეული ვარიანტების ნაწილი მოგვიანებით სხვა ხელმა გადაწერა. მოხსენებაში განხილულია საგალობელთა სამ ხმაზე გაწყობის განსხვავებული სტილი. ავტორი ეხება იდუმალ მგალობელს, რომელმაც ასევე წვლილი შეიტანა საგალობელთა იმ სახით განსაზღვრაში, როგორითაც ისინი დღეს იგალობება.

## JOHN A. GRAHAM
USA

Is currently pursuing a Ph.D. in musicology at the Princeton University, USA. Has a bachelor's degree in Ethnomusicology from Wesleyan University, where he completed an independent senior project on Georgian liturgical music. Initially travelling to Georgia in 2003, he received a Fulbright research grant in 2004, and continued to live in Georgia for two years studying the Georgian folk and sacred music revivals. John is actively involved in cross-cultural exchange with Georgia through the organization of US based choir tours --the critically acclaimed Anchiskhati Church Choir (Oct. 2005) and the Zedashe Folk Ensemble (Oct. 2007) -- and as the organizer of Monastery Tours for cultural tourists in Eastern Georgia. John maintains a website, www.georgianchant.org, dedicated to the research of Georgian liturgical music.

### PENCILS AND ERASERS: HARMONIZING GEORGIAN CHANT IN THE EARLY 20TH CENTURY

Faced with the task of organizing thousands of Pilimon Koridze's rough-draft chant transcriptions, Ekvtime Kereselidze employed the assistance of priest Razhden Khundadze in 1913-1914.Khundadze wrote the second and third voice harmonies to more than one thousand chant melodies, but recent research on two manuscripts (Q688, Q689) reveals that his original harmonies were erased and rewritten by another hand. This paper discusses the varying styles of harmonization, and explores the identity of the mysterious chanter who contributed to the canon of Georgian chant as it is sung today.



## ekaterine diasamiZe
saqarTvelo

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (კულტურული ანთროპოლოგია). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი (მუსიკის თეორია, ფოლკლორი) და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორია (სასულიერო მუსიკა). აქვე გაიარა ერთწლიანი სტაჟირება, კონცერტებით გამოდიოდა ძველი რუსული საეკლესიო გალობის ანსამბლის *ключ разумения*-ს შემადგენლობაში. მისი კვლევის სფეროა აღმოსავლეთ ქრისტიანული საეკლესიო მუსიკის თეორია და მრავალხმიანი საეკლესიო გალობა. მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევების ცენტრისა და ორჰუსის უნივერსიტეტის ერთობლივ საერთაშორისო სემინარში „რელიგიისა და სეკულარიზმის ანთროპოლოგიური კვლევები“. არის სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები პრესაში. 2007 წლიდან კლასიკური მუსიკის რადიო *მუზა*-ს პროგრამების ხელმძღვანელი და რადიოწამყვანია.

### mravalxmianobis formebi rusul saeklesio galobaSi

რუსული საეკლესიო გალობის უძველესი, მონოდიური შრე თვალსაჩინოდ ასახავს ზოგადქრისტიანული მართლმადიდებლური საეკლესიო გალობის ფორმებსა და კანონებს. მასში ასევე გამოვლენილია სლავური მუსიკალური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.
მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ეკლესიას განვითარების ხელისშემშლელი პირობები არ ჰქონია, უძველესი რუსული სამგალობლო ტრადიციები თანდათან დავიწყებას მიეცა და მათი ადგილი სასულიერო კონცერტმა დაიმკვიდრა. მოხსენებაში განხილულია რუსული მრავალხმიანი გალობის ძველი, „პარტესამდელი“ ფორმები, რომლებიც ხელნაწერთა სახით XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან ფიქსირდება. მრავალხმიანობის ასეთ ფორმებად მიჩნეულია „პუტნო-დემესტვენნოე“ ნოტაციით აღბეჭდილი საგალობლები, რომლებიც მრავალხმიანობის ორგვარ ტიპს – „დემესტვენნოეს“ და „სტროჩნოეს“ გულისხმობს. მოხსენებაში წარმოდგენილია ორივე ტიპის საგალობლები; პარალელები გავლებულია ე. წ. ზნამენურ და პარტესულ მრავალხმიან გალობასთან, რის შედეგადაც მრავალხმიანობის ძველი, „ტრადიციული“ ფორმებისათვის დამახასიათებელი ძირითადი შტრიხები ვლინდება.

## EKATERINE DIASAMIDZE
GEORGIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Ph.D. student (Cultural Anthropology, since 2008). Graduated from Tbilisi State Conservatoire (Music Theory and Folklore) the St. Petersburg State Conservatoire (Sacred music), completed one-year program of predoctoral coursework in Musicology (2005-2006). Was a performer with old Russian chant ensemble “Kluch Razumeniya” (St. Petersburg). Her research focuses on the theory and practice of Eastern Orthodox liturgical music especially in its polyphonic forms, has participated at national and international conferences and symposia. Is involved in an ongoing international cross-disciplinary seminar “Anthropological Approaches to Religion and Secularism” hosted by Tbilisi State University in cooperation with the Central Asia and the Caucasus at Harvard University and Aarhus University. Is the author of several scientific publications and articles. Since 2007 has been Classical music program director and presenter at Radio Muza, is engaged in several international trainings and public broadcasting forums in Europe and USA.

### EARLY FORMS OF POLYPHONIC IN RUSSIAN CHANT

The oldest, monodic stratum of the Russian chant originating from the Byzantine tradition has special significance among Eastern Orthodox Churches. While demonstrating the musical characteristics of the Slav cultures, it also displays the forms and canons of early Orthodox chant. Despite the fact, that nothing prevented the development of the Russian Church, the old traditions gradually fell into oblivion and traditional chant was replaced by the so-called “sacred concerts.” From the end of the 19th century through the 20th century there was an ongoing process in Russia to research and recover traditional church chant. This essay considers several types of Russian polyphonic chant (pre-Partesny singing) which are preserved in manuscripts from the 1520s. Written in “Putno-Demestvennoe” notation, that include “Strochnoe” and “Demestvennoe” polyphonic forms, these chants are considered highly dissonant and irregular as compared to other - “Znamenny” and “Partesny” Russian styles.

## malxaz erqvaniZe
saqarTvelo



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებისა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი, ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი სახელოსნოს ხელმძღვანელი, ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის დამაარსებელი და რეგენტი 1988-2007 წლებში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით (1990 წ.). მისი საქმიანობა მიმართულია მივიწყებული ხალხური სიმღერებისა და უძველესი ქართული საგალობლების აღდგენის, აგრეთვე მათი სწორი საშემსრულებლო მანერის დაცვისკენ. ამჟამად ხელმძღვანელობს ფოლკლორულ ანსამბლ *სახიობასა* და მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდს. გამოცემული აქვს რამდენიმე CD. ეწევა საექსპედიციო საქმიანობას, კონსულტაციებს უწევს ქართული სიმღერა-გალობის შემსრულებლებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. გამოქვეყნებული აქვს ქართული გალობის ხუთი სანოტო კრებული. მისი ნაშრომები ეძღვნება ქართულ ბგერათწყობასა და ქართული მრავალხმიანობის ბუნებას.

### qarTuli bgeraTwyoba praqtikaSi

ავტორმა თავისი თვალსაზრისი ქართული ბგერათწყობის სისტემის შესახებ წარმოადგინა ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმზე [„ქართული მუსიკის ბგერათწყობა (პრობლემები, მოსაზრებები)“, კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 2003]. ამჯერად იგი თბილისის მამა დავითის ტაძრის გუნდთან ერთად წარმოადგენს ქართული ბგერათწყობის მოქმედებას სხვადასხვა სტრუქტურის მქონე სამგალობლო, სასიმღერო და ინსტრუმენტულ მუსიკაში, შესაბამისი კომენტარებით.

## MALKHAZ ERKVANIDZE
GEORGIA

A teacher at the Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire and theological Seminary. Leads one of the work-shops at the High School of Georgian Chant and Song, Founder. Was the leader (1988-2007) of Anchiskhati Church Choir. Graduated from the faculty of musicology of Tbilisi State Conservatoire (specialized in folklore, 1990). His scholarly interest is focused on the revival of lesser known Georgian folk songs and ancient church chants and on the maintenance of the correct form of their performance manner. He directs folk ensemble Sakhioba and Mama Daviti Church choir. Has published several CDs; leads consultations for folk and church choirs in Georgia and abroad. Carries out active field work activity His works are dedicated to Georgian scale and the nature of Georgian multi-part singing. Has published 5 collections of transcriptions of Georgian church hymns with his prefaces.

### GEORGIAN SCALE SYSTEM IN PRACTICE

The author presented his view on Georgian scale system at the First International Symposium on Traditional Polyphony [“Georgian scale system (problems, viewpoints)”, in The First International Symposium on Traditional Polyphony, Tbilisi, 2003]. Now he presents the function of Georgian scale system in chant, song and instrumental music with various structures, enclosed with corresponding comments.



## po l o va l eho
espaneT i

მადრიდის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი, კომპოზიტორი და პედაგოგი, მონრეალის (კანადა) მუსიკის ანთროპოლოგიისა და შედარებითი მუსიკოლოგიის ლაბორატორიის წევრი. კარლ ორფის (მიუნხენი) ფონდის სამეურვეო საბჭოს წევრი. 5 კონტინენტის პრესტიჟული უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორი. 1987 წლიდან იკვლევს აფრიკულ მუსიკას, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ვაგოგოს (ტანზანია) მუსიკალური მემკვიდრეობა: კონტექსტი და სისტემატიკა". მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის განსაკუთრებული ჯილდო (2005) და ჰუმანიტარული ჯილდო (2007). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, წიგნი, აუდიოდოკუმენტი, სხვებთან ერთად ავტორია ფილმისა აფრიკა: *რიტმი.* პროფესორ სიმჰა არომთან ერთად 2006 წლიდან ატარებს ექსპერიმენტს ქართულ მრავალხმიანობაში,განსაკუთრებით – მის ჰარმონიულ გრამატიკაზე. თანამშრომლობს ანსამბლ *ბასიანთან.*

### akordis sintaqsis monaxazi zogierT megrul simReraSi
(**სიმჰა არომთან** თანაავტორობით)

2008 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოხსენების „ქართული მრავალხმიანი სიმღერების აკორდის სინტაქსი" შემდეგ გავაგრძელეთ 2003 წელს გამოცემული კრებულის – „ქართული ხალხური სიმღერა – სამეგრელო" – ნიმუშების კვლევა.
ამ დროისთვის ჩვენ შევამოწმეთ E და A კილოების ნიმუშების აკორდები, და მათი მუდმივი და ცვალებადი ელემენტები.
ნაშრომში საუბარია შემდეგ საკითხებზე:

- კადანსები;
- კილოში ზოგიერთი საფეხურის მობილურობა;
- ბანის პარტიაში საფეხურებისა და მოცემულ კილოში არარსებული საფეხურების სტატუსი;
- თითოეული ფუნდამენტური საფეხურის აკორდის კონფიგურაცია;
- და ბოლოს, ბანის პარტიის სხვადასხვა საფეხურებს შორის ურთიერთობა და მათი შესაბამისი აკორდების კონფიგურაციები.

## POLO VALLEJO
SPAIN

Doctor in Ethnomusicology, Composer and Pedagogue. Member of the MCAM -Laboratoire de Musicologie Comparée et Antrophologie de la Musique-, Montreal (Canada). Member of the Carl Orff Foundation (Munich) Board of Trustees. Internationally recognized due to his experimental and practical works in Ethnomusicology and Music Education. Guest Teacher and Lecturer in prestigious universities on the five continents. Traveling to black Africa since 1987 where he made his Doctoral Thesis "Wagogo Musical Heritage (Tanzania): Context and Systematic", Extraordinary PhD Award 2005 and Humanities Award 2007. Has published numerous articles, books, audio documents, and a film ("Africa: The Beat") concerning the symbiosis between music and life in black Africa. In addition to pedagogic projects and didactic concerts, and together with Professor Simha Arom, he has been carrying out, an experimental work in Georgia regarding it's vocal polyphonies since 2006. Collaborates with the Ensemble Basiani.

### OUTLINE OF A SYNTAX OF CHORDS IN SOME SONGS FROM SAMEGRELO
(Co-author **Simha Arom)**

Following our presentation on the syntax of chords in Georgian polyphonic songs at the Fourth International Symposium on Traditional Polyphony in 2008, we focused our work of a body of songs from Samegrelo published in the book "Georgian Folk Music – Samegrelo" (2003).
Thus far we have examined chords of songs that we considered to be in the modes of E and A, looking at their constants and their variables. Our presentation takes into account:

- the cadences
- the mobility of certain degrees within the mode
- the status of the degrees present in the bass part and those that are absent in a given mode
- the configuration of the chords that each fundamental degree allows
- lastly, the relationship between various degrees of bass part and the configurations of their respective chords.



## natalia zumbaZe
saqarTvelo

მუსიკოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებისა და სტუდენტური ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის კონსულტანტი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *მზეთამზეს* წევრი, სხვადასხვა შემოქმედებითი კავშირის, კომისიის, აგრეთვე დათვალიერება-ფესტივალისა და კონფერენცია-კონკურსის ჟიურის წევრი. მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. მუშაობს ფოლკლორულ-საგამომცემლო, მათ შორის, აუდიოალბომების გამოცემის სფეროში (როგორც ავტორი, შემდგენელი, რედაქტორი და კონსულტანტი). ეწევა ფოლკლორულ-შემკრებლობით საქმიანობას. ავტორი,ორგანიზატორი და წამყვანი ფოლკლორული (მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო) კონცერტებისა, საერთაშორისო ფესტივალებისა, საღამოებისა და ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენციებისა. თბილისის კონსერვატორიაში ასწავლის ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას, ხალხური სიმღერის გაშიფრვას და სპეციალობას (ფოლკლორს), ხელმძღვანელობს სადოქტორო დისერტაციებს, სამაგისტრო და საბაკალავრო დიპლომებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ხალხურ შემსრულებელთა კონსულტანტი. ატარებს მასტერკლასებს ქართულ ხალხურ სიმღერაში ევროპის უნივერსიტეტებსა და კონსერვატორიებში; ხელმძღვანელობს მათ საკონცერტო ტურნეებს. არის ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი.

### kavkasiel xalxTa mravalxmianoba da misi mimarTeba qarTulTan (audioalbomis _ ~kavkasiel xalxTa musika Tbilisis saxelmwifo konservatoriis fonoarqividan~ _ mixedviT)

(**ქეთევან მათიაშვილთან** თანაავტორობით)

მოხსენებაში ქართულ ტრადიციულ მრავალხმიან მუსიკასთან მიმართებაშია განხილული თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ორ ფოლკლორისტულ ექსპედიციაში (აფხაზეთი, 1956 და ყარაჩაი-ჩერქეზეთი, 1957) ვ. ახობაძის მიერ ჩაწერილი ყარაჩაული, ჩერქეზული და აფხაზური მრავალხმიანი ნიმუშების ერთი ნაწილი. მათი შედარება საერთოკავკასიური ძირების კვლევის გზაზე აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს და ამ რეგიონის ხალხთა მუსიკალური კულტურების ურთიერთობის შესწავლის ახალ პერსპექტივებს სახავს.

## NATALIA ZUMBADZE
GEORGIA

Doctor of Musicology, Head of the Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire; director of the Conservatoire student folk ensemble; Consultant at the Georgian Folk State Center; a member of women's folk Ensemble "Mzetamze". An expert in Georgian folk music. A member of various Artistic Unions and Commissions; Has participated in a number of International Conferences and Symposia in Georgia and abroad. Is the author of over 50 scientific publications. Works on folk publications (including audio albums) as author, compiler, editor and consultant). Leads folk activity as a compiler. Is the author, organizer and presenter of folk concerts (including educational ones), of international festivals, folk evenings and ethnomusicological conferences. Teaches Georgian folk music, transcription of folk examples and specialty (folklore) at Tbilisi State Conservatoire. Supervises doctoral dissertations, Magistracy and Bachelor diplomas. Consultant of the folk performers in various regions of Georgia. Leads work-shops in Georgian folk singing at various Universities and Conservatoires in Europe as well as for professional and amateur ensembles. Directs their concert tours. Is the laureate of the Folklore National Award.

### POLYPHONY OF THE PEOPLES OF THE CAUCASUS WITH RESPECT TO GEORGIAN POLYPHONY (BASING ON THE AUDIO ALBUM „THE MUSIC OF THE CAUCASIAN PEOPLES FROM THE PHONOARCHIVE OF THE TBILISI STATE CONSERVATOIRE"

(Co-author **Ketevan Matiashvili**)

The paper discusses part of Karachaian, Cherkessian and Apkhazian polyphonic music examples recorded by Vladimer Akhobadze during two field expeditions (in Apkhazia, 1956 and Karachay –Cherkess Republic, 1957). Their comparison is an essential stage and provides new prospects in the study of the relations between the musical cultures of the peoples in the region.



## elena iovanoviCi
serbeTi

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბელგრადის მუსიკოლოგი-ის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ძირითადად იკვლევს სერბულ ტრად-იციულ ხალხურ სიმღერას ცენტრალურ სერბეთსა და ბანატში (რუმინულ ნაწილში) საველე ექსპედიციების დროს მის მიერვე ჩაწერილ მასალაზე დაყრდნობით. ასევე მუშაობს ქალაქებში ტრადიციული მუსიკის აღორძინების საკითხებზე. არის ქალთა ვოკალურ ანსამბლ *მობას* (რომელიც ასრულებს სერ-ბეთის სხვადასხვა რეგიონების სოფლურ სიმღერებს) ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

### hibriduli vokaluri formebi - axali da Zveli vokaluri stilebisa da centraluri serbeTis tradiciuli musika-luri dialeqtebis nazavi

ე.წ. ტრადიციული სოფლური სიმღერის ჰიბრიდული ფორმები (ტერმინი ეკუთვნის დრაგოსლავ დევიჩს) განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ცენტრალური სერბეთის (შუმადიას რეგიონი) ქალ მომღერლებს შორის. ამ ფორმების, როგორც ამ კუთხის ვოკალური მემკვიდრეობის, ცნობა ადვილია. ეს არის ვოკალური შრე, რომელშიც ჩანს სერბეთის სოფლური სიმღერის ძველი და ახალი სტილები,სხვა-დასხვა ვოკალური დიალექტების გავლენა. ცენტრალურ სერბეთში ჰიბრიდული ფორმების არსებობა აიხსნება, როგორც ამ რეგიონში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე სხვადასხვა მიგრაციული ნაკადისა და სხვადასხვა რეგიონში წარმო-შობილი ვოკალური დიალექტების გადაკვეთის შედეგი.
ჰიბრიდულ ფორმებში შეიმჩნევა ძველი და ახალი სტილების ვოკალური ესთეტიკა და სერბეთის სოფლური სასიმღერო მემკვიდრეობის სხვადასხვა დიალექტის ზოგიერთი სახასიათო ნიშანი.

## JELENA JOVANOVIĆ
SERBIA

Ethnomusicologist, M.A., Research Assistant at the Institute of Musicology in Belgrade. Main area of her research is Serbian traditional folk singing, based on her own field recordings in Central Serbia and in the Romanian part of Banat, as well as the revitalization of traditional music in urban areas. She is one of the founders and leaders of female vocal ensemble Moba that performs Serbian rural songs from different geographic regions.

### HYBRID VOCAL FORMS – MIXTURE OF OLDER AND NEWER VOCAL STYLES AND OF TRADITIONAL MUSIC DIALECTS IN CENTRAL SERBIA

The So-called hybrid traditional vocal rural forms (term for the first time used by Prof. Dragoslav Dević) are especially favoured among women singers in Central Serbia (Šumadija region). Their physiognomy is recognizable as the mark of vocal heritage of this county. It is a vocal layer in which the features of older and newer Serbian rural singing styles,
as well as the influences of different vocal dialects may be recognized. The presence of hybrid forms in the area of Central Serbia has been explained as the result of long-lasting crossing of different migration streams in the region, as well as crossing of vocal dialects that originate from different former home regions.
In the paper, the attention will be focused on the characteristics of hybrid forms, which point to older and newer rural style vocal aesthetics, as well as to the origin of certain characteristics in different dialects of Serbian rural vocal heritage.

## norie kavai
iaponia



ფილოსოფიის დოქტორი, მეცნიერების განვითარების საერთაშორისო ფონდის უფროსი მეცნიერ-მუშაკი. ვასედას უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. აწარმოებს მრავალ-დისციპლინურ კვლევას ფსიქიატრიულ ნეირომეცნიერებაში, ტვინის კვლევაში, ეთნოლოგიასა და საინფორმაციო მეცნიერებაში. იკვლევს საკუთრების ტრანსის ფიზიოლოგიურ საფუძველს. მან პირველმა გადაიღო ინდონეზიის კუნძულ ბალიზე რიტუალურ ტრანსში მყოფი ადამიანების ელექტროენცეფალოგრამა და გაზომა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რა კვლევამაც საერთაშორისო ინტერესი გამოიწვია. როგორც ანსამბლ გეინო-იამაშიროგუმის წევრი, ხელმძღვანელობს, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა კულტურების საგუნდო მუსიკისა და ცეკვის კონცერტებს და თავადაც მონაწილეობს მათში. იგი წარმატებით აწყობს ქართული საგუნდო კოლექტივების საკონცერტო ტურნეებს იაპონიაში. მის მოღვაწეობას ნაწილობრივ მხარს უჭერს დოქტორ კავაის სამეცნიერო კვლევის მხარდამჭერი საზოგადოება.

### qarTuli tradiciuli mravalxmianobis bgeris struqturis Seswavla: temperirebuli struqturis analizi

**(მორიმოტო მასაკოსთან, ჰონდა მანაბუსთან, ონოდერა ეიკოსთან, ნიშინა ემისთან და ოოჰაში ცუტომუსთან** თანაავტორობით).

მოხსენებაში განხილულია ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ტემპერირებული სტრუქტურა, როგორც სპეციფიკური ჰარმონიის წარმოქმნის მთავარი ფაქტორი. პროფესორ ანზორ ერქომაიშვილისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ მოწოდებული ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ამსახველ მაღალი ხარისხის ჩანაწერის კომპაქტურ დისკზე დაყრდნობით, გაანალიზდა ქართული ტრადიციული მრავლხმიანობის წყობის სტრუქტურა და იგი შედარდა იდენტურ ტემპერაციას, რომელიც პოპულარულია დასავლეთის თანამედროვე მუსიკაში, ასევე – სუფთა და სხვა ამგვარ წყობას. აღმოჩნდა,რომ ქართული ტრადიციული წყობის განსაკუთრებული ხასიათი მნიშვნელოვნად განასხვავებს მას სხვა არსებული წყობისგან. როგორც ჩანს, წყობის სპეციფიკური სტრუქტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის მომნუსხველი აკუსტიკური ჟღერადობის წარმოქმნაში.

## NORIE KAWAI
JAPAN

Ph.D., Senior Researcher, Foundation for Advancement of International Science. Visiting Professor, Waseda University. Carries out multi-disciplinary research in psychiatric neuroscience, brain science, ethnology and information science. She has been exploring the physiological basis of possession trance. She is the first person to successfully take electroencephalograms of and measure biologically active substances in people in possession trance during ritual ceremonies on Bali Island, Indonesia. Her research has attracted considerable international attention. As a member of Geinoh-Yamashirogumi, Dr. Kawai directs, produces and participates in many of its performances of choral music and dance of various cultures. She is credited with great success in arranging the concert tours in Japan of Georgian chorus groups. This work was supported in part by the Japan Society for the Promotion of Science through Grants-in-Aid for Scientific Research for Dr. Kawai.

### STUDY ON THE SOUND STRUCTURE OF GEORGIAN TRADITIONAL POLYPHONY: ANALYSIS OF THE TEMPERAMENT STRUCTURE

(Co-autors **Mirimoto Masako, Honda Manabu, Onodera Eiko, Nishina Emi and Oohashi Tsutomu)**

We are interested in the temperament structure of Georgian traditional polyphony as a key factor producing its specific harmony. Based on the special compact disk (CD) recording Georgian traditional polyphony with high fidelity for a research purpose, which Professor Anzor Erkomaishvili and International Center for Georgian Folk Song kindly provided us, we analyzed the temperament structure of Georgian traditional polyphony with comparing equal temperament, which is most popular in Western modern music, pure temperament and others. It was revealed that the temperament of Georgian traditional polyphony significantly differs from equal temperament. In addition, it has a specific character different from that of any other existent temperaments. The specific structure of temperament seems to play an important role in generating attractive acoustic characters of Georgian traditional polyphony.



## rie koCi
iaponia

იაპონელი ეთნომუსიკოლოგი და მუსიკის პედაგოგი. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის მუსიკის განყოფილების ეთნომუსიკოლოგიის ბაკალავრი (1985); ტოკიოს გაკუგეის უნივერსიტეტის მუსიკის განყოფილების ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი (1988); 1994 წლიდან არის ჰოკაიდოს აინების კულტურის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი. ჩატარებული აქვს ექსპედიციები აინებთან (იაპონია), ჩუქჩებთან და კორიაკებთან (რუსეთი). სწავლობდა აინებისა და სხვა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა მუსიკალურ ენას. გამოცემული აქვს მთელი რიგი ნაშრომები, მათ შორის – აინების მუსიკაზე.

### ainebis tradiciuli musikis mravalxmianobis stilebi da zogierTi uaxlesi cvlileba

აინებს, იაპონიის კუნძულებისა და მიმდებარე ტერიტორიების ძირძველ მოსახლეობას, მიიჩნევენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე იზოლირებულ მოსახლეობად, იზოლირებული ენით, გარეგნობითა და უძველესი კულტურის ბევრი ელემენტით. გარდა ამისა, აინებს აქვთ მრავალხმიანი სიმღერის აღმოსავლეთ აზიისათვის უჩვეულო ტრადიცია.

აინების ტრადიციულ სიმღერებში რამდენიმე მოკლე მელოდიური მოტივი მეორდება. დღეს აინების ვოკალურ მუსიკაში (არაინდივიდუალურ სიმღერებში) გვხვდება სხვადასხვა მუსიკალური სტილები.

ნაშრომში მოცემულია აინების ტრადიციული ვოკალური მუსიკის კონტურები და განხილულია მათი სიმღერის სტილები ჟანრების, რეგიონებისა და ქრონოლოგიური ცვლილებების მიხედვით, აგრეთვე – აინების ახალგაზრდა თაობის მოძრაობა.

## RIE KÔCHI
JAPAN

Japanese ethnomusicologist and music educator. Received M.E. in 1988 from the Music Department of the Tokyo Gakugei University, and B.E. in 1985 from the Music Department of the Hokkaido University of Education Sapporo. From 1994 she is a staff member as a researcher at the Hokkaido Ainu Culture Research Center (HACRC). Conducted fieldworks among the Ainus (Japan), also among the Chukches and the Koryaks (Russia). Studied musical language of Ainu traditional songs and several north-eastern Asian peoples. Is the author of a number of publications,including the ones on Ainu music.

### ON THE POLYPHONIC SINGINIG STYLES IN AINU TRADITIONAL MUSIC AND SOME RECENT CHANGES

The Ainus, indigenous people of the Japanese islands and adjacent territories, are considered one of the most isolated peoples of the world, with the isolated language, physical appearance and many elements of ancient culture. Also, uniquely for the whole East Asia, there is a tradition of polyphonic singing among the Ainus.

Most of Ainu traditional songs consist of repetitions of few brief melodic motives. At present, we can hear different musical styles in Ainu vocal music (in non-individual songs).

For this symposium, I am going to introduce the outline of Ainu traditional vocal music, and to discuss these singing styles in reference to the genres and regions, chronological changes, and recent movements among the younger generations of Ainu people.



## andrea kuzmiCi
kanada

ეკონომიკური განათლების (მაკმასტერის უნივერსიტეტი) მქონე ანდრეა კუზმიჩი მუსიკით დაინტერესდა 1990-იანი წლების დასაწყისში, მალავიდან (აფრიკა) დაბრუნების შემდეგ. შეისწავლა ვოკალური მუსიკის სხვადასხვა სტილი, გამორჩეულად კი – ჯაზი და ხალხური მრავალხმიანობა. მღერის ანსამბლებში *დარბაზი* და *ზარი*, მოწვეული პედაგოგის რანგში ლექციებს კითხულობდა ნიუ-იორკისა და ტორონტოს უნივერსიტეტებში, ხელმძღვანელობდა „მსოფლიო მუსიკის“ გუნდს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, აქვე მიიღო მაგისტრის ხარისხი. ამჟამად არის ფილოსოფიის დოქტორი ეთნომუსიკოლოგიაში. მისი მიმდინარე კვლევა დაფინანსებულია იორკის უნივერსიტეტის, ონტარიოსა და კანადის მთავრობების გრანტებით.

### qarTuli polifoniis gardamavali memkvidreoba: qarTuli xalxuri simRerebis axali praqtikosebi da warsulis memkvidreoba

მიიჩნევენ, რომ ქართული მრავალხმიანი მუსიკა ათასწლეულებს ითვლის და განუყოფლად ასოცირდება წინაპრების დანატოვართან და წარსულთან, რომელშიც ასახულია ამ რეგიონის ისტორიული და გეოპოლიტიკური პერიპეტიები. ბოლო ხანს არაქართველი მომღერლების სულ უფრო გაზრდილი საერთაშორისო საზოგადოება წამოსწევს საკითხს, როგორ ფუნქციონირებს ასეთი ნარატივი ტრანსნაციონალურ კონტექსტში.

სიგერის (1993), შელემეისა (1998) და ბითელის (2006) ნაშრომებზე დაყრდნობით ნაშრომში განხილულია, როგორ ხდება, რომ ხალხური მუსიკის შესრულება არა მარტო აგრძელებს წარსულს, არამედ ახდენს აწმყოში სიმღერით წარსულის კონსტრუქციას (ან რეკონსტრუქციას). 1996 წლიდან ტორონტოს არაქართველი მომღერლების საზოგადოებაში საქმიანობისა და არაქართველ მომღერალთა საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძველზე, მოხსენებაში შესწავლილია, როგორ და რატომ ხდება წინაპრების ჩანაფიქრის რეალიზება სხვა ტრადიციული მუსიკის შესრულებისას.

## ANDREA KUZMICH
CANADA

Initially trained as an economist at McMaster University, Andrea Kuzmich turned to music in the early 1990s after returning from her position as a health administrator in Malawi, Africa. She studied vocal music in its many forms, with a specialty in jazz and Georgian polyphony. She sings in the award winning ensembles Darbazi and Zari, has guest lectured at York University and the University of Toronto, and has directed the World Music Chorus at York University, where she completed her Masters Degree and is currently a PhD candidate in Ethnomusicology. Andrea's current research is supported by grants from York University and the Ontario and Canadian Governments.

### THE TRANSNATIONAL ANCESTRY OF GEORGIAN POLYPHONY: OTHER PRACTITIONERS OF TRADITIONAL GEORGIAN SONGS AND NARRATIVES OF THE PAST

Modern-day Georgia's cultural legacy stems in large part from the country's fifteenhundred-year-old history as a small Christian nation fighting for survival amongst greater powers present in the Caucasus. Georgians' practice of their polyphonic music, believed to be a millennia old tradition, is inescapably associated with narratives of ancestry and the past that reflect the historical and geopolitical struggles of this contested nation. A growing international community of non-Georgian singers, however, beckons the question of how such narratives function in a modern transnational context. Expanding on the work of ethnomusicologists like Seeger (1993), Shelemay (1998), and Bithell (2007), this paper considers how the performance of traditional music not only involves continuity with the past but also involves the construction (or reconstruction) of the past in the present through songs. Based on my own activity in the Toronto Georgiansinging community since 1996, and my network with the international Georgian-singing community, this paper considers how and for what purpose ancestry is experienced in the singing of another's traditional music.



## gerda lexlaitneri
avstria

მუსიკოლოგი, ამჟამად – ისტორიული კოლექციების კურატორი და ვენაში ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ლინგვისტიკისა და აუდიოვიზუალური მასალის ცენტრის ფონოგრამ-არქივის მიერ გამოშვებული კომპაქტური დისკების სერიის რედაქტორი. მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორისაა „ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ფონოგრამ-არქივის ხმოვანი მასალა. სრული ისტორიული კოლექციები 1899-1950 (სერიები 1-12, ვენა; ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია, 1999-2009)“. მისი კვლევის საგანია 1900-იანი წლების ინტელექტუალური ისტორია, ხმოვანი არქივებისა და მათი კოლექციების ისტორია და პროექტები ნონა ლომიძესთან ერთად – ვენის მრავალკულტურული ცხოვრება (ბუხარელი და ქართველი ებრაელები, იაპონურ-ავსტრიული ურთიერთობები).

### mravalxmiani musikis adreuli xmovani masalebi: koncefciebi da istoriuli konteqsti, gaSifrva da interpretacia

(**ნონა ლომიძესთან** თანაავტორობით)

აღმოჩნდა, რომ ვენის ფონოგრამ-არქივში, სადაც ინახება მთელი მსოფლიოს უძველესი ხმოვანი მასალა, მრავალხმიანი მუსიკა გაცილებით ნაკლებადაა წარმოდგენილი, ვიდრე ინდივიდუალური, რადგან, ტექნიკური თვალსაზრისით, ადვილი არ იყო ერთზე მეტი შემსრულებლის ჩაწერა.
ნაშრომში მოცემულია ფონოგრამარქივში დაცული სხვადასხვა მრავალხმიანი ტრადიციის ისტორიული ჩანაწერების მოკლე მიმოხილვა. ავტორები გვთავაზობენ ისტორიული კონტექსტის ახსნას ფოტოების, მოგზაურთა ჩანაწერებისა და პუბლიკაციების საშუალებით.
ნაშრომში საუბარია გაშიფრვაზე, როგორც ანალიტიკური კვლევის ერთ-ერთ წინაპირობაზე, ყურადღება გამახვილებულია მრავალხმიანი სიმღერის სხვადასხვა ფორმაზე, კონცეფციებზე, შესრულების თავისებურებებსა და ემოციურ ასპექტზე.
ჩაწერის გარემოს, კვლევის მიზნისა და შემსრულებლის ქცევის გათვალისწინებით, ასეთი ანალიზი გვთავაზობს მრავალხმიანი სიმღერის სხვადასხვა პრაქტიკის ინტერპრეტაციისა და განხილვის ახალ გზებს. ასეთმა მიდგომამ, შესაძლოა, მოგვცეს მრავალხმიანი მუსიკის მეტ-ნაკლებად ზოგადი განხილვის საშუალება.

## GERDA LECHLEITNER
AUSTRIA

Musicologist, is currently working as the curator of the historical collections and the editor of the CD series at the Phonogrammarchiv, Centre for Linguistics and Audiovisual Documentation, of the Austrian Academy of Sciences in Vienna. Her publications include "Sound Documents from the Phonogrammarchiv of the Austrian Academy of Sciences. The Complete Historical Collections 1899-1950" (Series 1-12, Wien: Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften, 1999-2009). Her topics of study include the intellectual history around 1900, the history of sound archives and their holdings as well as projects – in cooperation with Nona Lomidze – documenting the multicultural life in Vienna (Bukharian and Georgian Jews, Japanese-Austrian relationship).

### EARLY SOUND DOCUMENTS OF MULTIPART MUSIC: CONCEPTS AND HISTORICAL CONTEXT, TRANSCRIPTION AND INTERPRETATION

(Co-author **Nona Lomidze**)

The Phonogrammarchiv in Vienna houses some of the oldest sound documents worldwide. Focussing on recordings with multipart music it turns out that this genre is less represented in the collections than solo music. For technical reasons it was not easy to record more than one performer.
This paper will give a short overview of various historical recordings of multipart singing traditions collected in the Phonogrammarchiv. The historical context will be explained by pictures, travel reports and publications; transcription is one of the prerequisites for analytical research. Using some examples from the historical holdings the presentation will focus on various forms of multipart singing, concepts and particularities of performance practise as well as emotional dimensions.
Referring to the findings about the recording situation, research goals or the performers' acting such an analysis offers new ways of interpretation and discussion of multipart music practices. This approach could offer a chance to include historical recordings in the discussion of more or less general multipart music practices.



## mixeil lobanovi
ruseTi

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რუსეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის (სანქტ-პეტერბურგი) წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, რუსეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი (1967) და ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურა (1971). წლების მანძილზე მუშაობდა რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლი) ეთნომუსიკოლოგად. 1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გლაზუნოვის მელოსის ფოლკლორული სტილისტიკის შესახებ; 2000 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ვოკალური მელოდია-სიგნალები რუსეთში“.

### vepsebis erTblivi mRera da arqauli movlenebi baltikis qveynebis glexebis vokalur polifoniaSi

ვეპსები არიან უნგრულ-ფინური ენათა ჯგუფის ფინურ-ბალტიკური შტოს მცირერიცხოვანი წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობენ სამხრეთ კარელიასა და ლენინგრადის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში. მათი ცენტრები დღეს მხოლოდ დიდ სოფლებს წარმოადგენს. წარსულში მრავალრიცხოვანი ვეპსების რაოდენობა დღეს მხოლოდ 8000 შეადგენს (2002).

ვეპსების მრავალხმიანი სიმღერა რუსულენოვანია. 1960-იან წლებში ისინი ძლიერ ამახინჯებდნენ რუსულ ტექსტებს. 1990–იან წლებში ავტორმა ჩაიწერა მათ მიერ სწორი წარმოთქმით შესრულებული გვიანდელი შრის რუსული სიმღერები. მშობლიურ ენაზე ვეპსები მღერიან მხოლოდ სამგლოვიარო სიმღერებს, იავნანებსა და მოკლე სიმღერებს (ჩასტუშკებს).

ვეპსების მრავალხმიანობის საფუძველია რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში ფართოდ გავრცელებული უნისონური ჰეტეროფონია. ვეპსების სიმღერაში ყოველი სტროფი მთავრდება გრძელი ტონით, რომელიც გრძელდება, სანამ სხვა მომღერალი არ დაიწყებს მომდევნო სტროფს, რაც მას ლატვიურ პედალურ-ბურდონულ სიმღერასთან აახლოვებს. მოხსენებაში განხილულია სიმღერის ეს არქაული შრე.

## MIKHAIL LOBANOV
RUSSIA

Doctor of Arts, Professor at Herzen State Pedagogical University of Russia, Leading Scientific Worker at the Russian Institute of History of Arts, Member of Composers' Union of Russia. Specialized in Musicology and took Post Graduate Course at Leningrad Conservatory. For years worked as ethnomusicologist at the Institute of Russian Literature (Pushkin House). In 1976 defended first Doctoral thesis on the use of Russian folk music style in Glazunov's melodies. In 2000 defended second Doctoral thesis on Vocal Melodies-Signals in Russia.

### THE JOINT SINGING OF THE VEPSIANS AND ARCHAIC PHENOMENA IN PEASANT VOCAL POLYPHONY OF THE BALTIC COUNTRIES

The Vepsians are a minority of the Finnish-Baltic branch of the Ugro-Finnish language group. They occupy an area in Southern Karelia and East of the Leningrad province. Vepsian centres are large villages only. The Vepsians were numerous people in the past. Now, the number of the Vepsians is about 8000 (2002).

The repertoire of Vepsian polyphony consists of songs in Russian. The Vepsians sang with strong distortion of Russian texts in the 1960s. I recorded Russian songs of the late stratum with the right pronunciation from the vepsians in the 1990s. The Vepsians sing only laments, lullabies and short songs (chastushki) in their mother tongue.

The polyphonic basis of Vepsian music is unison heterophony that is widespread in Russian North-West. Special feature of Vepsian singing is completion of each strophe of song by a long tone that continues to sound when other singers begin to perform the following strophe. Such feature is similar to the pedal-bourdon songs of the Latvians. One is a base for the following part, the paper discusses an archaic stratum in singing.



## nona lomiZe
avstria/saqarTvelo

მუსიკის მაგისტრი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკოლოგიის სპეციალობით. იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, თბილისის მუსიკალური აკადემიის პედაგოგი, საქართველოს ტელევიზიისა და პრესის მუსიკალური მიმომხილველი.
იყო ვენის მუსიკის უნივერსიტეტისა და საშემსრულებლო ხელოვნების ასისტენტ--პროფესორი (ჰარმონია და კონტრაპუნქტი). ამჟამად არის ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ვენის ფონოგრამ-არქივის უშტატო თანამშრომელი (სეფარიდი ებრაელების კულტურული საქმიანობის ფიქსაცია ვენაში, იაპონური და ავსტრიული კულტურული ურთიერთობები).
არის რამდენიმე სტატიის ავტორი კომპიუტერის საშუალებით ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაშიფრვისა და ვენის ქართველ ებრაელთა სათვისტომოს მუსიკალური კულტურის შესახებ.
არის ვენის საერთაშორისო პრესის საზოგადოების წევრი.

### kaxuri simRerebis gaSifrvis sakiTxebi

მოხსენებაში მოცემულია კომპიუტერული პროგრამით გაშიფრული კახური სიმღერების ანალიზი, ბგერის სიმაღლის, ყოველი ბგერის ხანგრძლივობისა და ორნამენტაციის მაჩვენებელი სხვადასხვა ნიშნებით. მელიზმების გაშიფრვის დროს, რაც ასე მნიშვნელოვანია კახურ სიმღერაში, შესაძლებელია კლასიფიკაცია უფრო მეტად და ნაკლებად მნიშვნელოვანი მელიზმების გასარჩევად. ასევე შესაძლებელია ვიბრატოს (კახური სიმღერებისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურების) მოვლენის ანალიზი.

## NONA LOMIDZE
AUSTRIA/GEORGIA

Master of Music, graduated from Tbilisi State Conservatoire with a specialization in Musicology. She worked as a researcher at Tbilisi Pedagogical Institute, and as a lecturer at Tbilisi Musical Academy. She was also a music reviewer for television and press.
She worked as an assistant professor at the Vienna University of Music and Performing Arts (harmony and counterpoint).
At present she is a freelancer at the Phonogrammarchiv of the Austrian Academy of Sciences (Documentation of the Cultural Activities of Sephardic Jews in Vienna, Cultural Relationship between Japanese and Austrian Culture).
She published several articles on the computerised transcriptions of Georgian polyphonic songs and on the social aspects of the musical culture of the Georgian Jewish community in Vienna.
She is a member of the Society of the International Press in Vienna.

### A CHALLENGE IN MUSICAL TRANSCRIPTIONS OF KAKHETIAN SONGS

This presentation will deal with Kakhetian songs transcribed by a computer-assisted program. Thanks to this program the analysis resulted in a description of the songs, full with different marks indicating the exact pitch and duration of every single sound, including the ornamentations. When transcribing the melismas, which are so important for Kakhetian singing, a classification would be possible – to distinguish between the more and the less significant ones. Moreover the use of vibrato, a feature also very important when performing Kakhetian songs can be analyzed.



## iu-siu lu
taivani

ტაიპეის სუუჩოუს უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის პროფესორი. დაამთავრა ტაივანის ეროვნული უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი. მიიღო მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი ვენის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე. გამოქვეყნებული აქვს შემდეგი ნაშრომები: „ტაოს მთვარის კონცერტი – სასიმღერო პარტია ტაშის თანხლებით“ (2007), „ტაივანის მუსიკის ისტორია“ (2003),„მუსიკა ჩინურ ნახატებში ეროვნულ პასლას მუზეუმიდან“ (CD-ROM, 2003). დოკუმენტური ფილმის *დავუს მელოდია* პროდიუსერი,ტაივანის საერთაშორისო ეთნოგრაფიული ფილმების ემბის ფესტივალის ფინალისტი (2003). არის CD-ის *მალან მაკაბაჰეი* აღმასრულებელი დირექტორი, „ტრადიციული და სახელოვნებო მუსიკა – ოქროს მელოდიის“ კონკურსის ფინალისტი (2005).

### taivaneli aborigenebis mravalxmianobis axali stilis ganviTareba

ტაივანელი აბორიგენების რაოდენობა შეადგენს 480,000 კაცს, რაც მთელი კუნძულის მოსახლეობის 2.11%-ია. ისინი 14 ტომად იყოფიან. მათ ზეპირ ტრადიციაში მრავალფეროვანი მუსიკა წარმოდგენილია მრავალხმიანობის სხვადასხვა ფორმით. მათ სიმღერებში გვხვდება ჰეტეროფონია, კანონი, პარალელური, ბურდონული, ოსტინატური, ჰარმონიული და თავისუფალი კონტრაპუნქტი. ისინი იშვიათად იყენებენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს და ისიც – მხოლოდ სოლო ან ანსამბლური შესრულების დროს.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის შემდეგ, ამერიკულმა პოპ მუსიკამ დიდი გავლენა მოახდინა ტაივანელ აბორიგენთა ტრადიციულ მუსიკაზე. ისინი იყენებენ როგორც დასავლურ ფუნქციონალურ ჰარმონიას,ისე დასავლურ მუსიკალურ ინსტრუმენტებს: გიტარას,ჯაზის ბარაბნებს და, განსაკუთრებით – მიდი-ელექტრონულ ინსტრუმენტებს. ყოველივე ამან წარმოქმნა ტაივანელი აბორიგენების მრავალხმიანობის ახალი სტილი, მრავალხმიანობის ადგილობრივი და დასავლური სტილების კომბინაციით.

## YU-HSIU LU
TAIWAN

Lu, Yu-Hsiu, graduated from the Department of Music, National Taiwan Normal University, and obtained her Masters and Doctoral degree from the Musicology Department, University of Vienna. Currently, she is a Professor of Ethnomusicology at Soochow University, Taipei, Taiwan. Publications include: Tao's Moonlight Concert – Singing Party with Handclapping (2007), Music History of Taiwan (2003), Music in Chinese Paintings held in the National Palace Museum (CD-ROM, 2003). Producer of the documentary film "Dawu Melody," which was a finalist in the "2003 Taiwan International Ethnographic Film Festival" and executive director of the CD "Malan Makabahay," which was a finalist in the "16th Golden Melody Awards – Traditional and Art Music" (2005).

### DEVELOPMENT OF A NEW POLYPHONIC STYLE – CASE OF THE TAIWAN ABORIGINES

The aborigines in Taiwan possess more than 480,000 population, it's merely 2.11% of the whole population in the island and can be divided into 14 tribes. Great variety of music present in their oral tradition with different polyphonic forms: heterophony, canon, parallel, drone, ostinato, harmony and free counterpoint are found in their songs. Although they have musical instruments, they seldom use instruments for solo and ensemble.

After the modernization and westernization in the second half of the 20th century, American pop music had influence on their traditional music. Not only the western functional harmony, but also the western musical instruments including guitar, jazz drums, and specially midi are used. All of this resulted in the development of a new polyphonic method of the Taiwan aborigines – a combination of the indigenous polyphonic style with western polyphonic method.



## qeTevan maTiaSvili
saqarTvelo

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომელი, ქალთა ანსამბლ *სათანაოს* წევრი. მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ საველე-სამეცნიერო ექსპედიციებში,ტრადიციული მუსიკის მონაცემთა ბაზის შექმნასა და საარქივო აუდიოჩანაწერების აღდგენა-გამოცემაში; პერიოდულად თანამშრომლობს ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრთან (საგამომცემლო საქმიანობა); სხვადასხვა დროს იყო ალავერდის ეპარქიის თელავის ღვთაების ეკლესიის და ხახულის ღვთისმშობლის სახელობის ახალი შუამთის დედათა მონასტრის სამგალობლო გუნდების გალობის მასწავლებელი. კონსულტაციას უწევს სამგალობლო გუნდებს, მონაწილეობს საგალობლების სანოტო კრებულების გამოცემაში.

**kavkasiel xalxTa mravalxmianoba da misi mimarTeba qarTulTan (audioalbomis _ ~kavkasiel xalxTa musika Tbilisis saxelmwifo konservatoriis fonoarqividan~ _ mixedviT)**

(**ნატალია ზუმბაძესთან** თანაავტორობით)

მოხსენებაში ქართულ ტრადიციულ მრავალხმიან მუსიკასთან მიმართებაშია განხილული თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ორ ფოლკლორისტულ ექსპედიციაში (აფხაზეთი, 1956 და ყარაჩაი-ჩერქეზეთი, 1957) ვ. ახობაძის მიერ ჩაწერილი ყარაჩაული, ჩერქეზული და აფხაზური მრავალხმიანი ნიმუშების ერთი ნაწილი. მათი შედარება საერთოკავკასიური ძირების კვლევის გზაზე აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს და ამ რეგიონის ხალხთა მუსიკალური კულტურების ურთიერთობის შესწავლის ახალ პერსპექტივებს სახავს.

## KETEVAN MATIASHVILI
GEORGIA

Head of the Georgian Folk Music Laboratory of Tbilisii State Conservatoire; teaches at the High School of Church Chant and Folk Song of Tbilisi Theological Academy; an employee of the Center of Church Chant of the Georgian Patriarchy. Is the member of women's ensemble "Sathanao". Takes part in the field expeditions to various parts of Georgia, in the creation of the informtation database of traditional music and the restoration and publication of archival audio recordings. From time to time cooperates with the International Centre for Georgian Folk Song; At various times she taught chanting to the choirs of Telavi Ghvtaeba Church and Akhali Shuamta Convent. Consults church choirs and takes part in the publication of chant collections.

**POLYPHONY OF THE PEOPLES OF THE CAUCASUS WITH RESPECT TO GEORGIAN POLYPHONY** (BASING ON THE AUDIO ALBUM **„THE MUSIC OF THE CAUCASIAN PEOPLES FROM THE PHONOARCHIVE OF THE TBILISI STATE CONSERVATOIRE")**

(Co-author **Natalia Zumbadze**)

The paper discusses part of Karachaian, Cherkessian and Apkhazian polyphonic music examples recorded by Vladimer Akhobadze during two field expeditions (in Apkhazia, 1956 and Karachay –Cherkess Republic, 1957). Their comparison is an essential stage and provides new prospects in the study of the relations between the musical cultures of the peoples in the region.



## leila maruaSvili
saqarTvelo

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მიჰყავს ლექციათა კურსი მუსიკის თეორიულ დისციპლინებში (1972 წლიდან). 2005 წლიდან დღემდე – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. 1990 წლიდან – საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მისაღები კომისიის წევრი. არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში.

### qarTuli xalxuri polifoniis tradiciebis gardatexa profesiul musikaSi

ქართული ხალხური მრავალხმიანობის პრინციპები პროფესიულ მუსიკაში მრავალფეროვნად და თანმიმდევრულად არის გარდატეხილი, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის თვითმყოფადი, ეროვნული, ნოვატორული პარამეტრების ჩამოყალიბებაში. მოხსენებაში განიხილება ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში ფოლკლორის გამოყენების ხერხები; მისი ფუნქციონირების მეთოდები მუსიკალურ ლექსიკასა და დრამატურგიაში; ხალხური მრავალხმიანობის დამახასიათებელი ნიშნების განზოგადებისა და გარდასახვის საშუალებები; ტრადიციული და თანამედროვე პოლიფონიის ორგანული სინთეზის გამოვლინება ს. ცინცაძის, ს. ნასიძის და გ. ყანჩელის შემოქმედების მაგალითზე.

## LEILA MARUASHVILI
GEORGIA

Ph.D, Associate Professor of the Department of Music Theory at Tbilisi State Conservatoire. Leads a course in theoretical disciplines of Music (since 1972). From 2005 until present is the Head of the Quality Assurance Office. From 1990 is a member of the selection commission of the Georgian Composers' Union. She is the author of over 40 scientific works; has participated in a number of National and International conferences.

### TRANSFORMATION OF GEORGIAN FOLK POLYPHONY IN PROFESIONAL MUSIC

The principles of Georgian folk polyphony are diversely and sequentially transformed in Georgian art music, playing significant role in the establishment of the original, national and innovative parameters of Georgian Musical culture. The paper discusses the ways for the use of folklore; the ways of its function in musical vocabulary and dramaturgy; the means for generalization and transformation of the characteristic features of folk polyphony; the examples of the organic synthesis in the works of S. Tsintsadze, S. Nasidze and G. Kancheli.



## jerald florian mesneri
avstralia

დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი და ვენის მუსიკისა და დრამატული ხელოვნების უნივერსიტეტი. ჩაატარებული აქვს ინტენსიური საექსპედიციო მუშაობა ბულგარეთში, პაპუა ახალ გვინეაში, ინდონეზიასა და მექსიკაში. კითხულობდა ლექციებს ვენის უნივერსიტეტსა და ვენის მუსიკისა და დრამატული ხელოვნების უნივერსიტეტში, იყო დიკინის უნივერსიტეტის (ავსტრალია) უფროსი მასწავლებელი და დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასევე – მოწვეული პროფესორი კალიფორნიის უნივერსიტეტში (ლოს ანგელესი, აშშ). ასწავლის და მასტერ-კლასებს ატარებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. გამოცემული აქვს მრავალი ნაშრომი მრავალხმიან ვოკალურ ტრადიციებზე, სარიტუალო შესრულებაზე, პოეზიასა და თეატრზე, აგრეთვე – შუასაუკუნეებისა და „მსოფლიო მუსიკის“ კომპაქტური დისკები. ამჟამად ცხოვრობს ავსტრალიაში.

**karinTiuli mravalxmiani musikis mniSvnelovani aspeqtebi. samxreT-aRmosavleT adriatikis alpiuri regionis gansxvavebuli vokaluri mravalxmiani tradiciis nawili**

ადრიატიკის ალპიურ რეგიონში (ავსტრია, იტალია, სლოვენია) ჯერ კიდევ არსებობს მყარი ხალხური მრავალხმიანი ვოკალური ტრადიცია. ამ რეგიონს ხუმრობით „ალპების შეერთებულ შტატებს“ ეძახიან, რადგან საუკუნეების მანძილზე ეს იყო კულტურათა შერწყმის ადგილი, სადაც თავს იჩენს წინაკელტური, კელტური, ეტრუსკული, მოგვიანებით – რომაული კულტურული ელემენტები, გამდიდრებული შემდგომში მოსული მოსახლეობის კულტურით. როგორც ჩანს, აქ ანტიკურ ხანაში დომინანტური კულტურა კელტური უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ბევრი ტოპონიმი. ამ რეგიონის მუსიკალური კულტურა გვიჩვენებს მეტად მნიშვნელოვან პოლიფონიურ სტრუქტურებს, რომლებიც ავსტრიის კარინთიაში ეფუძნებიან მყარად ფესვგადგმულ იმპროვიზებულ 5-ხმიან ჰარმონიულ შემსრულებლობას წამყვანი მელოდიის გარშემო, რაც უახლოვდება ე.წ. ცრუბურდონს. ეს ადრეული სტრუქტურები დროთა განმავლობაში გადაიქცა 4-ხმიან ჰარმონიულ სიმღერად, თუმცა იმპროვიზებული 5-ხმიანი სიმღერის პრაქტიკა დღესაც არსებობს. მოხსენებაში მოცემულია ამ უძველეს სტრუქტურებისა და მათი ევოლუციის კვლევის შედეგები, აგრეთვე, მიმოხილულია შესაბამისი ისტორიული წყაროები.

## GERALD FLORIAN MESSNER
AUSTRALIA

Is a graduate from the University of Vienna and the University of Music and Dramatic Arts in Vienna. Conducted extensive fieldwork in Bulgaria, Papua New Guinea, Indonesia and Mexico. Was a Lecturer at the University of Vienna and the University of Music and Dramatic Arts in Vienna, Senior Lecturer / Head of Department at Deakin University, Australia and Visiting Professor at UCLA (USA). Has taught and conducted workshops internationally (UK, Austria, Germany, Poland, Slovenia, Croatia, Macedonia, Bulgaria, Russia, Turkey, The Philippines, Australia, New Zealand, USA,) and has produced numerous publications about multi-part vocal traditions, ritual performance, poetry and drama as well as CDs with medieval and world music. Presently in Australia.

**SIGNIFICANT ASPECTS OF CARINTHIANMULTU-PART SINGING.**
**PART OF THE DIVERSE POLYPHONIC VOCAL TRADITION IN THE SOUTH EASTERN ALPINE ADRIATIC REGION**

In the Alpine Adriatic Region (shared between Austria, Italy and Slovenia) still exists very persistent polyphonic vocal folk tradition. For hundreds of years it was a cultural melting pot, now jokingly called the "United States of the Alps". In Antiquity the pre Celtic settlers followed by the Celts and Etruscans and as latecomers, the Romans, left a cultural substratum that was subsequently shared by later arrivals. The dominant culture of Antiquity seems to have been the Celtic one, as many geographical names can still be traced back to Celtic deities. The unique and ancient musical culture shows a very interesting polyphonic structures. In the Carinthian region that is now part of Austria, they are firmly rooted in an improvised 5 part harmony performance around a leading melody, slightly akin to what has been termed falsobordone. These early structures were forced to change into 4 part harmony singing, although the improvised five part singing practice has still survived.
In the paper the author investigates these ancient structures and their transitions and discusses the historical sources that corroborate the thesis.



## mo r imo t o masako
iaponia

ფილოსოფიის დოქტორი, ტოკიოს უნივერსიტეტი. ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის ეროვნული ცენტრის ტვინის ფუნქციონალური კვლევის განყოფილების გამგე. ატარებს მრავალდისციპლინურ კვლევას ნეიროლოგიაში, ფიზიოლოგიურ მათემატიკაში და გაზომვით ინჟინერიაში. აღნიშვნის ღირსია მის მიერ სხვადასხვა მათემატიკური მიდგომების გამოყენებით შემუშავებული ბიოლოგიური და ბგერითი მონაცემების ანალიზის ახალი მეთოდი. ამ მეთოდების გამოყენებით შეისწავლა სხვადასხვა მუსიკალური და გარემოს ბგერები. ამას გარდა, ტვინის სხვადასხვა არაინვაზიური წარმოსახვითი ტექნიკის გამოყენებით შეისწავლა ბგერითი ინფორმაციის ფიზიოლოგიური ეფექტი. ამ კვლევის განხორციელებას ნაწილობრივ ხელი შეუწყო კვლევის მხარდამჭერმა იაპონურმა საზოგადოებამ.

### qar Tu l i t radiciu l i musikis bger i T i s t r uqt u r a: r xevis s t r uqt u r i s r aodenob r i vi ana l i z i

**(ჰონდა მანაბუსთან, ნიშინა ემისთან, კავაი ნორიესთან და  და ოოჰაში ცუტომუსთან** თანაავტორობით).

ჩვენ ადრე გავზომეთ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ბგერითი სტრუქტურა, სპექტრის რხევა მიკრო-ტემპორალურ გარემოში MESAM (Microstructural Engineering of Structural and Active Materials) სტრუქტურული  და აქტიური მასალების მიკროსტრუქტურული ინჟინერიის საშუალებით. აღმოჩნდა, რომ მიკრო-ტემპორალურ გარემოში ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ბგერითი სტრუქტურა შედგებოდა ელექტროსპექტრის მდიდარი ტემპორალური რხევისაგან. ამჯერად, ნაშრომში შემუშავებულია ინდექსი (ელექტრომაგნიტური სპექტრის დიფერენციალის ვარიაცია), რამაც საშუალება მოგვცა, მოგვეხდინა ხმოვანი სპექტრის რხევის რაოდენობრივი შეფასება. ამ ინდექსის გამოყენებით  შედარებულია ელექტროსპექტრის კომპლექსურობა ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის მიკრო-ტემპორალურ გარემოში სხვა, მაგალითად, „ბელ კანტოს" ვოკალურ სტილთან. ამ აღმოჩენას ამყარებს კომპლექსური რხევის უნიკალობა, როგორც ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ექსპრესიული სტრატეგია.

## MORIMOTO MASAKO
JAPAN

Ph.D., Section Chief, Department of Functional Brain Research, National Center of Neurology and Psychiatry. Dr. Morimoto obtained PhD at The University of Tokyo and has carried multi-disciplinary research In neuroscience, physiological mathematics and measurement engineering. Especially she has developed new analysis methods of biological data as well as sound data using various mathematical approaches. Applying these methods, she has explored structural characteristics of various musical sounds as well as environmental sound. Furthermore, she has explored the physiological effect of sound information using various noninvasive brain imaging techniques. This work was supported in part by the Japan Society for the Promotion of Science through Grants-in-Aid for Scientific Research for her.

### STUDY ON THE SOUND STRUCTURE OF GEORGIAN TRADITIONAL POLYPHONY: QUANTITATIVE ANALYSIS OF FLUCTUATION STRUCTURE

(Co-authors **Honda Manabu, Nishina Emi, Kawai Norie and Oohashi Tsutomu**).

We have previously examined the sound structure of Georgian traditional polyphony by measuring the fluctuation of power spectra in a micro-temporal domain using MESAM. It was revealed that the sound structure of Georgian traditional polyphony contained rich temporal fluctuation of the power spectra in a micro-temporal domain. In the present study, we have developed an index (Differential Summed Variation of ME Spectra) which allowed us to quantitatively evaluate the complexity of fluctuation of sound spectrum. Using this index, we quantitatively compared the complexity of fluctuation of the power spectra in the micro-temporal domain of Georgian traditional polyphony with those of other singings including bel canto vocal style. As a result, the power spectra of Georgian traditional polyphony was revealed to be characterized by more complex fluctuation than bel canto singing. The finding endorses the singular importance of complex fluctuation as an expressional strategy of Georgian traditional polyphony.



## nino naneiSvili
saqarTvelo

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასულიერო მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრი; მგალობელ გოგონათა გუნდ *იალონის* ხელმძღვანელი (2010 წელს გამოიცა პირველი CD); ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *სათანაოს* წევრი; მგალობელ ვაჟთა გუნდ *აღსავალის* პროდიუსერი; თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის ლაბორანტი, ბრიტანულ-ქართული აკადემიის მუსიკის პედაგოგი; საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის წევრი. ორგანიზებას უწევს სიმღერა-გალობისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტების გამართვას. მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაში.

### gamSvenebaTa struqturuli formulebi qristes brwyinvale aRdgomis ZlispirebSi

თემა ეხება ქართული საეკლესიო გალობის გამშვენების ელემენტებს, რომლებიც გარკვეული, ჩამოყალიბებული ფორმულების სახეს იძენენ. გელათის სკოლის ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ძლისპირთა ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ე.წ. სტერეოტიპული ფორმულების ჯგუფი, რომლებიც რვა გალობის მანძილზე, სხვადასხვა კილო-ინტონაციურ კონტექსტში გვხვდება. აღნიშნული თავისებურება გვარწმუნებს, რომ ძველი ქართული საეკლესიო გალობა, ისეთ შემოქმედებით და იმპროვიზაციულ მოვლენაშიც კი, როგორიც საგალობლის სადა ჰანგის გამშვენებაა, ჩამოყალიბებულ, სისტემურად გააზრებულ სახეს ატარებდა.

## NINO NANEISHVILI
GEORGIA

M.A. of the Sacred Music, received her Master's degree at Tbilisi State Conservatoire (2009); She is a member of various folk ensembles and church choirs, taxing active part in the concerts of traditional music in Georgia and abroad; Producer of the male choir of chanters *Aghsavali*. A laboratory worker at the High School of Folk Song and Church Chant; The teacher of music at the British-Georgian Academy; Director of *Ialoni* - a female choir of Chanters, which released the first CD in 2010. Co-operates with the Center for Chant of the Georgian Patriarchy. Worked for the newspaper Kartuli Galoba ("Georgian Chant"). Organizes lecture-concerts on Georgian song and chant. Has participated in various scientific conferences.

### THE STRUCTURAL FORMULAE OF ORNAMENTATION IN EASTER HEIRMI

The paper deals with the elements of ornamentation in Georgian chants, with certain formulae. The analysis of Easter heirmi from Gelati School of Chant revealed the group of the so-called stereotype formulae, which are found in various mode-intonation context during eight hymns; this testifies that Georgian chant had systemic sensible nature even in such improvisational phenomenon as the ornamentation of plain chant.

# ekaterine oniani
saqarTvelo



ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით (მუსიკის თეორია, 1996). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა პროფესორ მ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით (2004). მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ძველ ქართულ სამუსიკო დამწერლობასთან. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, მონაწილეობას იღებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

### qarTuli galobis mravalxmianobis sakiTxisaTvis

მოხსენებაში განხილულია ქართულ მრავალხმიან გალობაში პარალელური ხმათასვლის პრიორიტეტის მიზეზები, ხმათასვლის აღნიშნული სახე დაკავშირებულია რწმენაში ერთობის გამოხატულებასთან. საგალობლის ჰანგის თავისებურებებისა და ხმათა ურთიერთმიმართების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება ქართული გალობის გამრავალხმიანების პერიოდთან დაკავშირებით.

# EKATERINE ONIANI
GEORGIA

Doctor. Associate professor of the Department of Music Theory of Tbilisi State Conservatoire. Graduated from the Musicology Department of Tbilisi State Conservatoire (Music Theory, 1996). Defended Candidate's dissertation under the supervision of Prof. M. Andriadze. Her scholarly interest is focused on old script of Georgian music. Is the author of scientific works, takes part in national and international conferences.

### ON THE POLYPHONY OF GEORGIAN CHANT

The paper deals with the reasons for priority of parallel voice movement in Georgian polyphonic chant. The mentioned type of voice movement is connected with the expression of unity in faith. Basing on the peculiarities of chant tune and interrelation between voice parts the author states an opinion concerning the time when Georgian chant became polyphonic.



## Jana partlasi
estoneTi

დაამთავრა პეტერბურგის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორია (1989), ასპირანტურა (1992). 1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჰეტეროფონია რუსულ ხალხურ სიმღერებში (ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის - ფსკოვისა და სმოლენსკის რეგიონების უძველესი სიმღერები)“. 1991-1992 წწ ასწავლიდა მუსიკის თეორიას პეტერბურგის გერცენის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
1992 წლიდან ტალინშია. 1994 წლიდან მუშაობს ესტონეთის მუსიკის და თეატრის აკადემიის (მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტზე), ჯერ – როგორც მუსიკის თეორიის პედაგოგი, შემდეგ – როგორც ასოცირებული პროფესორი და უფროსი მეცნიერ-მუშაკი. 1990-იანი წლების შუახანებიდან მისი კვლევის ფოკუსირება მოხდა სეტუს (სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთის) არქაულ ტრადიციულ მრავალხმიან მუსიკაზე.

### cvlilebis kvaldakval: setus simRerebis wyoba xmovani Canawerebis SedarebiTi akustikuri analizis masalaze dayrdnobiT

ხშირად აღნიშნავენ, რომ გასულ საუკუნეში ტრადიციული მუსიკალური აზროვნება შესამჩნევად შეიცვალა. ტრადიციული მუსიკის ბევრი ტრადიცია დღესაც ცოცხალია, მაგრამ არ არის ისეთი, როგორც თუნდაც ორი ათეული წლის წინ იყო. ისტორიული წყაროების შედარებითი კვლევა საშუალებას გვაძლევს მივყვეთ ამ პროცესებს და დეტალურად აღვწეროთ ისინი. ასეთი კვლევები განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც ეფუძნება შედარებისათვის აუცილებელ საექსპედიციო მონაცემებს. საუკუნის მანძილზე *სეტუმააში* (სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთი) ჩაწერილი ტრადიციული მრავალხმიან სიმღერები აჩვენებენ, რომ ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც რეპერტუარმა, ასევე – მუსიკალურმა სტილმა, კერძოდ, რიტმმა და მეტრმა, შესრულების მანერამ და ა.შ. ნაშრომში განხილულია ცვლილებები ბგერათწყობის ინტერვალური სტრუქტურაში, რაც სეტუს სასიმღერო სტილის არსებითი მახასიათებელია.

## ŽANNA PÄRTLAS
ESTONIA

Studied musicology at the Rimski-Korsakov State Conservatory, St. Petersburg. Took postgraduate studies at the same institution. In 1992 defended a doctoral thesis on heterophony in Russian folk songs (based on the archaic songs of Northwest Russia – Pskov and Smolensk regions). 1991–1992 was a lecturer of music theory at the Herzen Pedagogical University of Russia, St. Petersburg.
Since 1992 in Tallinn (Estonia). She worked at the Estonian Academy of Music and Theatre (the Department of Musicology), first as lecturer of music theory then as associate professor and senior researcher. From the middle of 1990s her research interests have concentrated on the archaic tradition of multipart singing of the Setus (Southeast Estonia). Research projects mostly deal with the analytical approaches to traditional music and general theoretical questions of traditional multipart singing.
Has participated in field expeditions in Russia (Pskov, Smolensk, Tver regions), Belarus (Vitebsk, Gomel regions), and Estonia (Setumaa).

### RETRACING PROCESSES OF CHANGE: THE SCALES OF THE SETU SONGS (SOUTHEAST ESTONIA) ON THE MATERIAL OF A COMPARATIVE ACOUSTIC ANALYSIS OF SOUND RECORDINGS

It is often remarked that the musical thinking of traditional musicians changed noticeably during the last century. There are many styles of traditional music, which are quite viable nowadays, but are not the same as they were even a couple of decades ago. The comparative studies of historical sources give us opportunity to retrace these processes of change and describe them more particularly. Such studies are the most effective if they are supported by field researches providing the additional data for the comparison.
In Setumaa (Southeast Estonia) sound recordings of traditional multipart songs have been made for almost a century. During this period the significant changes took place both in song repertoire and musical style, including such aspects as pitch organisation, rhythm and metre, multipart texture, manner of singing, etc. The present paper deals with the changes in the interval structure of the scales, which is the essential feature of the Setu song style.



## ana piotrovska
poloneTi

დაამთავრა იაგიელონიის უნივერსიტეტის (კრაკოვი, პოლონეთი) მუსიკის ისტორიისა და თეორიის განყოფილება (ხელოვნების მაგისტრი, 1997 წელი); გაიარა ასპირანტურის კურსი ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის განხრით იმავე უნივერსიტეტის ამერიკულ ცენტრსა და მუსიკისმცოდნეობის ინსტიტუტში; 2002 წლიდან ფილოსოფიის დოქტორია. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა კონფერენციებსა და მასტერ-კლასებში პოლონეთში, დანიაში, ბელგიასა და ჩეხეთში. მუშაობდა იაგიელონიის უნივერსიტეტის მუსიკის თეორიისა და ანთროპოლოგიის კათედრის პედაგოგად (1998-2003), ასისტენტ-პროფესორად (2003-2005), 2005 წლიდან ასოცირებული პროფესორია. არის მრავალი პუბლიკაციისა და კომპაქტური დისკების ანოტაციების ავტორი.

### boSuri musikis romantikuli saxe da improvizaciis problema

ნაშრომში წარმოდგენილია საყოველთაოდ აღიარებული რომანტიკული სახე სახელწოდებით „ბოშური მუსიკა“ და მისი იმპროვიზაციული ბუნება.
ყურადღება გამახვილებულია იმპროვიზაციაზე, რომელიც არის რომას (ბოშური) მუსიკის უნიკალურობის განმსაზღვრელი ფაქტორი და მე-19 საუკუნის ევროპული პროფესიული მუსიკის განსახიერება.
ამოსავალ წერტილად მიჩნეულია მაიკლ ბეკერმანის თეორია, რომლის თანახმად ბოშები შეიძლება დავახასიათოთ მარტივი ფორმულით: I+V=E, სადაც I აღნიშნავს იმპროვიზაციას, V – ვირტუოზობას, ხოლო E – ემოციებს ან გამომსახველობას.

## ANNA PIOTROWSKA
POLAND

Graduated from the Chair of History and Theory of Music at Jagiellonian University (Krakow, Poland), 1997. Was awarded the degree of Master of Arts. Completed post-graduate studies in psychology and pedagogy, at the Center for American Studies and the Institute of Musicology at Jagiellonian University. In 2002 was awarded the degree of PhD in musicology. Has participated in a number of conferences and workshops in Czech Republic, Belgium, Denmark and Poland. Worked as academic teacher (1998-2003) in the Institute of Musicology at Jagiellonian University, Assistant Professor (2003-2005) at the Chair of Theory and Anthropology of Music and is an Associate Professor since 2005. Is the author of a large number of publications and texts accompanying CDs.

### THE ROMANTIC IMAGE OF GYPSY MUSIC AND THE PROBLEM OF IMPROVISATION

In the paper presents the overall romantic image of the so called Gypsy music with the reference to its acclaimed improvising character.
With particular focus on the problem of improvisation as an attributed essence of Roma music uniqueness and its embodiment in European artistic music of the 19th century. As a starting point the author considers Michael Beckerman's theory claiming that Gypsy music can be characterized according to a simple formula: I+V=E where I stands for improvisation, V for virtuosity and E for emotions or expressiveness. In the paper the author puts that equation into a larger context of the phenomenon of improvisation as such – its popularity, peak and decline in the 19th century. Even composers who referred directly in their works to Gypsy music were hailed for their improvising skills. However, improvising lost its popularity quite soon: hence the author to establish and determine connections (if any) between the discovery of Gypsy music for mainstream European culture and the decline of improvisation practices.



## ioseb Jordania
avstralia/saqarTvelo

დაიბადა და ეთნომუსიკოლოგიური განათლება მიიღო საქართველოში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 1982 წელს აქვე მიიღო ფილოსოფიის დოქტორის, ხოლო 1991 წელს, კიევის სახელმწიფო კონსერვატორიაში – მუსიკოლოგიის დოქტორის ხარისხი. 1993 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. საქართველოს და ავსტრალიის მოქალაქე, 1995 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში. არის მელბურნის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი. გამოცემული აქვს ასზე მეტი ნაშრომი ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ფინურ, ჩინურ, არაბულ, ბულგარულ, რუსულ და ქართულ ენებზე, მათ შორის – ორი მონოგრაფია ტრადიციულ მრავალხმიანობაზე. მის მეორე მონოგრაფიას „ვინ დასვა პირველი შეკითხვა? ადამიანის გუნდური სიმღერა, ინტელექტი, ენა და მეტყველება" (2006,ინგლისურად) 2009 წელს მიენიჭა ფუმიო კოიცუმის პრიზი. 1984 წელს დაიწყო ტრადიციული მრავალხმიანობის კონფერენციებისა და სიმპოზიუმის ორგანიზება. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და უცხოეთის ბიუროს ხელმძღვანელი.

### aziis vokaluri mravalxmianoba: mimdinare problemebi da perspeqtivebi

ეთნომუსიკოლოგებს შორის აზია ცნობილია, როგორც ვოკალური და ინსტრუმენტული მონოფონიის განვითარებული ფორმების მქონე რეგიონი. ინსტრუმენტული ჰეტეროფონია (მაგ. გამელანის ანსამბლი) და მრავალხმიანობის ვოკალურ-ინსტრუმენტული ფორმები წარმოადგენენ მრავალხმიანობის ელემენტების მქონე ტრადიციის საუკეთესო მაგალითებს აზიაში. ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე აზიური სახელმწიფოს (ავღანეთი, იაპონია, ჩინეთი, ვიეტნამი და ინდონეზია) ნაკლებად ცნობილი მრავალხმიანი ტრადიციები. ავტორი ამტკიცებს, რომ აზიას აქვს ვოკალური მრავალხმიანობის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და არქაული ტრადიცია. ნაშრომში განიხილება ამ მრავალხმიანი ტრადიციების რეგიონული და ისტორიული კვლევის შესაძლო პერსპექტივები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვოკალური მრავალხმიანობის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ტიპის, სავარაუდო სახელწოდებით „ბურდონულ-დისონანსური მრავალხმიანობა", ხმოვან მაგალითებსა და მის შესახებ მსჯელობას.

## JOSEPH JORDANIA
AUSTRALIA/GEORGIA

Was born and educated as an ethnomusicologist in Georgia. Received his Honours Diploma from Tbilisi State Conservatoire in 1978, in 1982 – PhD, and in 1991 – Dr. Musicology from Kiev State Conservatoire. From 1993 he is a professor of Tbilisi State Conservatoire. Citizen of Australia and Georgia, lives in Australia from 1995, and is a Honorary Fellow at the Faculty of Music at the University of Melbourne.
He is the author of more than a hundred published works in English, French, Spanish, Finnish, Chinese, Arabic, Bulgarian, Russian and Georgian, including two monographic studies on traditional polyphony. His second monograph "Who Asked the First Question? The Origins of Human Choral Singing, Intelligence, Language and Speech" (2006, in English). was awarded Fumio Koizumi Prize in ethnomusicology in 2009. In 1984 he started organising ongoing series of conferences and symposia on traditional polyphony. He is the Founding Member and the Head of the Foreign Department of the International Research Centre for Traditional Polyphony at Tbilisi State Conservatoire.

### VOCAL POLYPHONY OF ASIA: CURRENT PROBLEMS AND PERSPECTIVES

Asia is generally known among ethnomusicologists as a region with highly developed forms of vocal and instrumental monophony, but very little vocal polyphony. Instrumental heterophony (e.g. gamelan ensemble) and the vocal-instrumental forms of polyphony (e.g. solo singing with the accompaniment of various string instruments) are the best known examples of the traditions with the elements of polyphony in Asia. The paper presents the less known polyphonic traditions from several Asian countries (Afghanistan, Japan, China, Vietnam and Indonesia) to prove that Asia has some of the world's most interesting and archaic traditions of vocal polyphony. The author discusses possible perspectives of regional and historical research of these polyphonic traditions. One of the specific types of vocal polyphony, with the provisional name "drone-dissonant polyphony" ("D/D polyphony") will receive a special attention during the presentation of sound examples and the discussion.



## baia JuJunaZe
saqarTvelo

მუსიკოლოგი, სასულიერო მუსიკის მკვლევარი. 2007 წ. მიიღო ბაკალავრის, 2009 წ. – მაგისტრის ხარისხი (მუსიკის თეორია) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში,2009 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსზე დაჯილდოვდა საეკლესიო მიმართულების საუკეთესო მოხსენებისა და საუკეთესო დისკუსიის ნომინაციებში. მისი კვლევის თემაა ქართული და სლავური საეკლესიო მუსიკის ურთიერთმიმართების საკითხები, ასევე დაინტერესებულია თანამედროვე ქართული პოპ- და ეთნომუსიკით. არის საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი და ფოლკ-რადიოს მუსიკალური წამყვანი. 2009 წლიდან მუშაობს ქართული სიმღერისა და მუსიკალური საკრავების სახელმწიფო მუზეუმში..

### XIX saukunis qarTuli samgalobló tradiciis axali tendenciebi

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში ახალი ტენდენცია ჩნდება – ყალიბდება საგალობელთა არაკანონიკური პლასტი, რაც რუსულ გალობაში ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობის გავლენითაა განპირობებული. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ჩნდება ქართული საგალობლების გაევროპულებული, ძირითადად გაოთხხმიანებული ნიმუშები,რამაც ქართული საეკლესიო გალობის მაშინდელ მესვეურთა კრიტიკაც დაიმსახურა. მოხსენებაში განხილულია რუსი კომპოზიტორის ნიკოლოზ კლენოვსკის მიერ გაოთხხმიანებული იოანე ოქროპირის წირვის წესი (ქართლ-კახური კილო), რომელშიც სრულიად ნიველირებულია ქართული გალობის ეროვნული მახასიათებლები. ასევე განხილულია ზ. ფალიაშვილისა და დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესის (ქართლ-კახური კილო) სამ და ოთხხმიანი ვარიანტები, რომლებიც არსებითად უკვე ორიგინალურ კომპოზიტორულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. წყაროებს შორის განსხვავებები წარმოჩენილია წირვის ერთი საგალობლის (*შენ გიგალობ*) მაგალითზე.

## BAIA ZHUZHUNADZE
GEORGIA

Musicologist, researcher of sacred music. In 2007 received Bachelor's degree, in 2009 - Magister's degree (in Music theory) at Tbilisi State Conservatoire. Took active part in scientific conferences. In 2009 as a participant of the students' competition-conference was awarded in the nominations of "the best paper on sacred music" and discussion. Her scientific interest is focused on the interrelation of Georgian and Slavic sacred music, also on contemporary Georgian Pop and Ethnomusic. Is the author of a few newspaper articles and a presenter at folk radio. Since 2009 works at the State Museum of Georgian Song and Musical Instruments.

### NEW TENDENCIES IN THE 19TH CENTURY GEORGIAN CHANT TRADITION

In the 19th century a new tendency In the chant tradition of Georgia - one of the parts of the Russian Empire – a noncanonical layer of chants was formed, due to the influence of historical reality of Russian chant. From the 1880s-1890s appeared Europeanized (mostly four-part) variants of Georgian chants, which were criticized by the Clergy. The paper discusses John Crysostom's liturgy (Kartli-Kakhetian mode) arranged into four-part variant by Russian composer Nikolai Klenovsky, in which national features of Georgian chant are completely ignored. The paper also discusses three- and four-part variants of John Crysosdome's liturgy (Kartli-Kakhetian mode) documented by Z. Paliashvili and D. Arakishvili, which in fact are original works arranged by composers. The differences between the sources are shown on the example of one liturgical chant Shen Gigalob.

## nino razmaZe
saqarTvelo



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრი (2009), ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი; მონაწილეობა აქვს მიღებული ათამდე სამეცნიერო კონფერენციაში. დაჯილდოებულია ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით საუკეთესო მოხსენებისა და საუკეთესო პრეზენტაციის ნომინაციებში კონსერვატორიის სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსზე (2009). მისი კვლევის სფეროა ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის ასევე ქართული ხალხური სიმღერისა და ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ზოგიერთი საკითხი. არის რადიოგადაცემებისა და საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი. ეწევა დამოუკიდებელ საველე-შემკრებლობით საქმიანობას, მონაწილეობს ტრადიციული მუსიკის კონცერტების ორგანიზებაში, არის ავტორი და ორგანიზატორი საღამოსი „ერთი სოფლის (მერისი, აჭარა) ფოლკლორი" (კონსერვატორია, 2010). თანაშემდგენელი სანოტო კრებულისა „ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა, აუდიოჩანაწერები სასწავლო დისკებით" (2010). მღეროდა კონსერვატორიის სტუდენტურ ფოლკლორულ ანსამბლსა (2005-2007) და სხვადასხვა საეკლესიო გუნდში.

### erTi simReris ganviTarebis dinamika (*patara sayvarelos* magaliTze)

ქართულ ხალხურ მრავალდიალექტიან მუსიკალურ კულტურაში არსებობს ისეთი სიმღერები, რომლებიც სხვადასხვა, განსაკუთრებით კი – მომიჯნავე კუთხეებშია გავრცელებული. ზოგჯერ რთულია ასეთი ტიპის სიმღერა რომელიმე კუთხეს მიაკუთვნო ან განსაზღვრო, თუ სად წარმოიშვა. ერთ-ერთი ასეთი სიმღერაა *პატარა საყვარელო*, რომელიც გურიასა და იმერეთშია გავრცელებული.
ავტორის მიზანია, XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი (აუდიო და სანოტო ნიმუშები) ამ სიმღერის ოცამდე ნიმუშის ანალიზი, რომლის საფუძველზეც წარმოჩნდება მისი ვარიანტული განვითარების შესაძლებლობები; სხვადასხვა ვარიანტში ფორმის, ჰარმონიის, მელოდიკის, ვერტიკალში ხმათა რაოდენობის საკითხები; აგრეთვე – ზემოაღნიშნული პარამეტრების მუდმივად უცვლელი და ცვალებადი ელემენტები.

## NINO RAZMADZE
GEORGIA

Magistrate student at the Music Theory Department (Ethnomusicology) of Tbilisi State Conservatoire. Received Bachelor's degree in 2009. Main focus of the study is Georgian folk instruments and instrumental music. Also works on various aspects of Georgian secular and sacred music. Has participated in about 10 scientific conferences. At the Students Conference-Contest in 2009 was awarded as the author of the best paper in ethnomusicology. Is the author of a few radio programs and newspaper articles. Organizes independent field expeditions (2007-2010: Achara, Guria, Samegrelo). Participated in the organization of three noteworthy concert events (Tbilisi State Conservatoire, 2007, 2009), is the author and organizer of the evening of "One village folklore" (village of Merisi, Achara); is the co-compiler of the collection of scores "Georgian Traditional Church Chant, with self-study audio recordings", Tbilisi, 2010. Was a member of the Conservatoire's student folk ensemble (in 2005-2007, directed by Nato Zumbadze) and other chant choirs.

### THE DYNAMICS OF THE DEVELOPMENT OF ONE SONG (ON THE EXAMPLE OF *PATARA SAQVARELO*)

In Georgian traditional multidialectal music there are songs that are disseminated in various, mostly neighboring parts of the country. Sometimes it is fairly difficult to figure out in which region the song originated. One such song is *Patara Saqvarelo*, found in Guria and Imereti.
The paper aims to analyze about 20 examples of the song (both audio and notated) documented in the 20th century, and to reveal the possibilities of its variant development, the issues of form, harmonic steps, melody, chord system and number of voices in the chord, as well as the invariable and constantly changing elements of the afore-mentioned parameters.
The results of the analysis are generalized.



## daiva raCiunaite-viCiniene
litva

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ლიტვის მუსიკალური აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის კათედრის გამგე და დოცენტი. დაამთავრა ლიტვის მუსიკალური აკადემია (1985). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია. არის ავტორი წიგნისა: „სუტარტინესის შესრულების ტრადიცია“ (2000). აქტიურად მონაწილეობს ლიტვაში და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილ კონფერენციებში. არის ESE –ის და ლიტვის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის ორგანიზატორი. *სუტარტინესის* შემსრულებელ გუნდ *ტრის კეტურიოზეს* ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: სუტარტინესი და ადრეული მრავალხმიანობის სხვა ფორმები; ტრადიციული სიმღერა თანამედროვე კულტურაში; შესრულების თავისებურებები, მითოლოგია, ხმოვანი ჩანაწერების (კომპაქტური დისკების) გამოცემა.

### litvuri da ainebis vokaluri polifoniis zogierTi paralelebi

ლიტვური ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის (*სუტარტინესი*) უმრავლესობა აგებულია კანონურ შესრულებაზე. სხვა პოლიფონიური ტრადიცია, რომელიც ასევე ფართოდ იყენებს კანონურ შესრულებას, არის აინების ტრადიციული მრავალხმიანობა (*უპოპო* სიმღერები). აინების ვოკალური პოლიფონია ამჟღავნებს განსაცვიფრებელ პარალელებს *სუტარტინესთან*. ამასთან ერთად, შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ტიპოლოგიურ კავშირზე ამ ორ ტრადიციას შორის. საერთო მახასიათებლებია: 1. კანონი და სეკუნდური დისონანსები; 2. უშინაარსო ტექსტი; არქაული მისამღერების სიუხვე, პოლიტექსტუალობა, კონტექსტუალური სიტყვების და ასეთის არმქონე („ონომატოპური“) სიტყვების პარალელური „რეკვა“ (*სუტარტინესი*); 3. ჩიტის ჟღურტულის მსგავსი ხმით სიმღერა; 4. წრეში მღერა, განპირობებული ღია ანუ დაუმთავრებელი სიმღერის ფორმით; 5. სიმღერა-ცეკვა-მუსიკა – სინკრეტიზმი; 6. რიტუალური ბუნება; 7. ძირითადად ქალთა სასიმღერო ტრადიცია. უძველესი კანონური სიმღერის ორიგინალური ტრადიციები თანამედროვე მკვლევრების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

## DAIVA RAČIŪNAITĖ-VIČINIENĖ
LITHUANIA

Doctor of Arts, Associate Professor and Head of Academy of Music; Graduated from Lithuanina Academy of Music (1985). Has published numerous scientific articles the books including: Sutartines atlikimo tradicijos (“The Traditions of Performing the Sutartines”, 2000) and *Sutartines*. Lithuanian Polyphonic Songs (2002). Actively participates in conferences in Lithuania and abroad. Is a member of ESEM and the Lithuanian Composers’ Union and organizer of the International Folklore Festival “Skamba skamba kankliai”, leader of a *sutartines* performers group Trys keturiose. Areas of scientific interest include: *Sutartines* and other forms of early polyphony; traditional singing in contemporary culture; peculiarities of performance; publishing of sound recordings; mythology.

### SOME PARALLELS BETWEEN THE LITHUANIAN AND AINU VOCAL POLYPHONY

The chunk of the traditional Lithuanian polyphonic songs sutartinės is based on canonic singing. The only other polyphonic tradition that uses canonic singing so widely is the traditional Ainu polyphony (*upopo* songs). Ainu vocal polyphony shows astounding parallels with *sutartinės*. In the meantime we could only talk about the typological relationship between the two traditions. Common characteristics: 1) canon and secondal dissonances; 2) the meaning of the lyrics is not clear; many old songs consist of meaningless repeated texts (upopo); plenitude of archaic refrains: titity, ratuto, tatato; polytextuality: words with contextual meaning and without (onomatopoeic) ring concurrently (*sutartinės*); 3) noise singing like birds twittering; 4) singing in round; was conditioned by an open, as if non-endless form of songs: beginning = end; 5) song-dance-music syncretism; 6) ritual nature; 7) mainly female singing tradition. The original traditions of olden canonic singing attract attention of modern-day researchers.

## a l a soko l ova
r useT i,
ad i Res r espub l ika



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი და ტრადიციული ინსტრუმენტული მუსიკის სპეციალისტი, ადიღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ინსტიტუტის სრული პროფესორი, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. 170-ზე მეტი სამეცნიერო და 200 პოპულარული ნაშრომის ავტორი რუსულ, ინგლისურ, თურქულ და ადიღეურ ენებზე. იკვლევს ადიღეურ და კაზაკურ კულტურებს, ადიღეური ტრადიციული მუსიკის ისტორიასა და თეორიას, აგრეთვე – თანამედროვე კომპოზიციებს. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში (ავსტრიაში, იტალიაში, გერმანიაში, უნგრეთში, ლიტვაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში და რუსეთში).

### amebu r i simRe r is mniSvne l obebi da kodebi ad i Reu r t rad-iciu l ku l tu raSi

ნაშრომში განხილულია ადუღეური ტრადიციული სიმღერის განსაკუთრებული ფორმა – სოლისტების მონაცვლეობა. ცნება „ამებური" (ბერძნულად *ამოიბაიოს* – მონაცვლეობა) აღნიშნავს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ მოვლენას ორი სოლისტის ან ორი გუნდის მონაცვლეობას, რომელთაგან თითოეულს ჰყავს დამწყები. ადიღეურ მრავალხმიანობაში არსებული სიმღერის ამებური ფორმა ადასტურებს მის უძველეს წარმოშობას.
ადიღეური ტრადიციული მრავალხმიანობის ამებური ფორმის ნიმუშებს ავტორი წარმოადგენს მე-20 საუკუნის წერილობითი წყაროებისა და აუდიო ჩანაწერების, ასევე – თურქეთის ადიღეურ დიასპორაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემების მაგალითზე. გასული ორი საუკუნის სხვადასხვა წყაროების შედარების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ადიღეული ტრადიციული მუსიკის ამებური ფორმა იყო და არის ადიღეური მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი ეთნომახასიათებელი და ავტორი მას მიიჩნევს სიმბოლური კულტურული სისტემის ნაწილად, რომელიც ატარებს ეთნიკურ ინფორმაციას.

## ALLA SOKOLOVA
RUSSIA /REPUBLIC OF ADYGHEA

Ph.D., a specialist in ethnomusicology and traditional instrumental music. Professor at the Institute of Arts at Adyghean State University, a member of the Russian Union of Composers and author of more than 170 scholarly and 200 popular works on the analysis of Adyghe and Cossack cultures, History and Theory of Adyghe traditional music in Russian, English, Turkish and Adyghe, as well as on modern composition. She participated in international conferences in Austria, Italy, Germany, Hungary, Lithuania, Norway, Portugal and Russia.

### SENSES AND CODES OF AMOEBAEAN SINGING IN ADYGHEAN TRADITIONAL CULTURE

The paper deals with the study of particular form of Adyghean traditional singing – alternation of soloists. The notion "ameboebaean" (from Greek amoibaios – alternation, following one another) defines the widespread on the world scale phenomenon of alternation of two soloists or two choirs each of which has a leading singer. Detection of amoebaean form of singing in Adyghean polyphony is an additional evidence of its ancient origin.
The author presents examples of the *amoebaean* form of Adyghean traditional polyphony, documented in sound and written sources of the 20th century. At the same time ethnographic data documented among Adyghean diaspora in Turkey will also be presented. The comparison of the materials from various sources of the past two centuries allow to say, that the amoebaean form of Adyghean music was and still is a significant ethno characteristic feature of Adyghean music culture; and we interpret it as a part of the cultural symbolic system, encoding ethnic information.

# maikl tenzeri

## kanada



კომპოზიტორი, შემსრულებელი, კუნძულ ბალის მუსიკის შესწავლისა და სხვა კვლევითი პროექტების ავტორი. მისი კომპოზიციები სრულდება ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და აზიაში. მისი ნაშრომები იბეჭდება ჩიკაგოსა და ოქსფორდის უნივერსიტეტების გამომცემლობების მიერ. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. ახლახანს მიიღო კანადის კილამის საბჭოს 2008-2010 წლების სტიპენდია, რაც მას საშუალებას აძლევს განახორციელოს კვლევა ზოგად მუსიკოლოგიაში. 2009 წელს „ნიუ უორლდ რექორდსმა" გამოსცა ტენზერის კომპოზიციების კომპაქტური დისკი „დაე სხვებმა დაგასახელონ". 2010 წლის თებერვალში „მსოფლიო მუსიკის" ანალიტიკური მიდგომების პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ამჰერსტში (მასაჩუსეტსი) მან წაიკითხა წამყვანი მოხსენება „ციკლური დროის ბუნება მუსიკაში".

### kunZuli balis gamelanis musikis polifoniuri aspeqtebi

კუნძულ ბალის გამელანის მუსიკა არის სხვადასხვა შრეებისგან შემდგარი დიდი ანსამბლური ტრადიცია, რომელშიც ხმები განსხვავდებიან რეგისტრისა და სიმჭიდროვის მიხედვით. ეს მუსიკა ჩვეულებრივ კლასიფიცირდება, როგორც ჰეტეროფონიული, სადაც ყველა ხმა რეგულარული ინტერვალებით იყრის თავს ერთი და იგივე გამის საფეხურზე. გამელანის პოპულარულ სიმღერაში სხვადასხვა ხმების (შრეების) დამახასიათებელი ფრაზები შეჯამებული და ილუსტრირებულია მოხსენების დასაწყისში. თუმცა, არსებობს ტრადიციული მუსიკის მელოდიური ქცევის ტიპები, რომლებიც პრაქტიკულად პოლიფონიურია.
ნაშრომში აღწერილი და ილუსტრირებულია გამელანის მუსიკალური სტრუქტურების ტიპები როგორც გაშიფრული მასალით, ისე აუდიოჩანაწერით. ამ მრავალრიცხოვანი და ნაირგვარი ქცევების შუქზე ვასკვნით, რომ კუნძულ ბალის მუსიკა არის ერთგვარი პლაცდარმი პოლიფონიის კატეგორიის გადახედვისა და მის მიერ ჰეტროფონიის გადაფარვისათვის.

# MICHAEL TENZER

## CANADA

A composer, performer, and author of scholarship on Balinese music and other topics. His compositions have been performed throughout North America, Europe and Asia, and his books are published by University of Chicago and Oxford University presses. Tenzer has received numerous awards and recognitions. The most recent is a Canada Council Killam Research Fellowship for 2008-10, which will enable him to undertake research in general musicology. Let Others Name You, a CD of Tenzer's recent music, appeared on New World Records in 2009. In February 2010, he delivered the keynote address, On the Nature of Cyclic Time in Music, to the First International Conference on Analytical Approaches to World Music in Amherst, Massachusetts.

### POLYPHONIC ASPECTS OF BALINESE GAMELAN MUSIC

Balinese gamelan music is a large ensemble tradition with stratified parts distinguished from one another by register and density. The music is conventionally classified as heterophonic, in that all parts converge on the same scale degree at regular intervals. The characteristic idioms of the various parts (or layers) in the popular gamelan gong kebyar will be summarized and illustrated at the outset of this presentation. However, there are several types of melodic behavior in traditional music that are effectively polyphonic.
The paper describes and illustrates the types of Gamelan music structures with transcriptions and recordings. In light of these many and diverse behaviors, the conclusion uses Balinese music as a springboard to reconsider the category polyphony and its overlap with heterophony.

## franc foedermairi
avstria



ხელოვნების მაგისტრი და ფილოსოფიის დოქტორი, ვენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა მუსიკისმცოდნეობასა (ერიკ შენკთან და ვალტერ გრაფთან) და კულტურის ანთროპოლოგიას (ჟოზეფ ჰაკელთან და ვალტერ ჰირშბერგთან). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1964 წელს ვალტერ გრაფთან. 1972 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, მან შეცვალა ვალტერ გრაფი შედარებითი მუსიკისმცოდნეობის (ეთნომუსიკოლოგია და სისტემატური მუსიკისმცოდნეობა) პროფესორის თანამდებობაზე (1973), რომელიც ეკავა პენსიაზე გასვლამდე (1999). იგი არის ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1986-1990 წლებში იყო ავსტრიის მუსიკისმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი.

### robert laxis mier 1916 wels Cawerili megruli da kaxuri simRerebi

2008 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე სიმპოზიუმზე განხილული იყო ისტორიული და ხმოვანი ჩანაწერების გაშიფვრის საკითხი და აღწერილი იქნა კომპიუტერული დამხმარე მეთოდი რობერტ ლახის მიერ 1916 წელს ჩაწერილი გურული სიმღერების მაგალითზე. ლახის 1916 წლის კოლექცია აგრეთვე შეიცავს მეგრულ და კახურ მრავალხმიან სიმღერებს, რომლებიც გაშიფრული სახით წარმოდგენილი იქნება მეხუთე სიმპოზიუმზე.

## FRANZ FOEDERMAYR
AUSTRIA

M.A., PhD, Professor Emeritus at the University of Vienna. He studied musicology (with Erich Schenk und Walter Graf) and cultural anthropology (with Josef Haeckel and Walter Hirschberg) at the University of Vienna. He took the Doctorate with Graf in 1964. After completing the habilitation in 1972 at Vienna he succeeded Graf in 1973 as full Professor of Comparative Musicology (Ethnomusicology and Systematic Musicology), the post he held until his retirement in 1999. He is a corresponding member of the Austrian Academy of Sciences and between 1986-1990 was the President of the Austrian Society of Musicology.

### MINGRELIAN AND KAKHETIAN MULTIPART SONGS RECORDED BY ROBERT LACH IN 1916

At the 4th International Symposium on Traditional Polyphony 2008 in Tbilisi problems of transcribing multipart songs from historical sound recordings were discussed, and by way of Gurian songs recorded by Robert Lach in 1916 a computer aided method was described.The collection Lach 1916 also contains Mingrelian and Kakhetian multipart songs. They have been transcribed and will be presented at the current symposium.

**jeremi fauci**
aSS



მერილენდის (აშშ) უნივერსიტეტში ამთავრებს ნაშრომს ეთნომუსიკოლოგიაში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. 2009 წლის ზაფხულში მონაწილეობდა საველე ექსპედიციაში საქართველოში. 2005 წლიდან სწავლობს ქართულ ტრადიციულ ვოკალურ მუსიკას, ზოგადად ქართულ კულტურასა და ისტორიას ინტერნატურისა და საკონტრაქტო საშუალებებით აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის ხალხური კულტურის ცენტრში და სმითსონის ინსტიტუტის რალფ რინზლერის არქივში.

**siZvele da tradiciuloba qarTul tradiciul vokalur musikaSi**

ქართულ ეთნომუსიკოლოგიასა და თავად ქართულ კულტურაში მუსიკალურ ქმნადობასა და ბევრი ქართული ჯგუფის იდენტურობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიძველის კონცეფცია. ქართულ ტრადიციულ ვოკალურ მუსიკის თვალსაზრისით სიძველე მოქნილი იდეაა,რომელიც შესაძლოა იყოს როგორც აბსტრაქტული, ისე რეალური (მასუმი 2002) – დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროიდან მოყოლებული წინასაბჭოთა პერიოდამდე. ჯგუფური იდენტურობისა და ქართულ კონტექსტში „ტრადიციულობის" ზოგადი დეფინიციის ჩამოყალიბების შემდეგ ჩვენ შევისწავლით იმ ცვალებად როლს, რომელსაც სიძველე თამაშობს ქართულ ტრადიციულობასა და ჯგუფურ იდენტურობაში. ნაშრომში გამოყენებულია ქართველი ეთნომუსიკოლოგების გამოკვლევები (ჟორდანია, წურწუმია, ერქვანიძე, შუღლიაშვილი, ანდრიაძე, ჩხეიძე, ჭოხონელიძე) და მოცემულია 2009 წლის ზაფხულში მუსიკოსების, არა-მუსიკოსებისა და მკვლევრებისაგან აღებული ინტერვიუების დეტალური ანალიზი. მათზე დაყრდნობით წარმოდგენილია არგუმენტები, როგორც „ძველის დაბრუნებას", ისე „ქართულობის" სხვადასხვა კონცეფციების სასარგებლოდ, როგორც ეს გეორგ ზიმმელის ნაშრომებშია მოცემული.

# JEREMY FOUTZ
USA

Jeremy Foutz is finishing his Master's degree in ethnomusicology at the University of Maryland, USA, after a wonderful and insightful field experience in Georgia in the summer of 2009. He has been studying Georgian traditional vocal music, culture and history since 2005 with internships and contract positions at the American Folklife Center at the Library of Congress and at the Ralph Rinzler Archives at the Smithsonian Institution.

## ANCIENTNESS AND TRADITIONALITY IN GEORGIAN TRADITIONAL VOCAL MUSIC

Within Georgian ethnomusicology and within the dominant Georgian culture itself, the concept of ancientness has a prominent role in musical discourse and in the formation of many Georgians' group identity. In connection with Georgian traditional vocal music, ancientness is a flexible idea that can be both abstract and real (Massumi 2002) – as distant as the time of David the Builder and King Tamar and as close as the pre-Soviet days. After establishing a common definition of group identity and "traditionality" in the Georgian context, we will explore several shifting roles ancientness plays in musical traditionality and Georgian group identity, and its importance in supporting Georgian culture. Data sources for this project include selections from Georgian ethnomusicological literature (Jordania, Tsurtsumia, Erkvanidze, Shugliashvili, Andriadze, Chkdeidze, Chokhonelidze) and analysis of detailed interviews conducted in the summer of 2009 with Georgians from all walks of life including musicians, non-musicians, and scholars. Drawing on these sources, evidence will be presented which points towards the use of Georgian traditional music as a way to both 1) reclaim/re-imagine the past and 2) defend the various conceptions of "Georgianness" against the theoretical other, as explored in the works of Georg Simmel.



## marina qavTaraZe
saqarTvelo

ხელოვნებათმცოდნეობის (მუსიკოლოგიის) დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი. უძღვება სპეციალობის კლასს; გარდა მსოფლიო და ქართული მუსიკის ისტორიის სპეციალური კურსებისა, კითხულობს საავტორო კურსებს არაევროპული ქვეყნების მუსიკის ისტორიაში, მუსიკალური თეატრის ისტორიაში, სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიაში. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ძველი და ახალი ქართული მუსიკის კვლევის, კერძოდ, კულტურათაშორისი ურთიერთობის, სემიოტიკის, მუსიკალურ-თეატრალური ჟანრული სინთეზის და სხვა პრობლემებთან. ავტორია 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა; მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში; მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით არაერთი პროექტია განხორციელებული, მათ შორის – სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება.
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალ „მუსიკოლოგია და კულტუროლოგიის“ მთავარი რედაქტორი. კომპოზიტორთა კავშირის სამეცნიერო შრომების კრებულების სერიის „მუსიკოლოგიური ძიებანი“ დამფუძნებელი და პასუხიმგებელი რედაქტორი.

### polifoniisa da monofoniis urTierTmimarTebis problema qarTuli qalaquri folkloris magaliTze

(**ეკა ბუჩუკურთან** თანაავტორობით)

მოხსენებაში განხილულია ქართული ქალაქური მუსიკალური კულტურა დასავლეთის და აღმოსავლეთის უნივერსალური არქეტიპებისა და ისტორიული გარემოს ურთიერთობის პროცესში. გამოკვეთილია შემდეგი საკითხები: 1. რა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის და დასავლეთის მუსიკალურმა კულტურამ ზეპირი ტრადიციის ქალაქურ მუსიკაზე, კერძოდ, თბილისურ მუსიკალურ ფოლკლორზე, ანუ როგორი იყო „თავისი“ და „სხვისი“ კულტურების ურთიერთობის ასპექტები ეროვნულ მუსიკაში პოლიფონიური და მონოფონიური აზროვნების ჭრილში; 2. რა სპექტრით იყო წარმოდგენილი საქართველოში „უცხო კულტურის არქეტიპები“; 3. როგორი იყო ამ ურთიერთობის დინამიკა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და ამ ურთიერთობის შედეგი.

## MARINA KAVTARADZE
GEORGIA

Doctor of Musicology, Head of the Department of Music History at Tbilisi State Conservatoire. Assoc. Professor. Leads the class of World and Georgian Music History, the author's course in the Music History of Non-European Countries, in the History of Music Theatre, Methodology of Scientific study. Her scientific interests are linked with the study of old and new Georgian music, intercultural relations, semiotics, genre synthesis of musical theatre and other problems. Is the author of more than 50 scientific works; takes part in international conferences and symposia; a number of projects have been realized on her initiative and under her leadership, including scientific conferences. She is the editor-in-chief of the Conservatoire's electronic journal "Musicology and Culturology. Founder and responsible editor of the series of Composers' Union's collections of scientific works "Musicological Searches".

### THE PROBLEM OF INTERRELATION BETWEEN POLYPHONY AND MONOPHONY ON THE EXAMPLE OF GEORGIAN URBAN FOLKLORE

(Co-author **Ekaterine Buchukuri**)

The paper discusses Georgian urban music in the process of interrelation between Western and Eastern universal archetypes and historical conditions. The following is marked out: 1. The impact of Eastern and Western cultures on the oral tradition of urban music, namely on Tbilisi folk music, or what was the aspect of interrelation between "native" and "foreign" cultures from the standpoint of polyphonic and monophonic thinking; 2. How "the archetypes of foreign culture" were presented in Georgia; 3. The dynamics of these relations in various historic epochs and their result.



## manana SilakaZe
saqarTvelo

ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1962). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში (1962-2006). საკანდიდატო დისერტაციის თემაა „ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკა“ (1967), სადოქტორო დისერტაციისა – „ქართულ ჩრდილო კავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“ (1991). აქტიურად იყო ჩაბმული საველე საქმიანობაში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის რეგიონებში. ავტორია 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა (ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებზე), მათ შორის ხუთი გამოცემულია ცალკე წიგნად (უკანასკნელი – „ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილო კავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“, 2007). ამჟამად მისი კვლევის სფეროა შუა საუკუნეების ქართული მუსიკალური კულტურის საკითხები წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით და ქართული ეთნომუსიკოლოგიის ისტორია XIX საუკუნეში. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

### qarTuli da adiRuri instrumentuli musika mravalxmianobis konteqstSi (tipologiuri paralelebi)

კავკასიის ხალხთა ინსტრუმენტულ მუსიკაში (ინსტრუმენტული ჰანგები და სიმღერის თანხლება) გამოკვეთილია „ტრადიციული მუსიკალური აზროვნების“ ფორმები.
ინსტრუმენტული თანხლება ქართული სიმებიანი საკრავის თავდაპირველი და ძირითადი ფუნქციაა. აკომპანირების აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინები შებანება, დაბანება ნაწარმოებია სიტყვიდან ბანი.
ადიღური მუსიკალური კულტურის თავისებურებას წარმოადგენს *ჟიუ*, რომელიც ადიღური მუსიკალური კულტურის იდენტობის განმსაზღვრელი მოვლენაა. ჟიუ (ადიღეურად: *ჟუ, ეჟიუ*, ყაბარდოულად: *ეჟუ*) ნიშნავს ხმით თანხლებას, აგრეთვე აკომპანიატორს, „დაკვრით თანმხლებს“.
ინსტრუმენტული *ჟიუს* ადრეული ფორმები წარმოდგენილია ადიღური ხემიანი საკრავის *(შიჭაფშინა)* რეპერტუარში. მისი არსებითი ფუნქციაა ჰარმონიული საყრდენის ჩვენება. *ჟიუ* ტიპოლოგიურად, თავისი არსით, ბუნებით ქართული შებანების იდენტურია.

## MANANA SHILAKADZE
GEORGIA

Ethnologist, Doctor of Historical sciences/ Ph.D. Graduated from the History Department of Tbilisi State University (1962), and worked at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology (1962-2006). In 1967 she defended a dissertation “Georgian Instrumental Music” and in 1991 a dissertation “Georgian North-Caucasian Cultural Relations”. Has led intensive field-work activity both in Georgia and North Caucasus. Has authored more than 90 scholarly works (in Georgian, Russian and German languages), five of which have been published as separate volumes (“Georgian Folk Instruments and Instrumental Music,” Tbilisi. Metsniereba, 1970; “Georgian Folk Musical Traditions and Contemporaneity,” Tbilisi. Metsniereba, 1988; “Gruzinskaya Narodnaya Instrumentalnaya Muzika,” Moscow, Muzika, 1989; “The Subject of Ethnomusicology, Methods and Purposes,” Tbilisi. Metsniereba, 1991; and “Traditional Musical Instruments and Georgian / North-Caucasian Ethnocultural Relations,” Tbilisi, Caucasian House Publishing, 2007). Takes part in international conferences and symposia. Her current research interests include examining medieval sources for Georgian musical culture and the history of Georgian ethnomusicology of the 19th century. Also leads pedagogical work at Tbilisi State Conservatorie.

### GEORGIAN AND ADYGHEAN INSTRUMENTAL MUSIC IN THE CONTEXT OF POLYPHONY (TYPOLOGICAL PARALLELS)

In the instrumental music of the peoples of the Caucasus (instrumental melodies and song accompaniment) forms of „traditional musical thinking“ (I. Zemtsovsky) are marked out.
Instrumental accompaniment is the first and foremost function of Georgian string instrument. Old terms for accompaniment *shebaneba, dabaneba* are derived from the word bani.
*Zhiu* is the peculiar feature of Adyghean musical culture, which estimates the etnical identity of this people. *Zhiu* (*Zhu* or *Ezhiu* in Adyghean, *Ezhu* in Kabardian) denotes: vocal accompaniment, accomapnist, „accompaniment by playing the instrument“.
Early forms of instrumental *Zhiu* are represented in the repertoire of Adyghean bowed instrument *Shichapshina*. Its essential function is to show the harmonic basis. Tipologically *Zhiu* is identical to Georgian shebaneba in its nature.



## daviT SuRliaSvili
saqarTvelo

მუსიკოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების სპეციალისტი. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, ანჩისხატის ტაძრის მგალობელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდ ნე-ფოლკლორისტის სპეციალობით (1990). მისი მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქართული საეკლესიო გალობა. აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის ქართული სამგალობლო სკოლების ტრადიციის, გალობის მრავალხმიანობის შესახებ. გამოცემული აქვს ქართულ საეკლესიო საგალობელთა (2002, 2006) და ხალხური სიმღერის (2005) სანოტო კრებულები. მონაწილეობა აქვს მიღებული ფოლკლორისტულ ექსპედიციებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და სიმპოზიუმებში.

### usityvo "mravalxmianoba qarTul tradiciul musikaSi

მუსიკა, ერთი მხრივ როგორც აბსტრაქტული, ხოლო მეორე მხრივ, როგორც გრძნობითი ლოგოსის მქონე უნივერსალური ენა, კაცობრიობის ისტორიის მუდმივარსებულ კატეგორიას წარმოადგენს. განცდის სიღრმე და შეგრძნებები, რომელიც მუსიკალური ენით ენიჭება ადამიანს, ბუნებრივად სვამს საკითხს ამ ენის პრეისტორიულობის, პირველადობის შესახებ.
ქართულ ტრადიციულ მუსიკაში იშვიათობას არ წარმოადგენს სიმღერები, რომელთაც პირობითად „უსიტყვო სიმღერები" შეიძლება ეწოდოს, რადგან მათში მხოლოდ გლოსოლალიებს, მნიშვნელობის არმქონე ან მნიშვნელობადაკარგულ სიტყვებს, (ე. წ. *სამღერისებს*) ვხვდებით და მათი შინაარსი მთლიანად მუსიკალური ენის სინტაქსს ეფუძნება. აღნიშნული ტიპის ფრაზებისა და ვრცელი მონაკვეთების შემცველი სიმღერები და საგალობლები მით უფრო მრავლად მოგვეპოვება. ავტორის ინტერესის საგანს ამ კატეგორიის სიმღერებში და საგალობლებში არსებული მრავალხმიანობის როგორც მუსიკალური, ისე ვერბალური თავისებურებების გამოვლენა წარმოადგენს.

## DAVIT SHUGHLIASHVILI
GEORGIA

Doctor of Musicology, specialist at the Georgian Folk Music Department of Tbilisi State Consevatoire. A member of the Georgian Composers Union. Chanter of the Anchiskhati Church Choir. Graduated from the Musicology Department of Tbilisi State Conservatoire (folklore, 1990). Main sphere of his activity is Georgian Church chant. Has published scientific works, including the ones on the traditions of Georgian Schools of Chant, on the polyphony of chants. Has published collection of transcriptions of Georgian church chants(2002, 2006) and Georgian fok songs (2005). Has participated in the field expeditions and various international scientific conferences and symposia.

### "WORDLESS" POLYPHONY IN GEROGIAN TRADITIONAL MUSIC

Music, as on the one hand an abstract language and on the other hand a universal language with perceptional logos, is an invariable category of human history. The depth of feeling, with which musical language endows a human being, naturally arouses the question concerning the pre-historicity and primacy of this language.
In Georgian traditional music the songs, conditionally referred to as wordless are not a rare occurrence, for they are sung by glossolalias or meaningless words. Their content is entirely based on the syntax of the musical language. There is a large number of songs and chants with the above-mentioned phrases and long fragments. The focus of our interest is to reveal musical and verbal peculiarities of the polyphony in the songs of this category.



## nino ciciSvili
avstralia/saqarTvelo

მელბურნის მონაშის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი. 2005 წელს ამავე უნივერსიტეტში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 2010 წელს მისი ავტორობით გამოიცა წიგნი: „ეროვნული ერთობა და გენდერული განსხვავება; ქართული ტრადიციული მუსიკის იდეოლოგიები და პრაქტიკები“, მისივე სადოქტორო დისერტაციის საფუძველზე. იკვლევს კავშირებს მუსიკას, სოციალურ სისტემებსა და ისეთ პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის, როგორიცაა ნაციონალიზმი და გენდერული რეჟიმები როგორც ტრადიციული, ისე პოპულარული მუსიკის ჟანრებში. მისი პუბლიკაციები ასევე ეძღვნება მუსიკალური სტილების ინტერდისციპლინარულ და შედარებით კვლევას, მათ შორის ქართული, ბალკანური და შუა აღმოსავლეთის სასიმღერო ტრადიციების არქეოლოგიური და ფიზიკურ-ისტორიული ანთროპოლოგიით გამყარებულ ინტერ-რეგიონალურ ანალიზს.

### aRmosavleT saqarTvelos mravalxmiani sasimRero stilebis SedarebiTi da interdisciplinaruli kvleva Sua aRmosavleTisa da centraluri aziis monofoniuri musikis konteqstSi.

აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანი სუფრული სიმღერები ავლენენ რამდენიმე უნიკალურ თავისებურებას (თავისუფალი მეტრი, მელიზმატური მელოდიები, ბგერათსიმაღლის სისტემები). ამ განსხვავებას ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ხშირად ხსნიან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული განსხვავებით. ავტორი გვთავაზობს ამ განსხვავების გაგებას უფრო ფართო გეოგრაფიული და ისტორიული კონტექსტით. განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიან სუფრული და სოლო შრომის სიმღერები (*ოროველა* და *ურმული*) ავლენენ აშკარა სტილისტურ მსგავსებას შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მონოფონიურ სასიმღერო სტილებთან. შედარებითი ანალიზისა და ინტერდისციპლინარული კვლევის საფუძველზე ავტორი ამტკიცებს, რომ წინაისტორიულმა ინდო-ევროპულმა მიგრაციამ აღმოსავლეთ საქართველოში (ფართოდ,აღმოსავლეთ ტრანსკავკასიაში) განაპირობა საქართველოს ამ რეგიონის სუფრული სიმღერების უნიკალური შერეული პოლიფონიური სტილი.

## NINO TSITSISHVILI
GEORGIA

Nino Tsitsishvili is an Adjunct Research Fellow at the School of Music/Conservatorium at Monash University, Melbourne, where she graduated PhD in 2005. Her book entitled National Unity and Gender Difference: Ideologies and Practices in Georgian Traditional Music based on her doctoral dissertation was published in 2010. Tsitsishvili's research and publications concern links between music, social systems and political ideologies such as nationalism and gender regimes, both in traditional and popular music genres. Her publications also involve interdisciplinary and comparative research of musical styles, including inter-regional analysis of Georgian, Balkan and Middle Eastern singing traditions supported by the findings of archaeology and physical-historical anthropology.

### A COMPARATIVE AND INTERDISCIPLINARY STUDY OF EAST GEORGIAN POLYPHONIC SONG STYLES IN THE CONTEXT OF MIDDLE EASTERN AND CENTRAL ASIAN MONOPHONIC MUSIC

Polyphonic style of East Georgian (Kartli-Kakhetian) table songs demonstrate several unique features (free metre, melismatic melodies, scale systems). This difference in Georgian ethnomusicology is often explained by referring to ecologico-geographical differences between East and West Georgia. However, the author suggests the understanding of this differences considering wider geographical and historical contexts. In particular, East Georgian polyphonic table and solo work songs (known as *Orovela* and *Urmuli*) show obvious stylistic similarities with monophonic singing styles from the Middle East and Central Asia. Using comparative analysis and drawing interdisciplinary research findings including archaeology and physical anthropology, the author suggested that prehistoric Indo-European migrations in Eastern Georgia (and wider – in Eastern Transcaucasia) are responsible for the development of the unique mixed polyphonic style of table songs of East Georgia.



## maka xarZiani
saqarTvelo

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიციო ფაკულტეტი (1989). სხვადასხვა დროს მუშაობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის I სამუსიკო გიმნაზიაში და შ. რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში პედაგოგად, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კათედრის მეცნიერ-თანამშრომლად. ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტად.
არის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *ნანინას* წევრი. მონაწილეობა აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართულ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში.

### samxmiani simRerebis gaerTxmianebis sakiTxisaTvis qarTul musikalur folklorSi (raWa/svaneTi)

ცნობილია, რომ ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი შერჩევითობაა,ანუ იმ ფორმების შერჩევა, რომლითაც ფოლკლორული ნიმუში ინახავს თავს. სწორედ ამ მოვლენაში შეიძლება დავინახოთ იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა სოციალურ გარემოში ფოლკლორული ნიმუშის შესრულების ფორმა იცვლება, ანუ შერჩევითობა დეტერმინებულია იმ კონტექსტით, რომელშიც ამ სიმღერის არსებობას მისი სოციალური ფუნქციის შეცვლა განაპირობებს. სტატიის ავტორი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული, ერთიდაიმავე სიმღერის სამი და ერთხმიანი ვარიანტების ურთიერთშედარების საფუძველზე იკვლევს სამხმიანი სიმღერების გაერთხმიანების მიზეზებს და მსჯელობს ამ მოვლენის თავისებურებებზე.

## MAKA KHARDZIANI
GEORGIA

Dr. of Musicology, Ethnomusicologist. Graduated from the Musicology-Composition Department of Tbilisi State Conservatoire. At various times she worked at Z. Paliashvili Tbilisi music Gymnasium 1, was a teacher at Shota Rustaveli State University of Cinema and Theatre, a scientific researcher at the Geogian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire.
At present she is a specialist at The International Research Center for Traditional Polyphony of the Conservatoire. Is a member of women's folk ensemble *Nanina*, has participated in various local and international Conferences and Symposia held at the Conservatoire.

### ON THE CHANGE OF THREE-PART EXAMPLES INTO SINGLE-PART SONGS IN GEORGIAN FOLK MUSIC (RACHA-SVANETI)

It is known, that selectivity is one of the main factors for maintaining folklore alive. I.E selections of the forms, thanks to which folk music maintains itself. In this we can find the reason why the performance form of folk example changes in various social environments, in other words selectivity is determined by the context, in which the existence of the song is defined by the change of its social function.
Basing on the comparison of single-part and three-part variants of the same song the author studies the reasons why three-part songs are changed into single-part examples and discusses the peculiarities of this phenomenon.



## svimon (jiqi) jangulaSvili
saqarTvelo

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური გუნდის დირიჟორობის მაგისტრი (2004); საეკლესიო მუსიკის მაგისტრი (2008) და ამჟამად დოქტორანტი. თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის რეგენტი (1998 წლიდან); ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი; საქართველოს საპატრიარქოს სამგალობლო ცენტრის, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისა და საპატრიარქოსთან არსებული „ახალგაზრდა მგალობელ-მომღერალთა და მკვლევართა კავშირის" წევრი. მონაწილეობდა რამდენიმე სამეცნიერო სემინარსა და კონფერენციაში. მონაწილეობს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აღსრულებულ ყველა ღვთისმსახურებაში, როგორც საქართველოში,ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ქართული და შუა საუკუნეების ევროპული საეკლესიო მუსიკა.

### mravalxmiani musikaluri qsovilis transformaciis Taviseburebani gamSvenebul sagaloblebSi

მარტივი, სადა სტილის და რთული, გამშვენებული სტილის საგალობლების არსებობა ქართულ სამგალობლო სკოლათა ერთ-ერთი საზიარო თავისებურებაა.
გამშვენება აზროვნება-ქმნადობის განსაკუთრებული მდგომარეობაა. იგი სამგალობლო სანოტო წყაროებში ჩანს, როგორც პროცესი და ამავე დროს, როგორც უკვე ჩამოყალიბებული კომპლექსი მუსიკის გამომსახველი საშუალებებისა,რომელნიც ურთიერთმიმართულნი არიან განსაზღვრული სემანტიკით, ტრადიციული კონტექსტუალობით. ამასთან, სხვადასხვა ქართულ სამგალობლო ტრადიციაში გამშვენება ხასიათდება ხმათა განსხვავებული დამოკიდებულებითა და მრავალხმიანობის ორიგინალური სახეებით.
მოხსენების მიზანია, შეძლებისდაგვარად გამოვლინდეს გამშვენების – როგორც პოლიფონიური მოვლენის კანონზომიერებანი და მისი სტილური და ესთეტიკური თავისებურებანი.

## SVIMON (JIKI) JANGULASHVILI
GEORGIA

Magister in the conduction of Academic Choir (2004); Magister in sacred music (2008) and Doctoral student at Tbilisi State Conser-vatoire (since 2008). Director of the Holy Trinity Cathedral Church Choir of the Georgian Patriarchy (since 1998); teacher at the High School of Church Chant and folk Song; member of the International Centre for Georgian Folk Song and the "Union of Young Chanter-Singers and Scholars" of the Georgian Patriarchy. Participated in a number of scientific seminars and conferences. Takes part in all divine services conducted by Ilia II – Catholicos-Patriarch of All Georgia both in Georgia and abroad. His scholarly interest is focused on Georgian and midieval European music.

### THE PECULIARITIES OF THE TRANSFORMATION OF POLYPHONIC MUSICAL TEXTURE IN ORNAMENTED (*GAMSHVENEBULI*) CHANTS

As it is known the existence of the chants of simple and complex, ornamented (gamshvenebuli) style is one of the common peculiarities of Georgian schools of chant.
Ornamenation (*gamshveneba*) is a particular state of thinking-creativity. Transcribed sources show that it is both a process and an already established complex of the means of musical expression, directed towards each other by means of definite semantics, traditional context. Besides, in various Georgian chant traditions ornamentation (gamshveneba) is characterized by various relation between the voices and original kinds of polyphony.
The aim of the paper is to reveal regularities of ornamentation (gamshveneba) as of a polyphonic phenomenon and its stylistic and aesthetic peculiarities.



## konservatoriis didi darbazi

აგებულია 1938-1941 წლებში. იგი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, შესულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიაში. დარბაზი აღდგენილი და რესტავრირებულია 1997 წელს. დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე. გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკური თვისებებით. გათვალისწინებულია კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტებისათვის. დარბაზს ამშვენებს “Alexsander Schuke Potsdam”-ის ფირმის 3-მანუალიანი 40-რეგისტრიანი ორგანი, “Steinway & sons”-ის ფირმის ორი საკონცერტო როიალი, გააჩნია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, მოძრავი სცენა, საორკესტრო ორმო და ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც პასუხობს თანამედროვე საკონცერტო დარბაზების საერთაშორისო სტანდარტებს. სხვადასხვა წლებში დარბაზში კონცერტებს მართავდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები, მათ შორის: ა. გოროვიცი, ე. პეტრი, დ. შტიდრი, ო, რიდი, ს. რიხტერი, ე. გილელსი, მ. როსტროპოვიჩი. კონსერვატორიის დიდი დარბაზი დღესაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და დედაქალაქის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. ბოლო წლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ტრადიციულად ტარდება საახალწლო კონცერტების სერია, რომელშიც მონაწილეობენ თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსები.

## THE GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE

The Grand Hall of the Conservatoire was built in 1938-1941. The Hall has been as an object of national cultural heritage. The Hall was renovated in 1997. The Grand Hall seats an audience of 500 and is distinguished for its perfect acoustic qualities. It provides all the necessary facilities for chamber and symphony music concerts while its revolving stage and orchestra pit allow for opera performances. The Hall prides itself on a three manual forty register “Alexander Schuke Potsdam” organ and two “Steinway & sons” concert grand pianos both in excellent condition. The Grand Hall has digital audio-recording facilities. In different years outstanding musicians of the world such as : A. Horovitz, E.Petri, D. Shtidri, O Reed, S, Richter, D Oistrach, E Gilels, M Rostropovich, etc performed on the stage of the Grand Hall. Nowadays the Grand Hall is one of the major cultural centres of the capital. It has become good tradition to hold series of the New Year’s concerts with the participation of prominent Georgian and visiting musicians.



## konservatoriis mcire darbazi

მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 7 ნოემბერს. დარბაზის დამთავრებისათვის თანხა გაიღეს მეცენატებმა კონსტანტინე ალიხანოვმა და ძმებმა იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილებმა. დარბაზის ინტერიერი გვარწმუნებს იმაში, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისში Art-modern-მა შემოაღწია. არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნის ცნობილ მხატვარ-დეკორატორ ნოვაკს, რომელმაც დარბაზის შიდა კედლები და ჭერი მოდერნის სტილის ძერწილი ჩუქურთმებით მორთო და მოავარაყა; კედლების გასწვრივ ბახის, ბეთჰოვენის, გლინკას, რუბინშტეინის ბიუსტებია განლაგებული; დარბაზის ელექტროგანათებისა და მოპირკეთების სამუშაოები მთლიანად შუკერტის ფირმამ შეასრულა.
მცირე დარბაზის 100 წლის თავზე მოხდა მისი პირვანდელი სახით აღდგენა, სრული რესტავრაცია. ორასადგილიანი მცირე დარბაზი გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკით, აღჭურვილია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდიით, ორი Steinwey & Sons-ის და Yamaha-ს ფირმის საკონცერტო როიალებით.

## RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE

The Conservatoire Recital Hall was opened in a festive ceremony on November 7, 1904.
The funding necessary to finish construction was provided by philanthropists Konstantin Alikhanov and Zubalashvili (Iakob and Stepane) brothers. The interior shows very convincingly that art-modern was already familiar in Tbilisi at the beginning of the 20th century. The architectural ornamentation is the work of well-known painter and decorator Novack, who decorated the walls and ceiling of the hall with carved and gilded ornaments.
Busts of Bach, Beethoven, Glinka, and Rubinstein located along the walls of the hall. The lighting and wall tiling were provided entirely by the Schuckert Company.
For the centennial anniversary the Recital Hall was renovated and restored to its previous design. Today, this small, 200-seat hall is distinguished by its superb acoustics. It is equipped with a digital recording studio and houses grand pianos by "Steinway & Sons" and "Yamaha".

## Tbilisis vano sarajiSvilis saxelobis saxelmwifo konservatoria

თბილისის კონსერვატორია უმაღლესი მუსიკალური განათლების, შემსრულებლობისა და სამუსიკისმცოდნეო კვლევის ცენტრია საქართველოში. იგი დაარსდა 1917 წლის 1 მაისს. თავისი არსებობის მანძილზე თბილისის კონსერვატორიამ აღზარდა მრავალი გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელი, ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა მთელი თაობა. ძალზედ დიდია პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებულ სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა სია.
კონსერვატორიაში ეწყობა სხვადასხვა სახის მუსიკალური ფორუმები, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონკურსები, სამეცნიერო სიმპოზიუმები და კონფერენციები.

**tradiciuli mravalxmianobis kvlevis saerTaSoriso centri** – დაარსდა იუნესკო-ს მხარდაჭერით 2003 წლის 1 თებერვალს კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის, მასთან არსებული კაბინეტისა და საერო და სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორიის ბაზაზე. ცენტრს აქვს ფართო კონტაქტები, ჰყავს საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო. ცენტრმა განახორციელა არაერთი პროექტი, მათ შორის, იუნესკოს „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ სამწლიანი პროგრამა (2003-2006), რომლის ფარგლებში დაარსდა ცენტრის პერიოდული ორენოვანი ბიულეტენი, გამოიცა ქართველ მეცნიერთა ეთნომუსიკოლოგიური ნარკვევები ინგლისურ ენაზე და ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სახელმძღვანელო ორი CD-ით ქართულ ენაზე. გარდა ამისა, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ცენტრმა გამოსცა საქართველოში დაცული ფონოგრაფის ცვილის ლილვაკების კატალოგი და 16 CD ამ საარქივო ჩანაწერებით. ცენტრმა ასევე გამოსცა I (2002), II (2004), III (2006) და IV (2008) სიმპოზიუმების მოხსენებების კრებულები.



## V. SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

Tbilisi State Conservatoire is the center of musical education, performance and musicological studies in Georgia. It was founded on 1 May, 1917. Since the day of its foundation the Conservatoire has brought up a great number of outstanding musicians, performers and generations of Georgian composers and musicologists. The list of the Conservatoire's students and graduates – prize-winners and laureates of the world's most prestigious international competitions, is quite long. Many remarkable musical forums, national and international competitions, scientific symposia and conferences are organized at the Conservatoire.
**RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY** was founded on 1 February, 2003 by the support of UNESCO on the premises of Tbilisi State Conservatoire Department of Georgian Folk Music, the Department's and Secular and Sacred Music Research Laboratory. The Center was involved in the realization of UNESCO's three-year (2003-2006) program for the "Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony". The Center has elected the International Steering Committee. As part of this program the Center established bilingual bulletin; published the book of essays by Georgian ethnomusicologists in English, the textbook on Georgian folk music (in Georgian). Also, with the financial support of the Georgian Ministry of Culture and Monument Protection published the Catalogue of Wax Cylinder Collections in Georgia and sixteen CDs from the archival recordings. The Center also published the Proceedings of the First (2002), Second (2004), Third (2006) and Fourth (2008) Symposia.

## qar Tu l i xa l xur i simRer is saer TaSo r iso cent r i

შეიქმნა 2001 წელს. მისი შექმნის ინიციატორია ბ-ნი ანზორ ერქომაიშვილი.
ცენტრი ეწევა მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას და უკვე ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებაც მოასწრო: საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და უცხოურ არქივებში დაცული ქართული ხალხური სიმღერების ფონოჩანაწერების, კინო, ფოტო, ვიდეო და სხვ. მასალების არქივს.
საქართველოს ათამდე რაიონში ხალხური სიმღერების ხანდაზმული ოსტატების ხელმძღვანელობით შექმნა ახალგაზრდა ლოტბართა სკოლები, თანამედროვე უნივერსალური ტექნიკის გამოყენებით აფიქსირებს ძველ საშემსრულებლო ტრადიციებს.
საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ძველი ფონოჩანაწერების გაშიფრა, სანოტო კრებულების შედგენა და გამოცემა ლაზერული დისკების სახით. დაწყებულია სერიის „საუკუნის ანთოლოგია“ გამოცემა (1901 – 2001 წ. წ.).
აქვს ფართო საერთაშორისო ურთიერთობები საზღვარგარეთ არსებულ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლებთან და ასოციაციებთან, ფონოარქივებთან, სამეცნიერო და საბიბლიოთეკო ცენტრებთან.
ატარებს ფოლკლორულ საღამოებს, ფესტივალებს, კონკურსებს ავთენტიკური ჯგუფების, საოჯახო ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით. ცენტრმა განახორციელა იუნესკოს „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ სამწლიანი პროგრამა (2003-2006).
ხელს უწყობს ქართული ხალხური სიმღერის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას.

## THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG

The Centre was founded in 2001 under the initiative of Mr. Anzor Erkomaishvili.
It undertakes versatile practical activities and has already carried out many useful projects, including: conservation of Georgian folk songs by the creation of new archives based on collecting and restoration of audio recordings, film and video materials, as well as other related materials, wherever they exist in archives in Georgia or abroad.
It aims to create suitable conditions for masters of Georgian folk song in the ten regions of Georgia to pursue their art, and to instruct students through special schools to become masters for future generations; to record and document old performing traditions by using new audio and video equipment.
One of the important spheres of the Centre's activities is transcription of archival recordings, creation of musical scores for publication in anthologies and issue of compact discs. The publication of series of the "Centenary Anthology" /1901-2001/ has already started.
The Centre has established wide international contacts with Georgian folk ensembles, associations, sound archives, libraries and centres of study. It holds folk concerts, festivals and contests with participation of authentic groups, family ensembles and individual performers. The Center was involved in the realization of UNESCO's three-year (2003-2006) program for the "Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony".
It promotes holding of scientific conferences and symposiums on the most important problems of Georgian folk song.


The United Nations Educational,
Scientific and Cultural Organization

hereby proclaims

*Georgian Polyphonic Singing*
*- Georgia -*

a Masterpiece
of the Oral and Intangible
Heritage of Humanity

松浦晃一郎

Koïchiro Matsuura
Director-General

Paris, 18 May 2001

გაერთიანებული
ერების
განათლების,
მეცნიერებისა
და კულტურის
ორგანიზაცია
აცხადებს

**ქართულ მრავალხმიან**
**სიმღერას**
**- საქართველო -**

**კაცობრიობის ზეპირი და**
**ხელთუქმნელი**
**მემკვიდრეობის შედევრად**

კოიშირო მაცუურა
გენერალური დირექტორი

(პარიზი, 18 მაისი, 2001)

*„ბოლო დროის ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი მუსიკალური შთაბეჭდილება შონბერგის „იაკობის კიბე“ და ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის ჩანაწერებია... მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა, რომელიც შესრულებისათვის გაცილებით უფრო მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია“.*

***იგორ სტრავინსკი***

*"One derives a highly significant musical impression from Arnold Schonberg's "Jacobleiter" and the recordings of Georgian polyphonic folk singing. This is a tradition of active execution of music which has roots in the remote past; it is also a splendid discovery that is capable of enriching the performing art more than all the acquisitions of modern music… The yodle, known as "krimanchuli" in Georgia, was the best I ever heard"*

***Igor Stravinsky***

ქართველები მსოფლიოს იმ მცირერიცხოვან ხალხთა რიცხვს განეკუთვნებიან, რომელთაც XXI საუკუნის დასაწყისამდე შემოინახეს აუთენტიკური ფოლკლორი. საქართველოს სოფლებში ჯერ კიდევ შეხვდებით ნამდვილ ხალხურ მომღერლებს, რომელთათვისაც სიმღერა მათი ყოფის შემადგენელი ნაწილია და ვისაც იგი ფონოჩანაწერიდან კი არა, თავისი წინაპრისაგან უსწავლია. ასეთი მომღერლების რიცხვი თანდათან იკლებს. ბარტოკი ამბობდა, სოფლად ძველებური სიმღერების აღდგენა ამაო გარჯააო. მაგრამ ამ საქმემ შეიძლება ნაყოფიც გამოიღოს, თუ აღდგება ძველ საქართველოში არსებული სიმღერის სწავლების ტრადიციული მეთოდი. საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს საქართველოში მომრავლდა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები, რომელთა მიზანია მოზარდებში ტრადიციული სიმღერა-გალობის სიყვარულის გაღვივება. ეს გვაიმედებს, რომ ქართული ტრადიციული სიმღერა კვლავაც დარჩება ქართველი ხალხის თვითმყოფადობის სიმბოლოდ. სიმპოზიუმზე ცნობილ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად წარმოდგენილი იქნებიან ბავშვთა ფოლკლორული გუნდები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

The Georgians are one of the few nations who preserved their authentic folklore until the 21st century. It also noteworthy, that the revival of Georgian traditional chant in Georgian church started at the dawn of the new century. For Georgian people polyphonic song and chant are the primary expressions of their identity.

It is a delighting fact, that, many children's ensembles have been created in Georgia lately; they aim to revive love to this unique tradition among the young; this gives us hope, that Georgian traditional song and chant will always remain the symbol of the originality of Georgian people. Children's groups from various parts of the country will perform at the Symposium alongside the renowned ensembles.

## filmebi

**soso CxaiZe** (saqarTvelo) — *Svidkaca (daumTavrebeli)*

**hugo zempi** (Sveicaria) — *Tamarisa da laSaris dReoba (1998)*

*samgloviaro sagaloblebi saqarTvelos kavkasiidan (2007)*

*Cerianas mravalxmianoba: sakos jgufi (2010)*

## FILMS

**SOSO CHKHAIDZE** (GEORGIA) — *SHVIDKATSA (UNFINISHED)*

**HUGO ZEMP** (SWITZERLAND) — *TAMAR AND LASHARI (1998);*

*FUNERAL CHANTS FROM THE GEORGIAN CAUCASUS (2007);*

*POLYPHONY OF CERIANA: THE COMPAGNIA SACCO (2010).*

## soso CxaiZe (1937-1992)

saqar Tve l o



კინორეჟისორი. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიგრაფიის ფაკულტეტი. ამ სპეციალობით არასოდეს უმუშავია. 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტში განვლო გზა რეჟისორის ასისტენტობიდან კინორეჟისორობამდე. 1964–1969 წლებში სწავლობდა მოსკოვში, საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში (ჩუხრაის სახელოსნო).

gadaRebu l i aqvs f i l mebi:

კოლხეთი – დოკუმენტური, ორი ნაწილად, 1967
სიესტა – მეთხუთმეტე გაზაფხული, მხატვრული, ორ ნაწილად, 1971
ძველი ქართული საგალობლები – მუსიკალური, სამ ნაწილად, 1972
თუში მეცხვარე – მხატვრული, სამი სერია, 1977
მღერის „რუსთავი“ – მუსიკალური, 1981
შვიდკაცა – მხატვრული, შვიდი სერია (დაუმთავრებელი)
ქალბატონ მარიამის მოგზაურობა – დოკუმენტური (დაუმთავრებელი)

p r i zebi:

მეშვიდე საკავშირო კინოფესტივალი, ლენინგრადი, 1977;
რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, 1979;
სატელევიზიო ფილმების XVIII საერთაშორისო ფესტივალის დიდი პრიზი, პრაღა, 1981;
კინო და სატელევიზიო ფილმების XXX საერთაშორისო ფესტივალის სამი პრიზი, მანჰაიმი, 1981.

## SOSO CHKHAIDZE (1937-1992)

GEORGIA

Filmmaker, graduated from the faculty of graphic art at Tbilisi Polytechnic Institute. He never worked in his specialty. From 1961 until his death he worked his way up from assistant producer to filmmaker at Georgian State Radio and TV Company. In 1964-1969 Studied at Moscow All-Union Institute of Cinematography (the workshop of Chukhrai).

HAS SHOT THE FOLLOWING FILMS:

“Kolkheti” – a documentary, in two parts, 1967;
“Siesta” – the 15th summer, a feature film, in two parts, 1971;
“Old Georgian Chants” – a musical film, in three parts, 1972;
“Tushetian Shepherd” – a feature film, in three episodes, 1977.
“Rustavi is singing” – a musical film, 1981.
“Shvidkatsa” –a feature film, in seven episodes (unfinished).
“Ms. Mariam’s Travel” – a documentary (unfinished).

AWARDS:

1977 – The 7th All-Union Film Festival, Leningrad;
1979 – Rustaveli State Prize;
1981 - Grand Prix at the 18th International Festival of Television Films, Prague;
1981 - Three prizes at the 30th International Festival of Cinema and Television Films, Manheim.

## *Svidkaca*
**სოსო ჩხაიძის ფილმი**
**დაუმთავრებელი 7 სერიანი ფილმის ფრაგმენტები**

*შვიდკაცა* ახალგაზრდა კინორეჟისორის ცხოვრებას ეხება. იმ რთულ და საინტერესო გზას,რომელსაც იგი გაივლის თავისი სადიპლომო ფილმისთვის მასალების ძიების დროს. მას სადიპლომო თემად ქართული ხალხური სიმღერა, კერძოდ, პოლიფონიური გურული სიმღერა აურჩევია – წერდა სოსო ჩხაიძე ერთ-ერთ ინტერვიუში.
მრავალსერიანი მხატვრული ფილმი *შვიდკაცა* კინორეჟისორის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. გადაღებები 1978-87 წლებში მიმდინარეობდა. მან მოასწრო ამ ფილმის შვიდივე სერიის გადაღება,შავად დამონტაჟება და ნაწილობრივ გახმოვანება. მისი გარდაცვალების შემდეგ იყო ფილმის დამთავრების რამდენიმე მცდელობა (1993, 1996 და 2005 წლებში). თანხების სიმცირის გამო საქმე ბოლომდე ვერც ერთხელ ვერ მივიდა და დღეს, ეს ქართული კულტურისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფილმი, კვლავ დაუმთავრებელია.
ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა თბილისში, გურიაში, მოსკოვსა და სტოკჰოლმში. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ქართული ხალხური სიმღერის, კერძოდ კი გურული სიმღერის გამორჩეული ფენომენის კვლევა.
ფილმში მონაწილეობენ უხუცესი გურული მომღერლები, თბილისის კოლორიტი პიროვნებები, უნიკალური ჩანაწერების მქონე მოსკოველი კოლექციონერები, აგრეთვე ისინი, ვინც 1930-31 წლებში ჩაწერეს გურული სიმღერების უბადლო შემსრულებლები, რუსი გიპიუსი და გერმანელი ემსჰაიმერი. ამ უკანასკნელს სტოკჰოლმში ჰყავდა გუნდი, რომელიც ქართულ სიმღერებსაც ასრულებდა.

ნაწყვეტი ანზორ ერქომაიშვილის მოგონებიდან:
„სოსოსთან ერთად მოვიარე მთელი გურია, ვეძებდით მოხუც მომღერლებს, ვიწერდით სიმღერებს. სოსო დიდხანს ესაუბრებოდა თითოეულ მათგანს. მოხუცები სიამოვნებით უამბობდნენ ძველი მომღერლების, სიმღერებისა და საშემსრულებლო ტრადიციების შესახებ. მდიდრდებოდა სცენარი, მდიდრდებოდა ჩემი რეპერტუარიც. იმ პერიოდისთვის მე სოსოს ფილმის „გმირებისგან" ბევრი სიმღერა ჩავიწერე მაგნიტოფონზე და მოგვიანებით ნოტებზე გადავიტანე. ის მომღერლები დიდი ხანია წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ გადარჩა უამრავი სიმღერა, მათი ვარიანტები, ტექსტები. ამასთან, სოსომ ფირზე აღბეჭდა და შთამომავლობას შემოუნახა არა მარტო სიმღერები, არამედ მომღერალთა სახეები და ხასიათები, მათი საშემსრულებლო მანერა, რომელიც ასე ამდიდრებს ხალხურ სიმღერას. ვფიქრობ, მან ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ სასიმღერო ფოლკლორს".

## *SHVIDKATSA*
**Film by Soso Chkhaidze**
**Fragments from the unfinished serial**

*Shvidkatsa* tells about the life of a young filmmaker, the hard and interesting road he takes when looking for the materials for his diploma film. The theme of his diploma film is Georgian folk song, more precisely Gurian polyphonic song – Soso Chkhaidze wrote in an interview.
Serial *Shvidkatsa* (1978-1987) is one of Chkhaidze's last works. He had time to shoot all 7 episodes of the film, edit and partly dub them. After Chkhaidze's death there were a few attempts (in 1993, 1996 and 2005) to complete the film, though due to the lack of finances this was never realized. And this very important film for Georgian culture is still unfinished.
The film was shot in Tbilisi, Guria, Moscow and Stockholm. It can be said, that this is the study of Georgian folk song, more precisely of a distinguished phenomenon such as Gurian song.
The film presents elderly Gurian singers, Distinguished persons from Tbilisi, the unique collection owners from Moscow, also Gipius (Russia) and Emsheimer (Germany) who recorded Gurian song-masters in 1930-1931. The latter directed a group in Stockholm, which sang Georgian songs too.
Anzor Erkomaishvili's recalls:
"I traveled all over Guria together with Soso looking for elderly singers and recording them. Soso spent much time talking to each singer; on their part the singers eagerly told him about the singers of old generations, songs and traditions of performance. Thus the script enriched as did my repertoire. During that time I recorded many songs from the characters of the film, which were transcribed later. Those singers passed away long time ago, but many songs have been preserved as well as their variants and texts. Soso filmed and preserved for future generation the faces of the singers, their nature and performance manner, which enriches folk song. Thus he made great contribution to Georgian folk music"



## hugo zempi
Sveicaria

ბაზელის (შვეიცარია) კონსერვატორიის დასარტყამი ინსტრუმენტების სპეციალობით დამთავრების შემდეგ პარიზში სწავლობდა ეთნომუსიკოლოგიასა და ანთროპოლოგიას. პენსიაზე გასვლამდე, 37 წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ადამიანის მუზეუმის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ჯგუფში. მონაწილეობდა ექსპედიციებში კოტ დ'ივუარში (დასავლეთ აფრიკა), სოლომონის კუნძულებზე (წყნარი ოკეანის დასავლეთი), ევროპაში (შვეიცარია, საქართველო, იტალია). 16 წლის მანძილზე იყო „სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის" ჩანაწერების სერიის მთავარი რედაქტორი, ასწავლიდა პარიზ-იქს-ნანტერის უნივერსიტეტში.
თითქმის მთელი კვლევითი საქმიანობა მიუძღვნა მრავალხმიანობის შესწავლას, როგორც ვოკალურის, ისე ინსტრუმენტულის. კვლევის მთავარი საგანია აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენება კვლევის შედეგების პრეზენტაციისათვის. მის სრულ რეჟისორულ ნაშრომს მალე აშშ-ში გაავრცელებს საგანამანთლებლო დოკუმენტური ფილმების რესურს ცენტრი:
ttp://www.der.org/films/filmmakers/hugo-zemp.html.

### arisavtori filmebisa:

„არე" არის მუსიკა (1978); ბამბუკის დამუშავება (1978); სუზანას და ჯოზეფის ქორწილი (1986); გლატალპი (1986); იუცინგი და იოდლი (1987); თავისმიერი ხმა, მკერდისმიერი ხმა (1987); ჰარმონიკის სიმღერა (1990); თამარისა და ლაშარის დღეობა (1998); ბალაფონის ოსტატები: ახალგაზრდების სიხარული (2002); ბალაფონის ოსტატები: სამგლოვიარო რიტუალები (2001); ბალაფონის ოსტატები: ხე და კალაბაში (2002); ბალაფონის ოსტატები: მეგობარო, კეთილი იყოს შენი მობრძანება (2002); აფრიკული სპილენძის ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლი (2004-2006); სიაკა, აფრიკელი მუსიკოსი (2005); კავკასიური სამგლოვიარო საგალობლები საქართველოდან (2007); ჩერიანას მრავალხმიანობა: საკოს ჯგუფი (2010).

## HUGO ZEMP
SWITZERLAND

After his diploma as percussionist from the Conservatory of Basle (Switzerland), he studied ethnomusicology and anthropology in Paris. Until his retirement in 2004, he worked for 37 years in the Ethnomusicology Research group of the CNRS (National Center for Scientific Research) at the Musée de l'Homme in Paris. He did fieldwork in West Africa (Côte d'Ivoire), South Pacific (Solomon Islands), Europe (Switzerland, Georgia, Italy). He was for 16 years the general editor of the record series "Collection CNRS/Musée de l'Homme", and taught at the University Paris X-Nanterre. Almost all of his research is about polyphonies, both vocal and instrumental. The main concern is the use of audiovisual means for research and for presenting the results of research. His complete film work is now on the way to be distributed by Documentary Educational Resources in the U.S.A.:
(http://www.der.org/films/filmmakers/hugo-zemp.html

FILMS:

'Are'are Music (1978); Shaping Bamboo (1978); The Wedding of Susanna and Josef (1986); Glattalp (1986); Yootzing and Yodeling (1987); Head Voice, Chest Voice (1987); The Song of Harmonics (1990); The Feast-Day of Tamar and Lashari (1998); Masters of the Balafon: Funeral Festivities (2001); Masters of the Balafon: The Joy of Youth (2002); Masters of the Balafon: The Wood an the Calabash (2002); Masters of the Balafon: Friend, well come! (2002); An African Brass Band (2004-06); Siaka, an African Musician (2005); Funeral Chants from the Georgian Caucasus (2007); Polyphony of Ceriana: The Compagnia Sacco (2010).

## samg l oviar o saga l ob l ebi qar T u l i kavkasi i dan

**ჰუგო ზემპის ფილმი, 21 წთ. 2007.**
**გავრცელება: დოკუმენტური საგანმანთლებლო რესურსების მხარდაჭერით (www.der.org).**

სვანეთი მდებარეობს კავკასიის მთებში,საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სვანები შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 1%-ს. მათი ენა ქართულისგან განსხვავდება,ხოლო რელიგია არის მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და წინა-ქრისტიანული რწმენების ნაზავი. სვანების მრავალხმიანობა ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტილია. იგი სრულდება ორი სოლისტისა და გუნდის მიერ.
სამგლოვიარო რიტუალებში, სვანებს აქვთ სამხმიანობა,რაც მეტად იშვიათია მსოფლიოს სხვა ნაწილებში: ქალების ინდივიდუალურ გლოვას აძლიერებს გუნდური დატირება,ისევე,როგორც ანტიკურ საბერძნეთში,მამაკაცების ინდივიდუალური გლოვა და მამაკაცთა გუნდების მრავალხმიანი საგალობლები. თუ ინდივიდუალურ გლოვაში მიმართავენ გარდაცვლილსა და გარდაცვლილთა სულებს, მამაკაცთა მრავალხმიანი საგალობლები სხვა არაფერია, თუ არა მარცვლების თანამიმდევრული წყება, რომელიც სპეციფიკურ ნახაზს მიყვება, დასავლური ყურისთვის ნაწილობრივ დისონანსური აკორდებით და მუსიკალურად სტილიზებული, ტირილის გარეშე წამოძახებებით. ეს კოლექტიური საგალობლები გადმოგვცემენ სიკვდილთან პირისპირ მყოფი კაცის უსუსურობასა და ენითაღუწერელ მწუხარებას.

## FUNERAL CHANTS FROM THE GEORGIAN CAUCASUS

**Film by Hugo Zemp**
**21 min, 2007**
Distribution: Documentary Educational Resources (www.der.org).

The villages of the Svaneti province are located in north-western Georgia, in the valleys that lie between the mountains of the Caucasus. The Svans represent about 1% of the Georgian population. Their language differs from the Georgian language, and their religion is a syncretism of Orthodox Christian faith and pre-Christian beliefs. The polyphony of the Svans appears as one of the major styles of the Georgian vocal art. It consists of two soloist voices and the bass of the choir.
In their funeral rituals, the Svans combine three vocal expressions which are rarely found nowadays in other parts of the world: women's individual laments punctuated by collective wails like in Ancient Greece, men's individual laments, and polyphonic chants by male choirs. While the individual laments are aimed at the deceased and the souls of departed people, the men's polyphonic chants use no words but a series of syllables which follow a set pattern. With chords partly dissonant to a Western European ear, and without any cries other than musically stylized ones, these collective chants of great intensity manage to convey the helplessness and inexpressible grief of Man faced with death.

## Ce r ianas m r ava l xm i anoba: sakos gund i

**ჰუგო ზემპის ფილმი. 70 წთ, 2010**

იტალიის ალპებში დასავლეთ ლიგურიის სამხრეთ ფერდობებზე მდებარე სოფელ ჩერიანას მოსახლეობას უყვარს სიმღერა. ამ სოფლის ხუთი გუნდიდან ერთი – საკოს გუნდი, რომელიც 1926 წელს შეიქმნა, ყველაზე მეტად ცდილობს, შეინახოს ტრადიციული ბურდონული მრავალხმიანობა. ადგილობრივ სამხმიან სიმღერას, რომელიც განსხვავდება კორსიკულისა და სარდინიულისგან (მაგრამ ჰგავს ალბანურ და ქართულ მრავალხმიანობას), ახასიათებს ორი სოლო ხმის შესრულება გაბმული ბანის ფონზე.
ამერიკელმა ეთნომუსიკოლოგმა ალან ლომაქსმა ჩერიანას მუსიკა 1954 წელს ჩაწერა. 1975 წელს კი საკოს გუნდი დაპატიჟა აშშ-ში, რომელსაც უნდა ემღერა 1976 წელს დამოუკიდებლობის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების გახსნაზე. ეს ერთთვიანი მოგზაურობა ამერიკაში გახდა ამ გუნდის საერთაშორისო აღიარების დასაწყისი, თუმცა ამ რეგიონის სხვა გუნდებისგან განსხვავებით საკოს გუნდს არ ჰყავს დირიჟორი და არ შემოიფარგლება კონცერტების ჩატარებითა და კომპაქტური დისკების ჩაწერით; გუნდის წევრები დიდი სიამოვნებით მღერიან მეგობრებთან ერთად და მონაწილეობას იღებენ ბევრ ადგილობრივ ღონისძიებაში. ამგვარად,საკკოს გუნდის რეპერტუარი მოიცავს ადგილობრივ ტრადიციას და წარადგენს მას საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე. თავის მხრივ, გუნდის წევრები ცოცხლად ინახავენ და აგრძელებენ დღევანდელ სოფლურ ტრადიციას.

## POLYPHONY OF CERIANA: THE COMPAGNIA SACCO

**Film by Hugo Zemp**
**70 min, 2010**

In Ceriana, a village in West Liguria on the southern slopes of the Italian Alps descending to the Mediterranean coast, people love to sing. Among not less than five choirs, the Compagnia Sacco, founded in 1926, is the most committed to preserve the traditional drone polyphony. Different from Corsican and Sardinian polyphonies (but similar to Albanian and Georgian polyphonies), the local three-part singing is characterized by two solo voices and the drone of the choir. American ethnomusicologist Alan Lomax made sound recordings in Ceriana in 1954. He invited the Compagnia Sacco in 1975 to the USA, as a prelude to the 1976 Bicentennial Celebration of Independence. This one-month tour in America was the starting point for its international reputation. However, unlike other choirs of the region, the members of the Compagnia Sacco do not sing under the direction of a conductor and do not limit themselves to giving concerts and producing CDs; they also enjoy very much singing together with friends at many local festivities. Thus, since its foundation the Compagnia Sacco draws its repertoire from the local tradition and still presents it to an international audience, and in return the members of the choir also continue to nurture and keep alive the village singing of today.

## Tamarisa da laSaris dReoba

**ფერადი, 70 წთ. 1998**

ფშაველებს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას, აქვთ რიტუალი, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც უძველესი პოლითეისტური რწმენებისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის სინკრეტიზმი, რასაც თბილისელები „წარმართულად" მოიხსენიებენ. თამარისა და ლაშარის დღეობა ეძღვნება თამარ მეფეს (12-13 საუკუნეები) და მის ვაჟს ლაშა-გიორგის, რომლებიც მთიელთათვის ღვთაებებს წარმოადგენენ.
ყოველ წელს სამი დღის განმავლობაში კავკასიონის ფერდობებზე მომლოცველები იკრიბებიან ამ ღვთაებებისადმი მიძღვნილ სალოცავში და თაყვანს სცემენ მათ ლოცვით, სიმღერითა და მსხვერპლშეწირვით, რასაც თან ახლავს სუფრა და ერთი წლის უნახავი მეგობრების თავშეყრა. ლოცვებისა და მსხვერპლშეწირვის გარდა რიტუალის აუცილებელი ნაწილია რელიგიური სიმღერები.
ფილმი მიზნად არ ისახავს არც ყველაზე არქაული ელემენტების იზოლირებას და არც ძველი პოლითეისტური რიტუალის იდეალიზებული სურათის აღდგენას, არამედ გვიჩვენებს 1991 წლის ივლისში ჩატარებული დღეობის სხვადასხვა განზომილებებს. აქ ისმოდა რამდენიმე საუკუნის წინანდელ სიმღერები, ასევე ხალხური და თანამედროვე, სოფლური და ქალაქური, აღმოსავლური და დასავლური მუსიკა.

ეთნოგრაფიული ფილმების **პირველი ვიდეო პრიზი,** („მუსიკა და რიტუალები") ნუორო, იტალია, 1998
**პრიზი გამორჩეული დოკუმენტური ფილმისთვის.** პიარნუს საერთაშორისო დოკუმენტური და ვიზუალური ანთროპოლოგიის ფილმების ფესტივალი, ესტონეთი 2000.

## THE FEAST-DAY OF TAMAR AND LASHARI

**(La fête de Tamar et Lashari)**
**color, 70 min, 1998**

The Pshavi people of the eastern mountains of the Republic of Georgia perform a ritual which can be characterized as a syncretism of ancient polytheistic beliefs and Orthodox Christian faith, but which is qualified by city habitants of Tbilisi as "pagan". The ritual of Tamar and Lashari celebrates queen Tamar (12-13th century) and her son Lasha, deified by the mountain dwellers.
Each year, and for three days, on the hillside of a Caucasus valley, pilgrims consecutively meet at two sanctuaries consecrated to these deities and worship them through prayers, songs and sacrifices, enjoying at the same time food and happy chats with friends they have not seen for a year. In addition to prayers and sacrifices by a shrine priest, religious songs are an essential part of the ritual.
The purpose of this film is not to isolate the most archaic elements, nor to reconstitute an idealized image of a polytheistic ritual of the past, but it is to show the multiple dimensions of the festival as it happened in July, 1991. Several centuries-old songs could be heard there, but also profane music, traditional and modern, rural and urban, oriental and occidental music.

**Study guide coming soon**

**First Video Prize,** 9th International Festival of Ethnographic Films ("Music and Rites"), Nuoro, Italia 1998
**Prize for outstanding documentation**, Pärnu International Documentary and Visual Anthropology Film Festival, Estonia 2000.

## simpoziumSi monawile folkloruli ansamblebi

| | |
|---|---|
| **aSS** | kitka |
| **avstralia** | brizing sfeis |
| | gorani |
| **avstria** | lindabrunen |
| | draigezang |
| **didi britaneTi** | Tabuni |
| | Tornis skolis gundi |
| | maspinZeli |
| **kanada** | maWari |
| **litva** | tris keturioze |
| **safrangeTi** | la remed de fortun |
| | spartimu |
| **saqarTvelo** | anCisxati |
| | basiani |
| | daimoaxk |
| | laSari |
| | rusTavi |
| **bavSvTa gundebi:** | amer-imeri |
| | erqvani |
| | iaramaSai |
| | kirialesa |
| | krimanWuli |
| | laSarela |
| | marTve |
| | mZlevari |
| | nai-nai |
| | patara TuTarCela |
| | saunje |
| | ferxisa |
| | wnoris bavSvTa gundi |

## FOLK ENSEMBLES AT THE SYMPOSIUM

| | |
|---|---|
| **AUSTRALIA** | BREATHING SPACE |
| | GORANI |
| **AUSTRIA** | LINDABRUNNER |
| | DREIGEZANG |
| **CANADA** | MACHARI |
| **FRANCE** | LA REMEDE DE FORTUNE |
| | SPARTIMU |
| **LITHUANIA** | TRYS KETURIOZE |
| **GEORGIA** | ANCHISKHATI |
| | BASIANI |
| | DAIMOAKHK |
| | LASHARI |
| | RUSTAVI |
| **CHILDREN'S CHOIRS:** | AMER-IMERI |
| | ERKVANI |
| | IARAMASHAI |
| | KIRIALESA |
| | KRIMANCHULI |
| | LASHARELA |
| | PATARA TUTARCHELA |
| | MARTVE |
| | MDZLEVARI |
| | NAI-NAI |
| | PERKHISA |
| | SAUNJE |
| | TSNORI CHILDRENS CHOIR |
| **UK** | MASPINDZELI |
| | TABUNI |
| **UK/SCOTLAND** | THORNLIE SCHOOL CHOIR |
| **USA** | KITKA |



## anCisxatis taZris gundi

saqarTvelo

ჩამოყალიბდა 1988 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. გუნდი თავდაპირველად მხოლოდ ხალხურ სიმღერებს მღეროდა და მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საშემსრულებლო მანერის აღდგენა და შეძლებისდაგვარად ძველ ქართულ ბგერათწყობაში აჟღერება. მალე ანსამბლმა ანჩისხატის ტაძარში დაიწყო გალობა. სწორედ ამ გუნდის უდიდესი დამსახურებაა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ საეკლესიო ღვთისმსახურებაში ძველი ქართული გალობის აღდგენა და დამკვიდრება. გუნდის დამფუძნებელი და მისი რეგენტი 2007 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომელი მალხაზ ერქვანიძე.

გუნდის რეპერტუარშია როგორც ქართული საგალობლები, ისე – ხალხური სიმღერები. გუნდს ხშირად აქვს საგასტროლო ტურნეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ჩაწერილი აქვს 16 CD.

## ANCHISKHATI CHURCH CHOIR

GEORGIA

Was created at Tbilisi State Conservatoire in 1988. The choir aimed to restore regional performance styles from various regions of Georgia in the original stylistic manner. Soon, the choir became intensely interested in Georgian church hymn and began chanting at the 6th century Anchiskhati Church, in Tbilisi. The revival of canonical church chant in the 1990s can largely be credited to the recordings, performances, research, and publishing activities of the choir. Led by Malkhaz Erkvanidze until 2007. The choir has released 16 albums, grown to critical acclaim both in Georgia and abroad and performed throughout Europe and the United States.



## basiani
saqarTvelo

საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი *ბასიანი* შეიქმნა 2000 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. იგი გახდა ბირთვი თბილისში ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა დიდი გუნდისა. ანსამბლს ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის მაგისტრი გიორგი დონაძე. *ბასიანი* ძირითადად ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებს, ხოლო სამების საკათედრო ტაძრის გუნდთან ერთად (ხელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილი) – ტრადიციულ ქართულ საგალობლებს. *ბასიანი* მგალობელთა გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შესრულებულ ყველა ღმრთისმსახურებასა და მომლოცველობით მოგზაურობაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მომღერალთა უმეტესობა აღიზარდა საბავშვო ანსამბლებში *მართვე*, *ბიჭები* და *დარიალი*. ბასიანს წარმატებული გასტროლები ჰქონდა ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა ცნობილ მეცნიერებთან სიმჰა არომთან და პოლო ვალეჰოსთან, რომლებთან ერთადაც ანსამბლმა არაერთი საინტერესო ლექცია-კონცერტი ჩატარა საქართველოში, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში. 2010 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღო პროექტში „ბახი და პოლიფონია“, რომელიც განხორციელდა აშშ-ში „მოცარტის ფესტივალის“ ფარგლებში. ანსამბლს გამოცემული აქვს 5 CD-s.

## BASIANI
GEORGIA

The folk ensemble of the Georgian Patriarchy *Basiani,* was founded in 2000 with the blessing of Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia. Basiani members sing in the Sameba Cathedral Church choir (directed by Svimon Jangulashvili) in Tbilisi, and accompany the Patriarch on pilgrimages and official visits abroad on a regular basis. Members of the choir grew up singing in various children's ensembles including *Bichebi, Martve* and *Dariali*. *Basiani* is directed by Giorgi Donadze - Master of Music, alumnus of the Choir-Conducting Department of Tbilisi State Conservatoire. As a folk group, the Basiani has enjoyed critical acclaim both in Georgia and in Europe, where they have conducted several successful tours. They participated in a lecture-concert demonstrations in Spain and Great Britain with ethnomusicologists Simha Arom (France) and Polo Vallejo (Spain).In August, 2010 participated in the project "Bach and Polyphonies" as a part of *Mostly Mozart Festival*. The ensemble has released 5 CD.



## b r i z i n g s f e i s
avs t r a l i a

ქალთა ა კაპელა ანსამბლი მელბურნიდან, რომელიც ასრულებს სხვადასხვა კულტურების ტრადიციულ სიმღერებს. ანსამბლის რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ქართული ხალხური სიმღერები. ანსამბლის ხელმძღვანელია თერეზ ვეჩიუ – ავსტრალიაში ცნობილი მომღერალი და ვოკალის პედაგოგი. ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული ავსტრალიის რამდენიმე ფესტივალში. ანსამბლის ზოგიერთი წევრი მონაწილეობდა თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის წინა სიმპოზიუმებში, მაგრამ ერთიანი ანსამბლი – როგორც კოლექტივი ამჟამად პირველად სტუმრობს საქართველოს.

## BREATHING SPACE
AUSTRALIA

Breathing Space is a Melbourne based female a capella ensemble, specializing in traditional songs from across the cultures. Georgian traditional songs represent an important part of their repertoire. The leader of the group is Therese Virtue, well-respected singer and vocal teacher in Australia. Breathing Space has performed on a number of Australian festivals. Although some members of the ensemble had been to the Polyphonic Symposia on previous occasions, this is their first visit to Georgia as an ensemble.



**gorani**
avstralia

ავსტრალიური ანსამბლი *გორანი* 9 მამაკაცისაგან შედგება. რეპერტუარი ძირითადად ქართულ და ბულგარულ ხალხური სიმღერებს მოიცავს. სიტყვა „გორანი“ ნიშნავს მკაცრ მთებსა და ნისლიან ტყეებს, რომლის წიაღშიც არაერთი სიმღერა შობილა. ანსამბლს ხელმძღვანელობენ ქართველი ეთნომუსიკოლოგი იოსებ ჟორდანია და ბულგარელი იან ვიტჩეფი. ანსამბლი 1992 წელს დაარსდა. *გორანმა* ოთხჯერ იმოგზაურა საქართველოსა და ბულგარეთში, მონაწილეობდა თბილისის 2002, 2004, 2006 და 2008 წლის სიმპოზიუმებში და გურული სიმღერების ფესტივალში (2004), გამოდიოდა აგრეთვე ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალებსა და კულტურულ ცენტრებში, მათ შორის – ფილიპ კოუტევის პრესტიჟულ ფოლკლორულ სკოლაში. გორანი ორივე ამ ქვეყნის სატელევიზიო გადაცემების მონაწილეცაა. 2003 წელს ავსტრალიაში მიწვეულმა გურულმა მომღერალმა ვაჟა გოგოლაძემ ანსამბლს არაერთი სიმღერა შეასწავლა. ამავე მიზნით, 2004 წელს ისინი სტუმრობდნენ ცნობილ ლოტბარს მშობლიურ ჩოხატაურში. *გორანი* მონაწილეებდა ავსტრალიაში გამართულ არაერთ ფესტივალსა და მუსიკალურ ღონისძიებაში (1992-2008), აგრეთვე – ავსტრალიის რადიო და სატელევიზიო გადაცემებში.

# GORANI
## AUSTRALIA

The nine voice male singing ensemble from Australia specializes in the performance of traditional songs from Georgia & Bulgaria. The name *Gorani* refers to the harsh mountains, misty forests, and indomitable cultures that are the sources of many of these songs. Founded in 1992, Gorani includes leading Georgian ethnomusicologist Joseph Jordania, and Bulgarian born musician, Ian Vitcheff. The ensemble has toured twice to Georgia and Bulgaria, where they have performed in the first two Tbilisi Symposia (2002 & 2004), the International festival of Gurian Song (2004), and also in international festivals and community cultural centers in Bulgaria, including the prestigious Philip Koutev Folkloric School. *Gorani* appeared on television and radio in both countries. The group has also toured and studied with the Gurian singer Vazha Gogoladze on his 2003 tour of Australia, and also at his home in Chokhlatauri village (Guria), in 2004. *Gorani* has performed at major folk festivals and local community music events within Australia (1992-2008), and was featured on Australian National radio and television. Discography: ● “Chasing Harmonies “- (2008) ● “Gorani” – (1999) ● Featured on 3 of “the Boite’s” CDs (1999-2007), including “Mravalzhamier,” which showcases Georgian songs performed in Australia and New Zealand by local groups. ● *Gorani* singing will also be featured on a new Australian TV documentary “The Real Hobbits” about the discovery of a new species of human, Homo floresensis.



**daimoaxk**

saqarTvelo qistebi
pankisis xeobidan

ჩეჩენ-ქისტ ქალთა ანსამბლი პანკისის ხეობიდან *დაიმოახკ* შეიქმნა 1995 წელს. იგი თექვსმეტი წევრისაგან შედგება. მისი ხელმძღვანელია მაყვალა მარგოშვილი. ანსამბლი ბევრს მოგზაურობს კონცერტებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ფოლკლორულ ფესტივალში. მის რეპერტუარშია როგორც რელიგიური საგალობლები, ისე საერო სიმღერები, ასევე ფოლკლორულ ტრადიციებზე დამყარებული თეატრალური ქმედებები. ანსამბლს ჩაწერილი აქვს ერთი CD.

## DAIMOAKHK

GEORGIA
KISTS/CHECHENS FROM PANKISI GORGE

Daimoakhk - a choir of Chechen-Kist women from the Pankisi Gorge, was founded in 1995. The ensemble is directed by Maqvala Margoshvili. There are sixteen singers in the ensemble. The ensemble has participated in international folk festivals and has performed concerts in different countries of the world. In the repertoire of Daimoakhk there are religious chants and secular songs. The Ensemble's repertoire also includes theatrical pieces based on folk traditions. In 2000 the ensemble recorded the first CD.



## Tabuni
didi britaneTi

*თაბუნი* არის ლონდონში არსებული ქალთა ანსამბლი, მისი წევრები ასრულებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქალთა და საოჯახო სიმღერებს.
სახელწოდება თაბუნი ნიშნავს ერთობლიობას და გულისხმობს სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანთა გაერთიანებას.
ანსამბლი დაარსდა 2009 წელს და მისი ხელმძღვანელია თბილისში დაბადებული თამთა თურმანიძე. ლონდონისა და ბრიტანეთის სხვა ქალაქების ეკლესიებში და თეატრებში მღერა ანსამბლის წევრებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.
*თაბუნის* რეპერტუარი ჩამოყალიბდა ქართული ფოლკლორული ანსამბლებისა და სოფლის მომღერლების მიერ შესრულებული ჰანგების ზეგავლენითა და ქართველი ლოტბარებისაგან (ნატალია ზუმბაძე, ნანა მჟავანაძე, მალხაზ ერქვანიძე, გიგი გარაყანიძე და ისლამ ფილფანი) ნასწავლი სიმღერებისაგან.

## TABUNI
UK

Tabuni is a London-based ensemble of seven women with a passion for Georgian music who perform women's and family songs from the many regions of Georgia.
The name Tabuni – translated as a guild or gathering of individuals – suggests a group of people with diverse but connected interests who meet together to create something special using their combined skills.
Led by Tamta Turmanidze, a native of Tbilisi, *Tabuni* has existed since February 2009, singing for pleasure and performing in churches and theatres in London and other parts of Britain
Inspired by Georgian ensembles such as *Mzetamze, Sathanao, Nanina, Mtiebi, Tutarchela* and *Heyamo,* and by many other singers heard in the villages and mountains of Georgia, Tabuni's repertoire includes songs taught by the respected Georgian teachers Nato Zumbadze, Nana Mzhavanadze, Malkhaz Erkvanidze, Gigi Garaqanidze and Islam Pilpani.



**k i t ka**
aSS

ქალთა ანსამბლი, რომელიც დაარსდა 1979 წელს, დაინტერესებულია აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის სიმღერებითა და ვოკალური ტექნიკებით. ანსამბლის სახელწოდება ბულგარულად და მეკოდონიურად ნიშნავს „თაიგულს". ანსამბლის წევრები სხვადასხვა ეროვნებისა და მუსიკალური განათლების მქონე ადამიანები არიან, რომელთაც აერთიანებს ასიმეტრიული რიტმები,განსაცვიფრებელი დისონანსები და ორნამენტაცია,მდიდარი ჰარმონია და ბალკანელი, სლავი და კავკასიელი ქალების სასიმღერო ტრადიციების რეზონანტული ძლიერება. შექმნის დღიდან ჯგუფი აქტიურად ეწევა საგასტროლო საქმიანობას და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა არტისტიზმით, მრავალფეროვნებითა და ფოლკლორისადმი ახლებური მიდგომით. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს კონცერტებში, ტელე-რადიო, საგანმანათლებლო და დოკუმენტურ პროგრამებში. ჯგუფს გამოშვებული აქვს 9 დისკი საკუთარი ფირმის „დიაფონიკა რექორდის" სახელით, მათ შორის – ახლახანს გამოცემული ტრადიციული და ორიგინალური აკვნის ნანებისა და საბავშვო სიმღერების კოლექცია „აკვნის სიმღერები". კიტკას მონაწილეობა თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმში შესაძლებელი გახდა „თრასთ ოფ მუჩუალ ანდერსთენდინგის" მიერ გამოყოფილი გრანტით.

## KITKA
USA

Is an American women's vocal arts ensemble inspired by traditional songs and vocal techniques from Eastern Europe and the Caucasus. Kitka also strives to expand the boundaries of folk song as a living and evolving expressive art form. *Kitka*, meaning "bouquet" in Bulgarian and Macedonian, was founded in 1979 as a grassroots group of singers from diverse ethnic and
musical backgrounds who shared a passion for the stunning dissonances, asymmetric rhythms, intricate ornamentation, lush harmonies, and resonant strength of Balkan, Slavic, and Caucasian women's harmony singing traditions. Since it's informal beginnings, the group has evolved into a professional touring ensemble that has earned international recognition for its artistry, versatility, and fresh approach to folk music. Through a busy itinerary of live and broadcast performances, recordings, educational programs, master artist residencies, commissioning programs, and adventuresome collaborations, *Kitka* has exposed millions to the haunting
beauty of their unique body of repertoire. *Kitka* has released nine recordings on their own Diaphonica record label, most recently "Cradle Songs", "a collection of traditional and original lullabies and songs of childhood". *Kitka*'s presence at the International Symposium on Traditional Polyphony is made possible, in part, by a grant from the Trust for Mutual Understanding. (www.kitka.org)



## laSari
saqarTvelo

ჩამოყალიბდა 1994 წელს, ახალგაზრდა მომღერლის გიორგი უშიკიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ლაშარის მიზანია ფოლკლორული ნიმუშების ავთენტიკურობის დაცვა, პირველად შემსრულებლობასთან მაქსიმალური მიახლოება, სიმღერის ეთნოფორთაგან და უძველესი ჩანაწერებიდან შესწავლა. *ლაშარს* რეპერტუარში აქვს საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერა, მათ შორის – ათეული წლების მანძილზე მივიწყებული ვარიანტები. ანსამბლის წევრები კარგად ფლობენ ქართულ ხალხურ საკრავებს.
ანსამბლი მსოფლიო მუსიკის არაერთი კონკურსისა და საერთაშორისო ფესტივალ-კონცერტის გამარჯვებულია.
საქართველოში ჩატარებული აქვს ოთხი სოლო კონცერტი.
გამოცემული აქვს ერთი კომპაქტდისკი. ანსამბლს მიეძღვნა არაერთი სტატია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში, მომზადდა ტელე- და რადიოგადაცემები.

## LASHARI
GEORGIA

*Lashari* was created in 1994 on the initiative and with the leadership of Giorgi Ushikishvili – a young singer. The ensemble aims to maintain the authenticity of folk songs, to approach primary performance as close as possible, to learn songs from old audio recordings and tradition bearers. In the repertoire of the ensemble there are songs from all parts of Georgia, including lesser known variants. The members of *Lashari* were play Georgian traditional instruments very well. The Ensemble is the winner of a number of competitions and International festival-concerts. *Lashari* has performed four solo concerts in Georgia, and has released one CD, a few TV and radio programs were about *Lashari*; a number of articles both in Georgian and foreign press has been dedicated to the ensemble.

## lindabruner draigezang
avstria



ჯგუფის სახელწოდება მოდის იმ ადგილის სახელიდან, სადაც მომღერლები ცხოვრობენ. ლინდაბრუნენი პატარა სოფელია ვენის სამხრეთით, რომელიც ძველ დროში განთქმული იყო მომღერლებით. ტრიოს წევრები არიან: კურტ ლესარი, მანფრედ დიგრუბერი და ელიზაბეტ ზოტლი.

ელიზაბეტ ზოტლმა, რომელსაც ბავშვობიდან ძალიან უყვარდა სიმღერა, 25 წლის წინ შემთხვევით იპოვა ძველი მომღერლის ზოტლ ბერტლის სიმღერების კრებული – სიმღერების ტექსტები ნოტების გარეშე. სამაგიეროდ, ეს და ამ რეგიონის სხვა უძველესი ტრადიციული სიმღერები შესანიშნავად იცოდა კურტ ლესარმა (იგი ტრიოში მესამე ხმას, ბასს მღერის), რომელსაც ყოველთვის იწვევდნენ დასახმარებლად სხვადასხვა ჯგუფებში, სადაც რომელიმე ხმა აკლდათ.

მანფრედ დიგრუბერი და კურტ ლესარე ერთად მღეროდნენ ჯგუფ *შნეებერგბუამ*-ში. ამან ხელი შეუწყო მომღერლების შეკრებას პუჩბერგში. მანფრედს დღეს ოსტატად მოიხსენიებენ, იგი პირველი მომღერალია, რომელიც კამერტონის გარეშე, ტრადიციული მანერის შესაბამისად, ტონს აძლევს შემსრულებლებს. მეგობრებს ერთად სიმღერა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებთ.

ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს რეგიონის ტრადიციულ სიმღერებს იოდლით (დუდლერი) თანხლების გარეშე. ბგერის სიმაღლესა და რიტმს განსაზღვრავს პირველი მომღერალი.

## LINDABRUNNER DREIGESANG
AUSTRIA

The name of the group comes from the place where the members now live, called Lindabrunn, a little village between Wiener Neustadt and Baden in the south of Vienna. In former time there were a lot of singers in this region. The members of the trio are: Kurt Lesar, Manfred Digruber and Elihabeth Zottle.

Elisabet Zottle, when a child, learned the emotion and the commitment for the harmony of the voices from several singers. About 25 years ago she accidentally found the songbook of Zottl Bertl, without musics. But Kurt Lesar knew music of these songs as well as the other traditional songs of this region from Grunbach, who had a talent to know all parts of songs and was always invited to join in when other singers of first, second or third part were missing. In the times when there were no groups; people sang when they gathered in the pub. It was, and is still important nowadays, to sing in three parts. Only three singers sang together; others listened. In the *Lindabrunner Dreigesang* he sings the third part, called *Baß*.

With the group *Schneebergbuam* (Boys from the snow mountain) Kurt Lesar sang for 45 years. Manfred Digruber's friendship with Kurt Lesar from this group contributed to periodical gathering of singers in Puchberg. Until now he is called the "master" and is the first singer who gives the intonation according to the traditional practise without a tuning fork. The singers prefer traditional repertoire of songs and yodels (called *Dudler*) of the region. They don't use any musical instrument for accompaniment; pitch and rhythm is given by the first singer.

## maspinZeli

didi britaneTi



*მასპინძელი* არის ანსამბლი ლონდონიდან, რომელიც მღერის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ხალხურ სიმღერებს. ანსამბლი შეიქმნა 1999 წელს ცნობილი მომღერლის, პედაგოგისა და კომპოზიტორის ჰელენ ჩადუიკის მიერ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ცნობილ ქართველ ეთნომუსიკოლოგებს იოსებ ჟორდანიასა და ედიშერ გარაყანიძეს; მათ ანსამბლის წევრებს ბევრი ქართული სიმღერა შეასწავლეს.

ანსამბლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მისმა ხელმძღვანელებმა: ელენ ჩადუიკმა, ვენის მენლიმ, სალი დეივისმა, ლუსი გიბსონმა და ჯეფ ბერტონმა. 2009 წლის აგვისტოდან მასპინძელს ხელმძღვანელობენ მარკ თომასი და თამთა თურმანიძე; ეს უკანასკნელი ანსამბლის პირველი ქართველი ხელმძღვანელია. მარკი ყოფილი პროფესიონალი მუსიკოსია, რომელიც ასრულებდა როგორც კლასიკურ, ისე ჯაზურ და იმპროვიზაციულ მუსიკას. წლების მანძილზე ატარებდა მუსიკისა და იმპროვიზაციულობის მასტერ-კლასებს როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ანსამბლმა ბევრი ისწავლა ბრიტანეთში მიწვეული ქართველი ლოტბარებისგან და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შესრულების ავთენტიკური მანერის შესწავლას.

## MASPINDZELI

UK

The Maspindzeli Choir is based in London. Maspindzeli means "Host" in Georgian. The choir is devoted exclusively to singing songs from the ancient polyphonic tradition of Georgia. Maspindzeli was formed in 1999 by Helen Chadwick, a noted London singer, teacher and songwriter. This is thanks to the work of leading Georgian ethno-musicologists such as Joseph Jordania and the late Edisher Garaqanidze, who taught many of the founding members of the choir.

At various times the choir was led by Helen Chadwick, Venice Manley, Sally Davies, Lucy Gibson, and Geoff Burton each of them contributing to the development of the choir leading it according to his/her skills and taste. Since August 2009 Mark Thomas and Tamta Turmanidze have been leading the choir. Tamta is first Georgian musical director. Mark, a Gestalt therapist and former professional musician, performing classical, jazz and improvised music, has for many years run workshops on music and creativity both in the UK and abroad.

The choir has studied with visiting Georgian teachers and choirs on many occasions, and has made a specific point of studying authentic styles of singing from various regions of Georgia.

## maWari
kanada

*მაჭარი* (ბიე ენგელენი, სამანტა ჰერსტი, მატი კოპამეესი) არის ტრიო ტორონტოდან (კანადა), სადაც 1996 წელს მათ პირველად მოისმინეს ქართული ხალხური სიმღერები ტრიო *კავკასიას* შესრულებით და შეუერთდნენ ალან გასერის მიერ ახლადშექმნილ გუნდს დარბაზს. ტრიო *მაჭარის* წევრები ასევე არიან 2004 წელს შექმნილი უფრო დიდი ქართული გუნდის წევრები, რომელსაც ერთობლივად ხელმძღვანელობდნენ ბი და სამანტა. ტრიოს სამივე წევრი ნამყოფია საქართველოში, სადაც ხვდებოდნენ ადგილობრივ მომღერლებს (დაესწრნენ ისლამ ფილფანის, პოლიკარპე ხუბულავასა და ტრისტან სიხარულიძის მასტერ-კლასებს), რათა უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ საქართველოს ისტორიას, კულტურას და ქართული ხალხური სიმღერების შესრულებაში მიეღწიათ მეტი ავთენტიკურობისათვის. *მაჭარის* პირველი კომპაქტდისკი (მაჭარი 2010) ეძღვნება ხალხური ხიმღერის უცნობ ავტორებს, რომლებიც ქართული მუსიკალური ფოლკლორის სულისჩამდგმელები არიან.



## MACHARI
CANADA

Trio *Machari* - Bie Engelen, Samanatha Hirst and Matti Kopamees - are based in Toronto, Canada, where they first heard Georgian folk music in 1996, performed by *Trio Kavkasia*, and joined Alan Gasser's newly formed Georgian choir, *Darbazi.* Trio Machari are members of a larger ensemble founded in the summer of 2004 and co-led by Bie and Samantha. All three have traveled to Georgia to meet with native singers, to satisfy their desire for a deeper understanding of Georgia's history and culture, and for greater authenticity in their performance of Georgia's seductive folk music. The trio have had the opportunity to study with song masters Islam Pilpani, Polikarpe Khubulava and Tristan Sikharulidze in Georgia. Machari also rely on the many remastered archival audio recordings released in Georgia in recent years. Our first CD (*Machari* 2010) is dedicated to the unknown composers who are the soul of the Georgian folk repertoire.



## le romed de fortun

safrangeTi

ანსამბლი *ლე რომედ დე ფორტუნ* („იღბლის წამალი“) შეიქმნა 2006 წელს. ხელმძღვანელია კატრინ რესერი. ანსამბლის შემადგენლობაში 7 წევრია. ისინი ასრულებენ შუა საუკუნეების პროფესიულ მუსიკას, კორსიკულ, ბულგარულ და ქართულ ხალხურ სიმღერებს; აგრეთვე – თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

## LE REMÉDE DE FORTUNE

FRANCE

The ensemble Le Remède de Fortune was created in 2006. The ensemble is directed by Catherine Ressaire. There are 7 members in the group. They perform medieval professional music as well as Corsican, Bulgarian and Georgian traditional songs and pieces of contemporary composers.



## rusTavi
saqarTvelo

ანსამბლი *რუსთავი* დაარსდა 1968 წელს. თავიდან მხოლოდ მომღერლებისგან შედგებოდა. იმავე წელს მომღერალებს მოცეკვავეთა გუნდი შეუერთდა და დღემდე ერთიანი სახელით აგრძელებენ მოღვაწეობას. დაარსების დღიდან ანსამბლს გამართული აქვს 5000-მდე კონცერტი მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში
ანსამბლის რეპერტუარში შედის საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერები და ცეკვები. როგორც მომღერალთა, ასევე მოცეკვავეთა საშემსრულებლო სტილი ტრადიციულია და ინარჩუნებს ისტორიულ კოლორიტს. *რუსთავის* სამხატვრო ხელმძღვანელ ანზორ ერქომაიშვილისა და მთავარ ქორეოგრაფ ფრიდონ სულაბერიძის მიზანია, ანსამბლმა შეინარჩუნოს ეთნოგრაფიული გუნდის ფორმა და სტრუქტურა. ამ ხედვის შედეგია, რომ ანსამბლმა რუსთავმა აკადემიური საგუნდო კოლექტივის თვისებები შეიძინა.
ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ანსამბლი *რუსთავი* დაჯილდოვებულია ზაქარია ფალიაშვილის (1981), ალბერტ შვაიცერის (1986) და საქართველოს სახელმწიფო (2002) პრემიებით.

## RUSTAVI
GEORGIA

Ensemble *Rustavi* was created in 1968 as a choir. Later, the choir was joined by the group of dancers. Until today both groups continue their artistic life as *Rustavi*. Since the day of its inception the ensemble has held about 5000 concerts in over 60 countries of the world.
The ensemble's repertoire includes songs and dances from almost all parts of Georgia. The singers, as well as dancers keep to the traditional manner of performance. Anzor Erkomaishvili - the Artistic Director and Pridon Sulaberidze – the Chief Choreographer of the Ensemble aim to preserve the form and structure of an ethnographic collective. As A result of this approach *Rustavi* obtained the features of an academic ensemble…
For its great contribution to the popularization of Georgian folk song *Rustavi* is awarded the prizes of Zakaria Paliashvili (1981), Albert Schweitzer (1986) and The State Prize of Georgia.



**spar timu**

safrangeTi, korsika

ანსამბლში კორსიკული სიმღერის, კულტურისა და ეთნოსის სიყვარულით გულანთებული ხუთი წევრია. ანსამბლი თავის მისიას ხედავს იმაში,რომ გადმოსცეს პოლიფონიური სიმღერის ტრადიცია, რომლის გამოხატვის ერთადერთი საშუალებაა ხმა და შეინარჩუნოს კორსიკული სიმღერები პოეტური, ჰარმონიული და ისტორიული ღირსებებით.

რეპერტუარში აქვთ სამი ტიპის სიმღერები: (1) კორსიკული მუსიკისათვის ემბლემის მნიშვნელობის მქონე საერო ტრადიცია, ე.წ. *პაჯიელა*, სამხმიანი უწყვეტი მოძრაობის პოლიფონიით. ყოველი ინტერპრეტაცია იძ;ლევა სხვადა სხვა ჟღერადობას და ჯგუფი მუდმივად იღწვის სრულყოფილებისკენ; (2) ადგილობრივი კათოლიკური საეკლესიო საგალობლები, რომელ თაც ჩვეულებრივ უწოდებენ *მესა ინ პაჯიელას*; (3) მსოფლიოს რეპერტუარი, რომელიც მოიცავს მრავალხმიან სიმღერებს საქართველოდან, იტალიიდან, ირლანდიიდან, აშშ-დან, სარდიინიიდან და ა.შ. ანსამბლ *სპარტიმუს* კონცერტი არის ოდისეა, რომელიც კორსიკის სიღრმიდან მიემართება მრავალხმიანობის სამყაროსკენ.

## SPARTIMU

FRANCE, CORSICA

The *Spartimu* ensemble was born from a meeting between five men animated with a passion for Corsican songs, culture, and identity. Whether poetic, harmonic, or historical, the mission of the ensemble is to take part in the life of polyphonic singing, with its primary characteristic being the momentary expression of time and space through the voice. The working repertoire has three goals: (1) profane songs that are emblematic of Corsica, such as *Paghjella*, which features three-voiced polyphony in perpetual motion; (2) Indigenous Catholic chant, usually called *messa in paghjella;*

(3) World repertoires which include polyphonic traditional music from Georgia, Italy, Ireland, the United States, and Sardinia.



## tris keturioze
litva

1981 წლიდან ჯგუფი *ტრის კეტურიოზე* (ხელმძღვანელი დაივა რაჩუნაიტე-ვიჩინიენე) ასრულებენ ორიგინალურ ლიტვურ მრავალხმიან სიმღერებს – სუტარტინესს, რომლებიც ლიტვური ფოლკლორის სხვა ნიმუშებისგან გამოირჩევა სეკუნდების ხშირი გამოყენებით, ხმათა გადაჯვარედინებით ა და ა.შ. მრავალხმიანი სიმღერის თვისებები საჭიროებს შემსრულებლების ანუ სუტარიმას (სახელი *სუტარტინეს* ნაწარმოებია ზმნიდან „სუტარტი" – თანხმობა,აკორდი) განსაკუთრებულ შეწყობას.
*ტრის კეტურიოზე* (სამი ოთხში) მისამღერის სიტყვებია, რომლებიც ასახავს ჯგუფის შემადგენლობას (ზოგჯერ სამი, ზოგჯერ ოთხი მომღერალი და ა.შ). ჯგუფი არ ბაძავს 1935/37 წლების საარქივო ჩანაწერებს. მას აქვს თავისი საკუთარი გზა: ცდილობს, ახალი მნიშვნელობა შესძინოს ძველ სიმღერებს.
უკანასკნელ წლებში *ტრის კეტურიოზე* ეძებს ავთენტიკური *სუტარტინესის* თანამედროვე ხელოვნებაში ინტეგრაციის გზას. ამ მიმართულებით მათ განახორციელეს არაერთი პროექტი. ჯგუფს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფოლკლორულ და თანამედროვე მუსიკალურ ფესტივალში, კონცერტებით გამოდიოდა ავსტრიაში, ესტონეთში, გერმანიაში, ლატვიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, რუსეთში, სერბეთში, აშშ-ში და სხვ; გამოცემული აქვს 4 კომპაქტური დისკი.

## TRYS KETURIOSE
LITHUANIA

Since 1981 the group *Trys keturiose* (directed by Daiva Vyčinienė) specializes in the performance of original Lithuanian polyphonic songs Sutartines. These songs are distinguished from the rest of Lithuanian folklore in numerous use of seconds, entwined voices, etc. All these qualities of the polyphonic songs require an extraordinary concord of performers or sutarimas (the name *Sutartines* was derived form verb sutart– to agree, to accord
*Trys keturiose* ("three in four") are words of one refrain, reflecting composition of the group (sometimes three and sometimes four singers, etc) The group *Trys keturiose* does not copy the sound of the 1935/37-archive records. It pursues its own sound to give modern meaning to old songs.
In recent years *Trys keturiõse* has been looking for a way of integrating authentic sutartinė singing into contemporary art. In this direction it has realized a number of projects. Trys keturiõse has taken part in many international folklore and contemporary music festivals, giving concerts in Austria, Belgium, Estonia, Germany, Latvia, the Netherlands, Poland, Russia, Serbia, the USA, and so on. Has released a MC,2 CD-s, a DVD:

**amer-imeri**
saqarTvelo



1991 წელს ედიშერ გარაყანიძემ მეუღლესთან – ენათმეცნიერ ნინო ბაღათურიასთან ერთად დააარსა საყმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია *ამერ-იმერი*. აქ ბავშვებს ექმნებათ ის გარემო, რომელიც დამახასიათებელია ქართული ტრადიციული ყოფისთვის: სწავლობენ ტრადიციულ ქართულ საბავშვო თამაშობებს, აუთენტიკურ სიმღერებსა და ცეკვა-ფერხულებს; ეცნობიან საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიას, მითოლოგიას, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს; სწავლობენ საეკლესიო საგალობლებსა და საღვთო სჯულს;
ბავშვები მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სტუდიის მიერ მოწყობილ ექსკურსიებსა და გრძელვადიან ექსპედიციებში, სადაც მათთვის პრაქტიკულად ცოცხლდება სტუდიაში მიღებული თეორიული ცოდნა.
*ამერ-იმერი* მართავს წარმოდგენებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით *ამერ-იმერი* 2007 წლიდან არის თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიასთან (ლურჯ მონასტერთან) არსებული ბავშვთა სტუდია.

## AMER-IMERI
GEORGIA

In 1991 Edisher Garakanidze founded *Amer-Imeri* - children's folk-ethnographic studio together with his spouse Nino Bagaturia – a linguist. The studio provided the atmosphere characteristic to Georgian traditional everyday life. Here the children were taught Georgian traditional games, authentic songs and dances, church chants; familiarized with the history and ethnography of the country, mythology, examples of oral folklore, catechism, and obtained the general knowledge of the traditions. Amer-Imeri went on tours and long-term expeditions to various parts of Georgia.
*Amer-Imeri* in performs in concerts both Georgia and abroad.
With the blessing of Ilia II – Catholicos-Patriarch of All Georgia *Amer-Imeri* became the children's studio at the Church of Andrew the First Called (Blue Monastery).



## erqvani
saqarTvelo

ბიჭუნათა გუნდი *ერქვანი* ჩამოყალიბდა 2001 წელს კახა შაქიშვილის ხელმძღვანელობით. გუნდის რეპერტუარი მოიცავს ქართულ ტრადიციულ სიმღერებსა და საგალობლებს. *ერქვანის* წევრები საეკლესიო დღესასწაულებზე გალობენ თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში და ხშირად მონაწილეობენ ტაძართან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ღონისძიებებში. გუნდი არაერთი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია. მას 2009 წელს მიენიჭა „ქართული კულტურის დესპანის“ წოდება, 2010 წელს კი დაჯილდოვდა სახელმწიფო დიპლომით. გამოცემული აქვს ორი CD.

## ERKVANI
GEORGIA

Boys' choir *Erkvani* was created in 2001 by Kakha Shakishvili. The repertoire of the choir includes both Georgian traditional songs and Church chants. At religious celebrations the members of the choir chant at Holy Trinity Cathedral Church in Tbilisi and often participate in the events organized by the Center of Spiritual and Intellectual Development of the Youth of the Cathedral Church. The choir is the laureate of a number of international festivals. In 2009 *Erkvani* was awarded the title of "The Ambassador of Georgian Culture", in 2010 was awarded the State Diploma. The choir has already released 2 CD-s.

## T o r n l is sko l is gund i

d i d i b r i t aneT i, So t l and i a



თორნლის სკოლა მდებარეობს ქალაქ უიშოში, შოტლანდიის ინდუსტრიულ ცენტრალურ ნაწილში. ეს არის სოციალურად ღარიბი რეგიონი უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლითა და ბევრი სოციალური პრობლემით. ერთ დღეს სკოლის მოსწავლეებმა უმასპინძლეს ქართველ სტუმარს – პარალიზებულ ბიჭუნას თემის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლიდან, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ხერხემლის ოპერაცია. მათ ბიჭუნა წაიყვანეს სკოლის სტადიონზე და გამართეს შეჯიბრი მკლავჭიდში. ბიჭუნამ მათ ასწავლა ქართული სიტყვები, იმღერა მათთან ერთად და უჩვენა გრემის მონასტრის ფოტოები. ბავშვები მალე დამეგობრდნენ. ბიჭუნას დაუმორჩილებელი სულით, მისი ცხოვრების წყურვილით აღფრთოვანებული შოტლანდიელი გოგო-ბიჭები გახდნენ ბიჭუნას მხურვალე ქომაგები, და საქველმოქმედო კონცერტები მოაწყვეს მის დასახმარებლად; ამასთან, გამოთქვეს სურვილი, გაცნობოდნენ ბიჭუნას სამშობლოს კულტურას და ესწავლათ ქართული სიმღერები. ასე შეიქმნა ბავშვთა პირველი ქართული გუნდი შოტლანდიაში. ისინი ჩამოდიან სტუმრად საქართველოში, რათა მოინახულონ თავისი მეგობარი და იმღერონ.

## THORNLIE SCHOOL

UK /SCOTLAND

Is situated in the town of Wishaw in the industrial central region of Scotland. It is a socially deprived area with high unemployment and many social problems. One day, the school children welcomed a young Georgian guest - a paralysed little boy from Temi orphanage in desperate need of life saving spinal surgery. They played arm wrestling contests, and took him to their football ground. He taught them Georgian words, sang with them, and showed them pictures of Gremi monastery. They became his friends. Inspired by his indomitable spirit and thirst for life, they became passionate advocates on his behalf, raising money to help him through fundraising concerts. It was their initiative to embrace his culture and learn Georgian songs. They became the first children's Georgian choir in our country. They come to Georgia as guests, to visit their friend, and to sing.



**iaramaSai**

saqarTvelo

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი *იარამაშაი* თბილისის მე-20 ხელოვნების სკოლასთან არსებული ხალხური გუნდისგან შეიქმნა. ანსამბლს ხელმძღვანელობს დალი დაბრუნდაშვილი. თავდაპირველად ანსამბლის რეპერტუარს ქართლის და მთის სიმღერები შეადგენდა. შემდგომში გურული, იმერული და საქართველოს სხვა კუთხის სიმღერებიც შეემატა.
2010 წლის მარტ-აპრილში ანსამბლი *იარამაშაი* წარმატებით წარსდგა ალ. მაჭავარიანის სახელობის ფესტივალზე „ქართული ფრესკები“ და ა. ვირსალაძის სახელობის ფესტივალზე „სიყვარულს უშენებია”, სადაც გურული სიმღერები შეასრულა.
ანსამბლი 2010 წლის მაისში მონაწილეობდა ბათუმის ფოლკლორის IX საერთაშორისო ფესტივალზე და ივნისში – სიღნაღის „ყველის ფესტივალზე”.

## IARAMASHAI

GEORGIA

Children's folk ensemble Iaramashai was created on the basis of the folk ensemble at Tbilisi school #20. The ensemble is directed by Dali Dabrundashvili.
The ensemble's repertoire includes songs from almost all parts of Georgia.
In March-April 2010 Iaramasha successfully performed Gurian songs at A. Machavariani Festival "Georgian Frescoes" and A. Virsaladze festival "Love has constructed".
In 2010 the ensemble participated in the 9th International Folk Festival in Batumi and in "Cheese Festival" in Sighnaghi.



## KIRIALESA
GEORGIA

Children's ensemble *Kirialesa* was created in 2006 by Lela Urushadze, - the descendant of Giorgi Iobishvili and Karlo Urushadze –renowned masters of Georgian folk song. The tradition of the Urushadze family worthily continues in the art of *Kirialesa*, its repertoire and principles of performance. Kirialesa has participated in a number of musical events, and has released a CD.

**k i r ia l esa**
saqa r Tve l o

ბავშვთა ანსამბლი *კირიალესა* 2006 წელს ჩამოყალიბდა. მისი ხელმძღვანელი – ლელა ურუშაძე ქართული სასიმღერო ფოლკლორის დიდოსტატების – გიორგი იობიშვილისა და კარლო ურუშაძის შთამომავალია. ურუშაძეების გვარიდან მომდინარე ტრადიცია ღირსეულად გრძელდება *კირიალესას* შემოქმედებაში, მის რეპერტუარსა და საშემსრულებლო პრინციპებში. ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ მუსიკალურ ღონისძიებაში, გამოცემული აქვს CD.



## krimanWuli

saqarTvelo

ჩამოყალიბდა 2002 წელს ჩოხატაურის სამუსიკო სკოლაში ლალი კორიფაძის ხელმძღვანელობით. გუნდში 50-მდე სკოლის მოსწავლეა გაერთიანებული. მისი რეპერტუარი უმთავრესად გურული ხალხური სიმღერებისა და გურული კილოს საგალობლებისაგან შედგება. გუნდის კონსულტანტები არიან ცნობილი გურული მომღერალი ოთარ ბერძენიშვილი და ისტორიკოსი იური სიხარულიძე.

ჩოხატაურის ბავშვთა გუნდი თანამშრომლობს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან და აქტიურად მონაწილეობს ამ ცენტრის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. არის საქართველოში გამართული არაერთი ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული.

## KRIMANCHULI

GEORGIA

Was founded by Lali Koripadze. at Chokhatauri Music School in 2002. There are 50 schoolchildren in the choir. The repertoire of the choir includes mostly Gurian folk songs and chants of Gurian mode. The consultants of the choir are Otar Berdzenishvili – a renowned Gurian song master and Yuri Sikharulidze _ a historian. The Chokhatauri Children's choir actively cooperates with Folklore Starte Center and participates in the events organized by the Center. The Choir is the winner of a number of festivals in Georgia.

**laSarela**
saqarTvelo



## LASHARELA
GEORGIA

Boy's folk ensemble *Lasharela* was created 6 years ago. Its members are school children; they sing folk songs and play traditional instruments. The ensemble aims to maintain traditional manner of performance. *Lasharela* is directed by Vasil Kornienko and Tornike Skhiereli.

ბიჭების ფოლკლორული ანსამბლი *ლაშარელა* 6 წელია, რაც არსებობს. მისი წევრები სკოლის მოსწავლეები არიან. ისინი ასრულებენ ხალხურ სიმღერებს და უკრავენ ხალხურ საკრავებზე. ანსამბლის მიზანია ქართული ხალხური სიმღერების ტრადიციული შესრულება. *ლაშარელას* ამჟამად ხელმძღვანელობენ ვასილ კორნიენკო და თორნიკე სხიერელი.



**marTve**
saqarTvelo

ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი *მართვე* შეიქმნა 1978 წელს ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. იგი ქართული ხალხური სიმღერის ერთადერთი ბავშვთა ანსამბლი იყო იმ დროისათვის. ანსამბლში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ლოტბარები: – რამინ მიქაბერიძე, თამაზ ანდღულაძე, კ ოტე მშვიდობაძე, მამუკა გულაღაშვილი. 1995 წლიდან დღემდე ანსამბლს ხელმძღვანელობს ვარლამ ქუტიძე.
ანსამბლში მუდმივად მიმდინარეობს თაობათა ცვლა. ამჟამად მასში მომღერალ ბავშვთა მერვე თაობა მღერის. მართვეს 1500-ზე მეტი კონცერტი აქვს ჩატარებული. საგასტროლოდ იმყოფებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, არის მრავალი ფესტივალისა თუ კონკურსის ლაურეატი და გამარჯვებული, უამრავი ტელეგადაცემის მონაწილე. ანსამბლზე გადაღებულია ორი მუსიკალური ფილმი. გამოცემულია მისი რამდენიმე ალბომი გრამფირფიტების, კასეტებისა და კომპაქტდისკების სახით.
1998 წელს ახალგაზრდებს შორის ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და საკონცერტო მოღვაწეობისათვის ანსამბლს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

## MARTVE
GEORGIA

Boys' folk ensemble *Martve* was created in 1978 by Anzor Erkomaishvili – Peoples' Artist of Georgia. It was the only children's ensemble of the time, performing Georgian folk songs. During 32 years of its existence Martve has performed in over 1500 concerts, is the laureate of a number of festivals and contests, it took part in a large number of TV programs. Two musical films have been made about the ensemble. The renowned song-masters – Ramin Mikaberidze, Tamaz Andghuladze, Kote Mshvidobadze and Mamuka Gulaghashvili directed the ensemble at various times. Since 1995 until present the ensemble is directed by Varlam Kutidze.
In Martve there is permanent change of generations. At present there are 8 generations of children in the ensemble. *Martve* has released a number of song collections on LPs, audio cassettes and CDs. The Ensemble has been on concert tours to many countries of the world.
In 1998 Martve was awarded the State Prize of Georgia for its concert activity and promotion of folk song among the young.



## mZlevari
saqarTvelo

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი *მძლევარი* 1994 წელს დაარსდა. სიტყვა „მძლევარი“ გალობის აღმნიშვნელ ძველ ქართულ სიტყვა „ძნობას“ უკავშირდება, ასევე ნიშნავს „დამძლევს“. ანსამბლს ხელმძღვანელობენ მამა-შვილი, ანსამბლ *რუსთავის* წევრები ტარიელ და კახაბერ ონაშვილები. *მძლევარის* საშემსრულებლო რეპერტუარი 80-მდე ქართულხალხურ სიმღერას მოიცავს. გუნდში 50-მდე ყმაწვილია გაერთიანებული. *მძლევარი* სისტემატურად მართავს კონცერტებს, მონაწილეობას იღებს ტელე-რადიო გადაცემებში; გამარჯვება აქვს მოპოვებული მრავალ რესპუბლიკურ თუ საერთაშორიოს კონკურს-ფესტივალში, გამოცემული აქვს ორი კომპაქტური დისკი.

## MDZLEVARI
GEORGIA

Male folk ensemble *Mdzlevari* was created in 1994. The word *Mdzlevari* is derived from the old Georgian word *dznoba* meaning “to surmount” in old Georgian. The Ensemble is directed by Father and son Tariel and Kakha Onashvili – members of Ensemble *Rustavi*. There are about 50 singers in the ensemble. The repertoire of *Mdzlevari* includes about 80 Georgian folk songs. *Mdzlevari* regularly performs in concerts, participates in radio and TV programs; is the winner of a number of national and international contests and Festivals. *Mdzlevari* has released two compact discs.



## nai-nai
saqarTvelo

ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელთან არსებული ფოლკლორული გუნდი *ნაი-ნაი* (ხელმძღვანელი ქეთევან ბანცაძე) შეიქმნა 2003 წელს. ამ ხნის განმავლობაში ფოლკლორულმა გუნდმა წარმატებას მიაღწია არაერთ კონკურსსა და ფესტივალზე. დაარსებიდან მეხუთე წლისთავი გუნდმა სოლო კონცერტით აღნიშნა. არსებობის შვიდი წლის მანძილზე *ნაი-ნაიმ* სამი თაობა გააერთიანა. მისი რეპერტუარის დიდ ნაწილს დასავლეთ საქართველოს კუთხეების ფოლკლორული ნიმუშები შეადგენს. 2010 წლის მაისში გუნდ *ნაი-ნაის* მიეძღვნა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ქართული სიმღერის კვალდაკვალ“. ხუთი სიმღერა *ნაი-ნაის* შესრულებით შევიდა „მსოფლიოს ბავშვთა მუსიკალური ფოლკლორის ალბომში“,რომლის პრეზენტაციაც უახლოეს მომავალში პარიზში იგეგმება.

## NAI-NAI
GEORGIA

Folk choir *Nai-Nai* of Kutaisi M. Balanchivadze Central Music School (directed by Ketevan Bantsadze) was created in 2003. The members of the choir were the students of all specialties. During the years of its existence the choir has been a success at a number of contests and festivals. The choir celebrated its fifth anniversary by a solo concert. *Nai-Nai* consists of three generations of singers. The major part of their repertoire includes folk examples from West Georgia. In May 2010 Georgian Public Broadcasting dedicated a program “On the trail of Georgian song” to the choir. 5 songs as performed by the choir have been included into the “Album of the World Children’s Music Folklore”; the presentation of which is planned for near future in Paris.

## patara TuTarCela

saqarTvelo



*პატარა თუთარჩელა* ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *თუთარჩელას* მესამე თაობას წარმოადგენს. იგი ჩამოყალიბდა 2009 წლის იანვარში ქ. რუსთავის „ფოლკლორის სკოლის" ბაზაზე. ანსამბლს ხელმძღვანელობს თამარ ბუაძე. აღსანიშნავია, რომ გოგონები 8 წლის ასაკიდან მღერიან სამ ხმაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, ასრულებენ ასევე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორს და კლასიკური საგუნდო მუსიკის ნიმუშებს. ბავშვები „ფოკლორულ სკოლაში" სიმღერის გარდა ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრასაც ეუფლებიან.

## PATARA TUTARCHELA

GEORGIA

*Patara Tutarchela* is the third generation of the female folk ensemble Tutarchela. It was created in January, 2009 on the basis of "Folk School" in the town of Rustavi. Girls aged 8 perform folk songs from various parts of Georgia in three voices, folk songs of different peoples of the world as well as classical choral examples. They also learn to play traditional musical instruments. The ensemble is directed by Tamar Buadze.



## saunje
saqarTvelo

ხარაგაულის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი *საუნჯე* შეიქმნა 1997 წელს მაია მაღრაძის ხელმძღვანელობით. საუნჯე ბიჭუნათა და გოგონათა ანსამბლია. მისი რეპერტუარი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს; ანსამბლი აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა: არის არაერთი საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული და საქველმოქმედო ღონისძიების მონაწილე.

## SAUNJE
GEORGIA

Children’s folk ensemble *Saunje* from Kharagauli was created in 1997 by Maia Maghradze. This is a mixed collective its repertoire includes songs from various parts of Georgia; the ensemble leads active concert life is the winner of a number of international festivals and participant of various charity events.



## ferxisa
saqar Tvelo

ანსამბლი *ფერხისა* შეიქმნა 2008 წელს ნათია დათუაშვილის ხელმძღვანელობით. იგი 10 წევრისაგან შედგება (ასაკი 4-დან 12 წლამდე). ანსამბლის რეპერტუარშია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციული ფოლკლორის ნიმუშები. ანსამბლი სხვადასხვა ღონისძიებებისა და კონცერტების აქტიური მონაწილეა. იგი განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდა 2010 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ტრადიციული მუსიკის საღამოზე,რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ანსამბლმა *ფერხისა* ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი კონკურსში “NEW STAR”.

## PERKHISA
GEORGIA

Ensemble *Perkhisa* was created in 2008 by Natia Datuashvili. There are 10 children (aged 4-12) in the group. The ensemble’s repertoire includes traditional folk examples from different parts of Georgia. *Perkhisa* actively participates in various celebrations and concerts. In 2010 they successfully performed at the concert of traditional music dedicated to the Independence Day of Georgia, held at the Grand Hall of Tbilisi State Conservatoire. Ensemble *Perkhisa* is the twofold holder of the first place at the “New Star” contest.

## wnoris bavSvTa gundi

saqarTvelo



2005 წელს წნორში, წმ. ილია მართლის ტაძართან გაიხსნა საყმაწვილო ფოლკლორულ-ენოგრაფიული სტუდია *ამერ-იმერის* კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სტუდიის პირველი თაობის აღზრდილი თინათინ შერვაშიძე.

წნორის გუნდს მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში წნორში, სიღნაღსა და თბილისში, როგორც ცალკე, ისე ედიშერ გარაყანიძის სახელობის ეთნომუსიკის თეატრ *მთიებთან* ერთად. ფესტივალების: „არტ გენისა" და „მომავლის ხმების" აქტიური მონაწილეა. 2010 წელს *ამერ-იმერის* ძირითად ჯგუფთან ერთად გამართა წარმოდგენა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში.

## CHILDREN'S GROUP FROM TSNORI

GEORGIA

In 2005 another group of the youth folk-ethnographic Studio *Amer-Imeri* was opened at St. Ilia the Righteous' Church in Tsnori, directed by Tinatin Shervashidze – an alumnus of the first generation of the Studio's alumni.

Tsnori choir has participated in various events in Tsnori, Sighnaghi and Tbilisi, both separately and together with Edisher Garakanidze Ethnomusic theatre *Mtiebi*. The choir frequently participates in the festivals *Artgeni* and "Voices of Future". In 2010 the choir took part in the performance together with the basic group of the youth folk-ethnographic Studio *Amer-Imeri* at Mikheil Tumanishvili Drama Theatre.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდიან:

---

საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
საქართველოს საპატრიარქოს
ქალაქ თბილისის მერიას
საზოგადოებრივ მაუწყებელს
საპატრიარქო ტელევიზია „ერთსულოვნებას"
რადიო „მუზას"
ფოლკრადიოს
კინოთეატრ „რუსთაველს"
გაზეთ „24 საათს"
გამომცემლობას "NOVA SCIENCE PUBLISHERS, INC." და ქალბატონ ნადია გოცირიძე-კოლუმბუსს

THE SYMPOSIUM ORGANIZERS ARE MOST GRATEFUL TO:

---

PREZIDENT OF GEORGIA
MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION OF GEORGIA
PATRIARCHY OF GEORGIA
TBILISI MUNICIPALITY
PUBLIC BROADCASTING OF GEORGIA
PATRIARCHY TELEVISION "ERTSULOVNEBA"
RADIO "MUZA"
FOLKRADIO
CINEMA "RUSTAVELI"
NEWSPAPER "24 HOURS"
"NOVA SCIENCE PUBLISHERS, INC." AND MRS NADYA GOTSIRIDZE-COLUMBUS

simpoziumi tardeba Tbilisis vano sarajiSvilis saxelobis saxelmwifo konservatoriaSi

0108, Tbilisi, griboedovis 8/10

tradiciuli mravalxmianobis kvlevis saerTaSoriso centri

tel.: (+995 32) 99 89 53
faqsi: (+995 32) 98 71 87
veb-gverdi: www.polyphony.ge
el-fosta: polyphony@polyphony.ge geomusic53@yahoo.com,

**THE SYMPOSIUM IS HELD AT THE V. SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE**

**8/10, GRIBOEDOV STR., TBILISI, 0108, GEORGIA**

**THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY**

**TELEPHONE (+995 32) 93 52 60; 99 89 53**
**FAX: (+995 32) 98 71 87**
**VEB-SITE: www.polyphony.ge**
**E-MAIL: polyphony@polyphony.ge, geomusic53@yahoo.com**

N O T E S

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი რედაქტორი | **რუსუდან წურწუმია** |
| შემდგენელ-რედაქტორი | **მაკა ხარძიანი** |
| შემდგენელ-მთარგმნელი | **მაია კაჭკაჭიშვილი** |
| მხატვარი | **ნიკა სებისკვერაძე** |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა | **თეონა კვაჭაძე** |

| | |
|---|---|
| Editor | **Rusudan TSURTSUMIA** |
| Compiler | **Maka KHARDZIANI** |
| Translator | **Maia KACHKACHISHVILI** |
| Design | **Nika SEBISKVERADZE** |
| Computer Service | **Teona KVACHADZE** |